

თინასწარი
პატიმრობის
შეფარდებასთან
დაკავშირებული
ადამიანის
უფლებათა
სამართლის
ანალიზი

ნინო საინდრავა
გასარიონ გოგაშვილი
თინათინ ხიდაშვილი

2010

**პუბლიკაცია მომზადდა ფონდი „ლია საზოგადოება
საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭრით**

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგა-დოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation.

Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი „ლია საზოგადოება საქართველო“

სარჩევი

ნაშრომის ძირითადი თეზისები	4
საზედამხედველო ორგანოების შეფასებები და რეკომენდაციები საქართველოში პატიმრობის შეფარდების ტენდენციების შესახებ	7
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი	7
წამების საწინააღმდეგო საერთაშორისო ინსტიტუტები	8
ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო	10
წინასწარი პატიმრობის შეფარდების პირობები და გამომრიცხავი გარემოებები საერთაშორისო ნორმების შესაბამისად	12
ა) გონივრული ეჭვი	12
ბ) პატიმრობის ბრძანების გაცემის დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულებების შეფასება	15
გ) სხვა სახის იძულების ღონისძიებების გამოყენების შეუძლებლობის დასაბუთება	17
დ) წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა	19
ე) პატიმრობის კანონიერების გასაჩივრება	25
ვ) იძულების ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების პროცესუალური გარანტიები	28
1. სასამართლოს აუცილებლობა	28
2. პირადად წარდგენა	29
3. სამართლებრივი კონსულტაციების ხელმისაწვდომობა, შეჯიბრებითობა დამხარეთა თანასწორობა	30
4. კანონიერების განსაზღვრა	33
წინასწარი პატიმრობის გამამართლებელი საფუძვლები საერთაშორისო ნორმების შესაბამისად	35

წინასწარი პატიმრობის ვადები	36
პირის მიმაღვის საფრთხე.....	36
მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე.....	42
მოწმეებზე ზეწოლისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე	45
პირის ბრალეულობა ორგანიზებული დანაშაულის ჩადენაში	47
დანაშაულის აღკვეთის აუცილებლობა	48
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა.....	52
შეუსაბამო პრაქტიკა	54
ა) გადაწყვეტილებების ინდივიდუალური ხასიათი	54
ბ) გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება.....	56
გ) შესაძლო მძიმე სასჯელი, როგორც წინასწარი პატიმრობის გარდაუვალი პირობა.....	57
საქართველოში არსებული პრაქტიკა.....	60
ა) მონაცემები გამოთხოვილი საქმეების შესახებ.....	60
ბ) სტატისტიკური ინფორმაცია	61
გ) სასამართლო სტატისტიკა იძულების ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ.....	64
საქართველოში წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული სასამართლო ბრძანებების / დადგენილებების ანალიზი	67
საქართველოში აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების პირობები.....	67
გირაოს, როგორც იძულების ღონისძიების, გამოყენების ტენდენციები საქართველოში.....	69
აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება	77

ბრძანება პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ	81
დასკვები	87
1. საფუძვლიანი ეჭვი	87
2. არა-საპატიმრო ღონისძიებები.....	88
3. პატიმრობის შეფარდების კონკრეტული საფუძვლების მითითება	88
4. დასაბუთებული გადაწყვეტილება	89
5. სტერეოტიპული დასაბუთება	92
6. ბრალდების მხარის მტკიცების ტვირთი	93
7. პატიმრობა V გირაო	95
8. პატიმრობის ვადის გაგრძელება	96
9. არასრულწლოვნები	97
10. კოლექტიური ბრძანებები	98
საქართველოს საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა 100	
სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა	101
1.1 ზოგადი პრინციპები 101	
აღკვეთის ღონისძიების მიზანი და საფუძველი	102
სასამართლო ზედამხედველობა	103
დასაბუთება	104
ბრალდებული / განსასჯელი და დაცვის მხარე, უფლებები	106
გასაჩივრების უფლება	106
1.2. პატიმრობა	107
პატიმრობის ვადა	113
1.3. აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეები	114

გირაო	115
პირადი თავდებობა	116
არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა	116
სიახლეები, 2009 წლის რედაქციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში	117
დასკვნები	121

ნაშრომის ძირითადი თავისები

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება წარმოადგენს თითოეული ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც უზრუნველყოფილი და გარანტირებულია როგორც ქვეყნის უზენაესი კანონით, საქართველოს კონსტიტუციით (მე-18 მუხლი), ასევე ადამიანის უფლებათა სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებული უნივერსალური თუ რეგიონული მოქმედების საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების მაგალითებია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-9 მუხლი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი.

საქართველოს კონსტიტუცია, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, ცალსახად ადგენს პრეზუმაციას თავისუფლების სასარგებლოდ. იმავდროულად, იგივე კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით დადგენილია მკაცრად ლიმიტირებული გამონაკლისი გარემოებები და შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია ინდივიდისათვის ხელისუფლების ორგანოების მხრიდანთავისუფლებათა შეზღუდვა.

პრეზუმაციას თავისუფლების სასარგებლოდ ამყარებს მტკიცების ტვირთის ვალდებულება. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მტკიცების ტვირთი ეკისრებათ მათ, ვინც განახორციელა თავისუფლების აღკვეთა. სწორედ თავისუფლების აღკვეთის გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ უნდა დაამტკიცოს, რომ

- 1) გამოყენებული იძულება მოხდა კანონით ზუსტად განსაზღვრული ერთ-ერთი დებულების საფუძველზე და შესაბამისად;

- 2) პატიმრობის შეფარდება წარმოადგენდა აბსოლუტურ აუცილებლობას;
- 3) სხვა აღტერნატიული იძულების ღონისძიებების გამოყენებით შეუძლებელი იქნებოდა ბრალდებულის დროული გამოცხადება საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების წინაშე.

ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო თუ ეროვნული საზედამხედველო ინსტიტუტების დასკვნები, რეკომენდაციები და სტატისტიკა, ისევე როგორც ევროპული სასამართლოს მიერ ზემოხსნებულ გადაწყვეტილებებში გაცხადებული დასკვნები ნათლად წარმოაჩენენ საქართველოში წინასწარი პატიმრობის შეფარდების პროცესში დღეისათვის არსებულ პრობლემებს:

1. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების თანახმად პრეზუმუტუცია ყოველთვის უნდა მოქმედებდეს თავისუფლების სასარგებლოდ, საქმეების აბსოლუტურ უმრავლესობაში, ეროვნული სასამართლოები ეთანხმებიან გამოძიების მოთხოვნას და უალტერნატივოდ უფარდებენ ეჭვმიტანილ პირებს (რომლებიც იმ მომენტისათვის ჯერ კიდევ სარგებლობენ უდანაშაულობის პრეზუმუტუციით) წინასწარ პატიმრობას, მიუხედავად დამნაშავის პიროვნებისა და წარდგენილი ბრალდების სიმძიმისა. ასეთი მიდგომა ცალსახად წარმოადგენს ევროპული სტანდარტების დარღვევას;
2. მიუხედავად დაკისრებული ვალდებულებისა, წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას ეროვნული სასამართლოები, როგორც წესი, არ იხილავენ და არ იღებენ მხედველობაში კონკრეტული საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს - რა საფუძველი არსებობს, რომ არსებობდეს ეჭვი ბრალდებულის მიმაღვასთან დაკავშირებით, რა ფაქტები მიუთითებენ, რომ ბრალდებული შესაძლოა ჩაერიოს მართლმსაჯულების ჯე-

როვნად განხორციელებაში, ზემოქმედება მოახდინოს მოწმეებზე ან გაანადგუროს მტკიცებულებები, რომ მან შეიძლება ჩაიდინოს დანაშაულის რეციდივი თავისუფლებაში ყოფნის დროს ან რატომ დაირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნით წინასწარი და სასამართლო გამოძიების ეტაპზე - რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირისათვის პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილების მიღების დროს;

3. არასწორი პრაქტიკის შესაბამისად, პატიმრობასთან დაკავშირებული პირველადი გადაწყვეტილების მიღების ან პატიმრობის გაგრძელებისას (წინასწარი გამოძიების თუ სასამართლო წარმოების ეტაპზე) მოსმართლეები იყენებენ პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებულ ე.ნ. წინასწარ შემუშავებულ ფორმებსა და წესებს, რომლებშიც როგორც წესი, იცვლება მხოლოდ ბრალდებულის სახელი, გვარი და გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი, ხოლო წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ზოგადი და აბსტრაქტული ტერმინებით დასაბუთება, მეორდება მრავალჯერადად სხვადასხვა საქმეებზე;
4. საქართველოში მოქმედებს წინასწარი პატიმრობის ბრძანებების გაცემის ე.ნ. კოლექტიური პრაქტიკა, როდესაც მოსამართლე, კანონით დადგენილი წესების მიუხედავად, არ იხილავს თითოეული ბრალდებულის პიროვნების და ინდივიდუალური გარემოებების საკითხს. ამგვარი პრაქტიკა, ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია სტრასბურგის სასამართლოსათვის, და შესაბამისად წარმოადგენს ევროპული სტანდარტების დარღვევას;
5. სასამართლოები უფარდებენ რა ბრალდებულ პირს წინასწარ პატიმრობას, უმეტესწილად, არ მსჯელობენ

იძულების ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ, რაც თავისთავად ასევე წარმოადგენს ევროპული სტანდარტების დარღვევას.

6. ისეთი ალტერნატიული იძულების ღონისძიებების გამოყენებისას, როგორიც არის გირაო, უგულვებელყოფილია გირაოს გამო ანგარიშების კრიტერიუმები. არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და მისი 168-ემუხლი, არც ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მაგისტრანტი მოსამართლეებისათვის გამოცემული რეკომენდაციები, სისხლის სამართლის პროცესის ძირითად საკითხებზე არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას გირაოს გამოანგარიშების წესთან დაკავშირებით. შესაბამისად, გირაოს გამოანგარიშება მთლიანად საგამოძიებო ორგანოს, ანუ პროკურორის (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილი) პირადი, სუბიექტური შეხედულებით ხორციელდება. ამგვარი მიდგომა, ასევე წარმოადგენს ევროპული სტანდარტების დარღვევას.

საზედამხედველო ორგანოების შეფასებები და რეკომენდაციები საქართველოში პატიმრობის შეფარდების ტენდეციების შესახებ

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების ეფექტურიან უზრუნველყოფას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მკაცრად მეთვალყურეობენ ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოები. ერთ ერთი ასეთი ორგანოა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს რეკომენდაციებს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ კანონმდებლობის ან/და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფისათვის. მსგავსი ღონისძიებები სახელმწიფოებთან მიმართებაში მაშინ გამოიყენება, როდესაც მათი კანონმდებლობა და პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლების საერთაშორისო სტანდარტებთან. ბოლო წლებში, საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ხასიათის ხარვეზების გამო, მსგავსი რეკომენდაციები მრავალჯერ გაიცა საქართველოს მიმართაც.¹

საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოების, ისევე როგორც საქართველოს სახალხო დამცველისა და უფლებადამცველი არა-სამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნები და პრეტენზიები შესაძლებელია რამდენიმე კონკრეტულ დებულებად ჩამოყალიბდეს. კერძოდ, შენიშვნები ძირითადად უკავშირდება:

1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან, წინასწარი პატიმრობის პირობებსა და ძალადობის საწინააღმდეგო გარანტიების შესახებ (მიღებულია 2006 წლის 27 სექტემბერს)

- 1) თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას წინასწარი გამოძიების ეტაპზე;
- 2) სასამართლო ორგანოების მიერ თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების არაჯეროვან დასაბუთებას;
- 3) ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების უგულვებელყოფას;
- 4) უალტერნატივო პატიმრობის შეფარდებით გამოწვეულ თანმდევ პრობლემებს, როგორიც არის სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების გადავსება, გადატვირთულ საკუთხებში არსებული პირობები და სხვა.

თავისუფლების სამინისტრო საერთაშორისო ინსტიტუტი

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებისა და ნორმების იგნორირება კონვენციებით დაცული მრავალი სხვა დებულების დარღვევის საფუძველი ხდება. ასეთ შემთხვევაში ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული ადამიანები არიან და შესაბამისად, იქ არსებული მდგომარეობა. მაგალითად, წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის შეფასებით მდგომარეობა გადატვირთულ ციხეებში ხშირად უტოლდება არაადამიანურ მოპყრობას². 2005 წლს საქართველოს შესახებ მოხსენებაში გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის საკითხებში ბ-ნი მანფრედ ნოვაკი, სასჯელაღსრულების სისტემის პრობლემების მიზეზად სწორედ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებულ ნაკლოვანებებს მიიჩნევს და პირდაპირ

2. იხ. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2007 წლის 25 ოქტომბრის მოხსენება

საუბრობს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების
სისტემატიურ უგულვებელყოფაზე.კერძოდ, მოხსენებაში
ვკითხულობთ:

„სპეციალურ მომხსენებელს მიაჩინია, რომ სასჯელაღ-
სრულებით დაწესებულებებში არსებულ პირობებს
აუარესებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების
სფეროში არსებული სტრუქტურული და პრაქტიკული
პრობლემები. კერძოდ, მიუხედავად კანონმდებლობა-
ში არსებული დებულებებისა, რომლებიც ადგენენ
იძულების ალტერნატიულ ღონისძიებებს, [...] მოსა-
მართლები აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში
ეთანხმებიან გამოძიების მოთხოვნას და პრალდებულ
პირებს უფარდებენ წინასწარ პატიმრობას, მიუხედა-
ვად დამნაშავის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაუ-
ლის სიმძიმისა“³.

იგივე ტენდენცია წარმოაჩინა წამების საწინააღმდეგო
ევროპულმა კომიტეტმა 2007 წლის 25 ნოემბრის საქართ-
ველოსთან დაკავშირებულ მოხსენებაში, კერძოდ:

„წამების საწინააღმდეგო კომიტეტი მოუწოდებს
საქართველოს ხელისუფლებას, რათა მათ ყველაფერი
იღონონ დიდი ხნის განმავლობაში არსებული პრობ-
ლემის მოსაგვარებლად [...] კერძოდ, ხელისუფლების
ორგანოებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა წი-
ნასწარი პატიმრობის შეფარდება მოხდეს მხოლოდ
მკაცრად აუცილებელ შემთხვევებში და ამ მხრივ,
საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იხელმძღვანელოს
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებუ-
ლი რეკომენდაციით (2006/13), რომელიც ეხება წინას-
წარი პატიმრობის შეფარდებას, პატიმრობის პირობებს

3. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების, არაადამიანური და
ღირსების შემლახველი მოპყრობის საკითხებში ბ-ნი მანფრედ ნოვაკის
მოხსენება გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსადმი (2005 წლის 23 სე-
ქტემბერი დოკუმენტი E/CN.4/2006/6/Add.3 პუნქტი 51)

და პატიმრობის შეფარდების დროს თვითნებობისაგან დაცვის გარანტიებს”⁴.

საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსად წინასწარი პატიმრობის შეფარდების პროცესში ხარვეზებს წარმოაჩენს საქართველოს სახალხო დამცველი.ეს უკანასკნელი წარმოადგენს კონსტიტუციურ ინსტიტუტს, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა დაცვას. სახალხო დამცველის ანგარიშში ვკითხულობთ:

„სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სასამართლოებმა ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე მაქსიმალურად შეზღუდონ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდება“⁵.

ანალოგიური რეკომენდაციებითა და შენიშვნებით, აგრეთვე კონკრეტული სამართლებრივი ნორმების ცვლილებისა და დამატებების ინიციატივებით მუდმივად გამოდიოდნენ ქართული და საერთაშორისო უფლებადაცვითი არა-სამთავრობო ორგანიზაციები.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო

საქართველოში ბოლო წლების მანძილზე დამკვიდრებული პატიმრობის უაღტერნატივობის პრაქტიკის შესახებ რამდენჯერმე იმსჯელა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ. სტრასბურგის პოზიცია ცალსახაა, და თავისუფლებისა და ხელშუხებლობის უფლების აბსოლუტურობას კიდევ ერთხელ ადასტურებს. ამასთანავე, იგი განსაკუთრებითაკრიტიკებს საქართველოს სასამართლოების მიერ

4. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მოხსენება საქართველოსთან დაკავშირებით, 2007 წელი, პუნქტი 44 (CPT/Inf (2007) 42)

5. სახალხო დამცველის 2007 წლის მე-2 ნახევრის მოხსენება გვ.139

წინასწარი პატიმრობის შეფარდების უალტერნატივო ხასიათს, მაშინ როდესაც გამოძიება ითხოვს წინასწარი პატიმრობის შეფარდებას. ამასთანავე, ევროპული სასამართლო ხაზგასმით მიანიშნებს იმ ძირითად მიზეზებზე, რამაც ქვეყანაში არა-სწორი და საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგო პრაქტიკის დამკვიდრება გამოიწვია.

საქმეში გიორგი ნიკოლაიშვილის საქართველოს ნინააღმდეგ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამს საქართველოს ეროვნული სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით [...] მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა წინასწარ შემუშავებული სტანდარტული ფორმის ბრძანებით. იმის მაგივრად, რომ ეროვნულ სასამართლოს განეხორციელებინა თავისი მოვალეობა და მოეძია მყარი არგუმენტაცია წინასწარი პატიმრობის გასამართლებლად, სასამართლო დაეყრდნო და შემოიფარგლა პატიმრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების წინასწარ შემუშავებულ და წინასწარ დაბეჭდილ ზოგად ნიმუშში ჩანსრილი აპსტრაქტული დებულებებით. ხსენებული პრაქტიკა პირდაპირ უთითებს ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ საკითხის განხილვის „შესაბამისი გულმოდვინების“ არ არსებობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სულისკვეთებასთან“⁶.

ანალოგიურ დებულებებს ვხვდებით ასევე საქმეში ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ:

„ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს იმ მეთოდთან დაკავშირებით,

⁶ ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ 2009 წლის 13 იანვრის განჩინება განაცხადი 37048/04 (GIORGII NIKOLAISHVILI v. GEORGIA Application no. 37048/04) პუნქტი 73

რომლის გამოყენებითაც [საქართველოს ეროვნულ-
მა სასამართლომ იხელმძღვანელა მაშინ, როდესაც
სამართალში მიცემისას [...] განმცხადებელს გაუგრ-
ძელა წინასწარი პატიმრობა. იმის მაგივრად, რომ
საკითხის განხილვისას „შესაბამის გულმოდგინე-
ბაზე“ უფრო მაღალი სტანდარტი გამოეყენებინა [...]
ეროვნულმა სასამართლომ გამოსცა სტანდარტულ
ნიმუშზე დაფუძნებული გადაწყვეტილება. იმის
მაგივრად, რომ მოეძია მყარი არგუმენტაცია გან-
გრძობადი წინასწარი პატიმრობის გასამართლე-
ბლად, ეროვნული სასამართლო დაეყრდნო პა-
ტიმრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების
წინასწარ შემუშავებულ და წინასწარ დაბეჭდილ
ზოგად ნიმუშში ჩანსრილ აბსტრაქტულ დებულე-
ბებს. აღნიშნული სახით პატიმრობასთან დაკავ-
შირებით მიღებულ გადაწყვეტილებას ევროპული
სასამართლო მიიჩნევს განმცხადებლისათვის ევ-
როპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით
უზრუნველყოფილი უფლების განსაკუთრებით სე-
რიოზულ დარღვევად”⁷.

წინასწარი პატიმრობის შეჯარდების პირობები და გამომრიცხვავი გარემოებები საერთაშორისო ნორმების შესაბამისად

უნივერსალურიდაევროპულისტანდარტებისშესაბამ-
ისადპირსაწინასწარიპატიმრობაშეიძლებაშეეფარდოსმხოლ
ოდიმშემთხვევაში,თუკისახეზეა წინასწარი პატიმრობის შე-
ფარდების ოთხიძირითადიკურიტერიუმისერთობლიობა:

- არსებობს გონივრული ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა და-
ნაშაული;

7. ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ 2007 წლის 6 ნოემბრის განჩინე-
ბა (PATSURIA v. GEORGIA Application N 30779/04) პუნქტი 73

- ბ) სახეზეა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომ-
ლებიც ამყარებენ ვარაუდს, რომ პირი
- 1) მიმდინარება;
 - 2) ჩაიდენს სერიოზულ დანაშაულს;
 - 3) ჩაერევა მართლმსაჯულების განხორციელებაში;
 - 4) სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ
წესრიგს;
- გ) არ არსებობს სხვა სახის იძულების აღტერნატიული
ლონისძიების გამოყენების შესაძლებლობა;
- დ) ხსენებული ლონისძიება წარმოადგენს სისხლის სა-
მართლის მართლმსაჯულების პროცესის ნაწილს⁸.

ქვემოთ განხილულია ძირითადი არგუმენტები, რაც
სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოიყენება წინასწარი
პატიმრობის საქმეების განხილვის დროს, გონივრული ეჭვი-
სა და პატიმრობის პრძანების გაცემის აუცილებლობისათვის
მნიშვნელოვანი მტკიცებულებების ნაწილში.

ა) გონივრული ეჭვი

საკუთარ გადაწყვეტილებებში ადამიანის უფლებათა
ევროპულმა სასამართლომ მრავალჯერ განაცხადა, რომ
პირის კანონიერი დაკავებისა და მისთვის წინასწარი პატიმ-
რობის შეფარდებისათვის აუცილებელ პირობას (*condition
sine qua non*) წარმოადგენს დაკავებული პირის მიერ დანა-
შაულის ჩადენის გონივრული ეჭვის არსებობა.

გონივრულმა ეჭვმა მხოლოდ პირველ ეტაპზე შეიძლება
გაამართლოს პირის დაკავება. გარკვეული დროის გასვლის
შემდგომ (სხდასხვა ქვეყნებში ეს ვადა განსხვავებულია) მხ-

8. ევროპს საჭირო მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენ-
დაციით (2006/13), რომელიც ეხება წინასწარი პატიმრობის შეფარდებას,
პატიმრობის პირობებს და პატიმრობის შეფარდების დროს თვითნებობის-
აგან დაცვის გარანტიებს

ოლოდ გონივრული ეჭვი აღარ შეიძლება იყოს საქმარისი პირის განგრძობად წინასწარ პატიმრობაში დასატოვებლად. იმისათვის, რათა გამართლებულ იქნეს განგრძობადი წინასწარი პატიმრობა, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა დაადგინონ სხვა გარემოებების არსებობა, რომლებიც გაამართლებენ პირისათვის თავისუფლების შეზღუდვას. ეროვნულმა სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ ყოველთვის, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე ბრალდებული სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმპციით და შესაბამისად, მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში, და განსაკუთრებული, კანონით ზუსტად განსაზღვრული, აუცილებლობისას, როდესაც სხვა ალტერნატიული იძულების ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს პირის გამოცხადებას არსებით სამართალწარმოებაზე ან გამოძიებასთან თანამშრომლობას, შეიძლება იყოს გამართლებული პირისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება⁹.

ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ გონივრული ეჭვი შეიძლება გაქარნებულდეს თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან ძალიან მცირე ხანში, ან ნებისმიერ დროს, ვინაიდან, შესაძლებელია, ნათელი გახდეს, რომ დანაშაულს, რომლის გამოც პირს აღუკვეთეს თავისუფლება, საერთოდ არ ჰქონია ადგილი, ან ეს უკანასკნელი, შეძლებს დანაშაულში მის მონაწილეობაზე ეჭვის გაქარნებულებას.

ევროპის სასამართლომ საკუთარ გადაწყვეტილებებში არაერთხელ დაადგინა, რომ ეჭვის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ არა საკმარისი ფაქტორია გარკვეული დროის გასვლის შემდგომ პატიმრობის ვადის გაგრძელებისათვის.¹⁰ სსენებული გამომდინარეობს იქიდან, რომ მე-5(3)

9. Case of BORDIKOV v. RUSSIA(Application no. 921/03) JUDGMENT 8 October 2009 punti 88

10. *Stögmüller v. Austria*, 1969 წლის 10 ნოემბერი, *Clooth v. Belgium*, 1991 წლის 12 დეკემბერი, *Contrada v. Italy*, 1998 წლის 24 აგვისტო, *Ječius v. Lithuania* (რომელშიც განმხილველი ეროვნული სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, რომ ეჭვი არ იყო დასაბუთებული) და *Barfuss v. the Czech Republic*, 2000 წლის 1 აგვისტო

მუხლში ნათლად არის მოცემული უფლება გათავისუფლებაზე სასამართლო განხილვის პერიოდში, რისი გვერდის ავლაც შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დამატებით წარმოდგენილია ერთი ან რამდენიმე შესაბამისი საფუძველი თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელებისათვის, მიუხედავად თავისუფლების პრეზუმაციისა.

სასამართლო კიდევ ერთ, მნიშვნელოვან და გასათვალისწინებელ გარემობაზე მიუთითებს. ბუნებრივია, სასამართლო აღიარებს ისეთ შესაძლებლობას, როდესაც შეიძლება თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელების საფუძვლები თავდაპირველად გამართლებული იყოს, თუმცა იქვე ცასახად აცხადებს, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იგი შესაძლებელია აღარ აღმოჩნდეს ისეთივე აუცილებელი და, შესაბამისად, განმცხადებლის გათავისუფლებაც განხილულ უნდა იქნეს კეთილგონივრულობის ფარგლებში. ამასთან, იქ, სადაც ასეთი საფუძველი არ ან აღარ არსებობს – იქნება ეს თავდაპირველ ეტაპზე თუ მოგვიანებით – მაგრამ კვლავ რჩება გონივრული ეჭვი დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შესაბამისი პირი გათავისუფლებულ უნდა იქნეს გირაოთი. არ არის გამორიცხული, რომ გათავისუფლებული პირის სასამართლოს წინაშე წარდგენის მიზნით საჭირო გახდეს დამატებითი გარანტიების მოპოვება. თუმცალა, თუ კვლავაც შესაძლებელია კონკრეტული პირის მიმართ დამტკიცდეს თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელების გამამართლებელი საფუძვლები, მაშინაც არსებობს იმის აუცილებლობა, რომ აღნიშნული პირი გონივრულ ვადაში წარდგეს სასამართლოს წინაშე, რომელიც აუცილებლად დაადგენს ზღვარს თავისუფლების აღკვეთის მთლიანი პერიოდისათვის.

ბ) პატიმრობის ბრძანების გაცემის დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულებების შეფასება

სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმის განხილვას თუ რამდენად ჯეროვნად

მოხდაყველა იმ გარემოების განხილვა, შეფასება და შესაბამის სასამართლო ბრძანებაში ასახვა¹¹, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს წინასწარი პატიმრობის შეფარდების ან სხვა აღტერნატიული იძულების ღონისძიების სასარგებლოდ¹².

უმეტეს შემთხვევებში ეროვნული სასამართლოები წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ამართლებენ ბრალდებულის მიმაღვის ან მის მიერ მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში უკანონოდ ჩარევის საფრთხის არსებობით. თუმცა სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას, პატიმრობის გამყარების საფუძვლების ფორმალური მოხსენიება არამც და არამც არ არის საკმარისის¹³. ხელისუფლების ორგანოებს, უპირველესად სასამართლოებს აკისრიათ ვალდებულება დაადგინონ და წარმოაჩინონ კონკრეტული ფაქტები, რომლებიც ლოგიკურად გაამართლებენ, დაასაბუთებენ და გაამყარებენ სასამართლო ბრძანებაში მოხსენიებულ საფრთხეს, რომელიც თავის მხრივ ამართლებს პირისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას¹⁴.

შესაბამისად, როდესაც ეროვნული სასამართლოები ბრალდებულს წინასწარ პატიმრობას უფარდებენ იმ მოტივით, რომ არსებობს მისი მიმაღვის ან მის მიერ მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე, ხელისუფლების ორგანოებმა, პირველ რიგში კი მოსამართლებმა უნდა დაასაბუთონ თუ რა ფაქტებზე დაყრდნო-

11. *Case of MUSUC v. MOLODOVA*, no. 42440/06, § 45, 6 November 2007

12. *Case of LABITA v. ITALY* [GC], no. 26772/95, §§ 152 and 153, ECHR 2000-IV. სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხოლმე იმ საკითხის განხილვას თუ რამდენად გამოიჩინეს ეროვნულმა სასამართლოებმა განსაკუთრებული გულმოდგინება წინასწარი პატიმრობის შეფარდების საკითხის განხილვისას

13. *Case of GULTIYAYEVA v. RUSSIA* (Application no. 67413/01) JUDGMENT I April 2010 punti 187

14. *Case of BORDIKOV v. RUSSIA* (Application no. 921/03) JUDGMENT 8 October 2009, para. 88

ბით შეექმნა მოსამართლეს ამგვარი შინაგანი რწმენა, რატომ მიიჩნია მოსამართლემ რომ პირი მიემალება გამოძიებას ან ჩაერევა მის ჯეროვნად განხორციელებაში.

წინასწარი პატიმრობის შეფარდების ბრძანების დასაბუთების მტკიცების ტვირთი ხელისუფლების ორგანოებს აწევთ და არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება მისი ბრალ-დებულზე გადატანა¹⁵. ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა განიხილონ ყველა ფაქტი, რომელიც ადასტურებს წინასწარი პატიმრობის შეფარდების საზოგადოებრივ აუცილებლობას, გაითვალისწინონ მოცემულ ეტაპზე პირის უდანაშაულობის პრეზუმეცია და თავიანთ ბრძანებებში ნათლად ჩამოაყალიბონ მიზეზები, თუ რატომ არის აუცილებელი უალტერნატივოდ წინასწარი პატიმრობის შეფარდება, რატომ არ შეუძლიათ სხვა ნაკლებადმძიმე იძულების ღონისძიებებს მიგვიყვანოს იგივე შედეგებამდე.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო კიდევ ერთ დამატებით პირობას ადგენს. კერძოდ, სასამართლო მიუთითებს, რომ ყველა მტკიცებულება და საფუძველი იძულების ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ ხელისუფლების ორგანოებმა და ეროვნულმა სასამართლოებმა შიდასამართალწარმოების ეტაპზევე უნდა გამოიყენონ და არა მხოლოდ, სტრასბურგის სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების დროს განახორციელონ ხსენებული ვალ-დებულებები. ასეთი მიდგომა ერთმნიშვნელოვნად იქნა დადასტურებული სტრასბურგის სასამართლოს მრავალ საქმეში¹⁶.

საქმეში *BAKHMUTSKIY v. RUSSIA*, სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა რუსეთის ფედერაციის მთავრობის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას ეროვნულ-

15. *Case of ILIJKOV v. BULGARIA*, no. 33977/96, §§ 84-85, 26 July 2001, *Case of ROKHLINA v. RUSSIA*, no. 54071/00, § 67, 7 April 2005

16. *Case of BAKHMUTSKIY v. RUSSIA* (Application no. 36932/02) JUDGMENT 25 June 2009, *POLONSKYI v. RUSSIA* (Application no. 30033/05)

მა სასამართლოებმა მხედველობაში მიიღეს მისი მიმალვის საფრთხე და გამოძიებისათვის ხელის შეშლის შესაძლებლობა. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ მხოლოდ სტრასბურგში მიმდინარე სამართალწარმოების ეტაპზე იქნა ხსენებული მიზეზები გამოყენებული რუსეთის მთავრობის მიერ და ეროვნულ სასამართლოებს თავიანთ გადაწყვეტილებებში არ ჰქონდათ მოხსენიებული და ჯეროვნად დასაბუთებული მიმალვის და გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფუძვლები¹⁷. ეროვნული სასამართლოების მიერ გაცემული ბრძანებების შესაბამისად კი წინასწარი პატიმრობის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა წაყენებული ბრალდებისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე *POLONSKIY v. RUSSIA*, რომელშიც რუსეთის მთავრობა აცხადებდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებლისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას ასევე მხედველობაში მიიღეს განმცხადებლის ნასამართლობა და ის ფაქტი, რომ მას არ გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ არ გაითვალისწინა ხსენებული არგუმენტაცია, რადგანაც ეროვნულ სასამართლოებს არსად არ ჰქონდათ ნახსენები, და მითუმეტეს დასაბუთებული, ზემოთ ხსენებული არცერთი საფუძველი და წინასწარი პატიმრობის ერთადერთ საფუძვლად მითითებული იყო წაყენებული ბრალდებისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე¹⁸.

გ) ხევა სახის იძულების ღონისძიებების გამოყენების შეუძლებლობის დასაბუთება

ეროვნული სასამართლოების მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდების კანონიერიების საკითხის განხილვისას სტრასბურგის ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას

17. *Case of BAKHMUTSKIY v. RUSSIA* (Application no. 36932/02) JUDGMENT
25 June 2009

18. *Case of POLONSKIY v. RUSSIA* (Application no. 30033/05)

უთმობს იმ ფაქტს, თუ რამდენად ჯეროვნად იქნა განხილული, გაანალიზებული და შეფასებული აღტერნატიული იძულების ღონისძიებების გამოყენების საკითხი კონკრეტულ საქმეში¹⁹, და რამდენად დამაჯერებელია არგუმენტები იძულების აღტერნატიული ღონისძიებების გამოყენების შეუძლებლობის შესახებ.

ევროპული სასამართლოს განმარტებით კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ხელისუფლების ორგანოებს აკისრებს ვალდებულებას განიხილონ იძულების აღტერნატიული ღონისძიებების საკითხი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პირის გამოცხადება სამართალწარმოების დროს²⁰.

დღეს არსებული პრაქტიკის შესაბამისად, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იმშემთხვევაში, თუკი, კონკრეტულ საქმეზე, წინასწარი გამოძიების ან სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში ეროვნულ სასამართლოებს არ აქვთ ნამსჯელი, შეიძლება თუ არა გამოყენებულ იქნეს იძულების აღტერნატიული ღონისძიებები (გირაო, პირადი თავდებობა, საერთაშორისოპ ასპორტის ჩამორთმევა, და სხვა), და ჯეროვნად დასაბუთებული, თუ რატომ არ შეუძლია იძულების რომელიმე აღტერნატიულ ღონისძიებას უზრუნველყოს საჭიროების შემთხვევაში ბრალდებულის გამოცხადება გამოძიების თუ სასამართლოს წინაშე, ხსენებული უკვე საკმარისია იმისათვის, რომ სტრასბურგის სასამართლომ დაადგინოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა²¹.

უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად პრეზუმაცია ყოველთვის მოქმედებს თავისუფლების სასარგებლოდ. სტრასბურგის სასამართლოს მიერ მრავალჯერ იქნა გაცხადებული და განმარტებული, რომ

19. *Case of SULAOJA v. ESTONIA*, no. 55939/00, § 64, 15 February 2005

20. *Case of JABŁOŃSKI v. POLAND*, no. 33492/96, § 83, 21 December 2000

21. *Case of GUILTYAYEVA v. RUSSIA* (Application no. 67413/01) JUDGMENT I April 2010 para 189

„მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ ანიჭებს უფლებას ეროვნულ სასამართლოებს არჩევანი გააკეთონ ბრალ-დებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებასა და გამოძიების განმავლობაში მის გათავისუფლებას შორის²². გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანი მსჯავრდებამდე ყოველთვის სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმაციით, პირი რომელიც ეჭვმიტანილი/ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში ყოველთვის უნდა გათავისუფლდეს სასამართლო წარმოების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელისუფლების ორგანოებს და პირველ რიგში ეროვნულ სასამართლოებს შეუძლიათ წარმოადგინონ „შესაბამისი და საკმარისი“ მიზეზები და მტკიცებულებები, განგრძობადი წინასწარი პატიმრობის გასამართლებლად²³. წინასწარი პატიმრობის ნებისმიერი პერიოდი, რაც არ უნდა მცირე დროით გრძელდებოდეს იგი, დამაჯერებლად უნდა იყოს დასაბუთებული და წარმოდგენილი ხელისუფლების ორგანოების მიერ”²⁴.

მიუხედავად სტრასბურგის სასამართლოს კატეგორიული მოთხოვნისა და მისი გადაწყვეტილებების, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულობისა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ ვალდებულებებს პრაქტიკულად არასოდეს ითვალისწინებს, და წინასწარ პატიმრობას ყოველგვარი, ევროპული სასამართლოსათვის დამაკმაყოფილებელი რაიმე მტკიცებულებების გარეშე იყენებს.

22. *Case of BORDIKOV v. RUSSIA* (Application no. 921/03) JUDGMENT 8 October 2009

23. *Case of McKAY v. THE UNITED KINGDOM* (Application no. 543/03) JUDGMENT 3 October 2006 para 41; *Case of CASTRAVET v. MOLDOVA*, no. 23393/05, §§ 30 and 32, 13 March 2007

24. *ibidem*. განსაკუთრებულად საყურადღებოა *Case of BELCHEV v. BULGARIA*, no. 39270/98, para 82, 8 April 2004

დ) ნინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა

კონვენციის მე-5(3) მუხლი მოითხოვს, რომ თავისუფ-
ლების აღკვეთა სასამართლოს გადაწყვეტილებამდე არ
გადაცდეს გონივრულ ვადას. ევროპის სასამართლომ
არაერთხელ დაადგინა, რომ

„პატიმრობის ვადის გაგრძელება შეიძლება გამართლე-
ბული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აშკარა მი-
თითება რეალურ საზოგადოებრივ ინტერესებზე, რომ-
ლებიც გადანონის თავისუფლების უფლებას, მიუხედა-
ვად უდანაშაულობის პრეზუმაციისა“.²⁵

უფრომეტიც, ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ
გონივრული ეჭვის სიმტკიცე დაკავებული პირის მიერ დანა-
შაულის ჩადენის თაობაზე პატიმრობის ვადის გაგრძელების
კანონიერების *sinequanon* პირობაა, რაც გარკვეული დროის
გასვლის შემდეგ აღარ არის საკმარისი. ამის შემდგომ ევ-
როპის სასამართლომ უნდა დაადგინოს, სასამართლო ხე-
ლისუფლების მიერ მითითებული სხვა საფუძვლები კვლავაც
ამართლებს თუ არა თავისუფლების აღკვეთას. როდესაც
ამგვარი საფუძვლები არსებობს და ისინი „საქმესთან დაკავ-
შირებული და საკმარისია“, ევროპის სასამართლო გადადის
მეორე საფეხურზე, რომელიც გულისხმობს იმის დადგენას,
კომპეტენტურმა ორგანოებმა გამოიჩინეს თუ არა „განსა-
კუთრებული გულისხმიერება“ სამართლწარმოებისდროს.²⁶

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პატიმრობის
პერიოდი, რომელსაც განიხილავს ევროპის სასამართლო,
ინყება დაკავების მომენტიდან და გრძელდება პირის გა-
თავისუფლებამდე. თუ პირი არ იქნება გათავისუფლებული
სასამართლო პროცესის დროს, განსახილველი პერიოდი
დამთავრდება მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასა-
მართლო მიიღებს გადაწყვეტილებას (გამამართლებელს ან
გამამტყუნებელს). პატიმრობის პერიოდი, რომელიც მოსდევს

25. იხ. აგრეთვე: *PUNZELT v. THE CZECH REPUBLIC*

26. *Case of W v. SWITZERLAND*, *Case of ASSENOV v. BULGARIA* და *Case of PUNZELT v. THE CZECH REPUBLIC*

პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯავრდებას — მაგალითად, სააპელაციო სამართალწარმოებისას — არ შედის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის განხილვის სფეროში. როგორც ევროპის სასამართლომ დაადგინა, მე-5 (3) მუხლი წყვეტს მოქმედებას პატიმრობასთან მიმართებაში, რომელიც მოყვება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯავრდებას, დაფუძნებულს მე-5(1)(a) მუხლზე.²⁷ თუმცა, თუ სააპელაციო სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და ახალი სასამართლო განხილვა ინიშნება, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პატიმრობის პერიოდი გაუქმებულ და ახალ გადაწყვეტილებას შერის.²⁸ ეს არ ნიშნავს, რომ სასჯელის მოხდის პერიოდი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებამდე მიჩნეულ იქნება, როგორც წინასწარი პატიმრობა მე-5 (3) მუხლის მიზნებისათვის.²⁹

„გონივრულობის“ განსაზღვრისას ევროპის სასამართლოს არასოდეს გამოუთქვამს აზრი, რომ არსებობს წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ხანგრძლივობა, რომლის გადაცილებაც არ შეიძლება. ასეთი მიდგომა ეფუძნება თვითეული საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასების თეორიას, და ნებისმიერი განზოგადება ვადებთან მიმართებაში უნდა შეფასდეს, როგორც *in abstracto* მიდგომა, რასაც გამორიცხავს სასამართლო.³⁰ თუმცა, ნებისმიერი პერიოდი,

27. *Case of B. v. AUSTRIA*, 1990 წლის 28 მარტი

28. *Case of PUNZELT v. THE CZECH REPUBLIC*

29. *Case of I.A. v. FRANCE*

30. იბ. *Case of STÖGMULLER v. AUSTRIA*, *Case of W v. SWITZERLAND*, *Case of WEMHOFF v. THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY*. შედარებით ნაშრომებში მითითებული სამუალო პერიოდების გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანია, რაც ჩამოაყალიბა მოსამართლე პეტიტიონთავის განსვავებულ აზრში საქმეში *W v. SWITZERLAND*. ორ ან სამ თვეზე ნაკლები პერიოდი იყო გათვალისწინებული ძრითად შემთხვევებში, ხოლო ერთ წელზე ნაკლები — ეკონომიკური დანაშაულისა და გაერთიანების საქმეებისათვის. აღნიშნული პერიოდები შეიძლება არ იყოს მისაღები ევროპის საბჭოსათვის, მაგრამ ისინი, შესაძლოა, კვლავ რჩებოდეს ამოსავალ წერტილად იმის განხილვისას, არსებობს თუ არა საქმეში ისეთი ფაქტორები, რაც არასაკამათოდ ხდის წინასწარი პატიმრობის გაცილებით ხანგრძლივ პერიოდს. უფრო მეტიც, რამდენადაც მე-5 (3) მუხლით გათვალისწინებული გონივრულობის გარანტია გამოიყენება მხოლოდ თავისუფლებააღკეთილ

რაც უნდა მოკლე იყოს, ყოველთვის უნდა იყოს დასაბუთებული. ევროპის სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს საქმის კონკრეტული გარემოებების მნიშვნელობას. თუ მთელ რიგ საქმეებში პერიოდები, რომლებიც აღემატებოდა ერთ წელს, მიჩნეულ იქნა გადაჭარბებულად,³¹ არის საქმეები სადაც, პერიოდები ორიდან სამ წლამდე აღმოჩნდა მისაღები.³² შეხედულებათა შორის ანალოგიური სხვაობა შეიძლება ასევე დანახულ იქნეს სამიდან ოთხ წლამდე პერიოდებს შორის.³³

ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს ნინასწარი პატიმრობის მაქსიმალურ პერიოდს, თავისთავად არ ქმნის პრობლემებს კონვენციის შესაბამისობასთან დაკავშირებით. თუმცადა, უეჭველად შეცდომა იქნებოდა ამ ნიშნით ხელმძღვანელობა, რამდენადაც სწორედ საქმის კონკრეტული გარემოებები განსაზღვრავს, არის თუ არა გადაცილებული გონივრული ვადა.

უფრო ხანგრძლივი პერიოდები არასაკამათოდ იქნა მიჩნეული იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი ჰქონდა საქმის სირთულით გამოწვეულ სიძნელეებს, რაც გამომდინარეობ-

პირთა მიმართ, მნიშვნელოვანია იმის მხედველობაში მიღება, რომ ევროპის სასამართლოს მითითებები სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობასთან დაკავშირებით მე-6 (1) მუხლის თანახმად — რომელიც გამოიყენება ყველა სახის სამართალწარმოებაზე — არ უნდა იქნეს მიჩნეული სახელმძღვანელოდ, თუ რა არის მისაღები, რამდენადაც განმცხადებლები ყოველთვის არ არიან დაპატიმრებულნი და, ამდენად, შესაძლებელია, მეტი დრო არსებობდეს გაჭიანურებისათვის. საქმეებში: *I.A. v. FRANCE* და *B. v. AUSTRIA*, ევროპის სასამართლომ დაადგინა მე-5 (3) მუხლის და არა მე-6 (1) მუხლის დარღვევა

31. *ib. Case of JĘĆIUS v. LITHUANIA* (14 თვე და 26 დღე)

32. *ib. Case of LETELLIER v. FRANCE* (2 წელი და 9 თვე); *Case of PUNZELT v. THE CZECH REPUBLIC* (2 წელი და 6 თვე), *Case of STÖGMULLER v. AUSTRIA* (2 წელი და 1 დღე), *Case of KUDLA v. POLAND* (ორი წელი, ოთხი თვე და სამი დღე)

33. ასეთი პერიოდი მისაღებად ჩაითვალა საქმეში *W v. SWITZERLAND* (4 წელი და 3 დღე), მაგრამ მიჩნეულ იქნა საკამათოდ საქმეებში: *CLOOTH v. BELGIUM* (3 წელი, 2 თვე და 4 დღე), *MULLER v. FRANCE* (3 წელი, 11 თვე და 27 დღე), *ČESKZ v. THE CZECH REPUBLIC* (3 წელი, 3 თვე და 7 დღე), *TRZASKA v. POLAND* (3 წელი და 6 თვე), *BARFUSS v. THE CZECH REPUBLIC* (3 წელი, 5 თვე და 19 დღე)

და დანაშაულის ხასიათიდან³⁴ და/ან პოტენციური ეჭვმიტანილების რაოდენობიდან, ან ბრალდებული პირის ქცევიდან. თუმცალა, ფაქტორებს, რომლებიც საქმეს განსაკუთრებით ართულებს, შეუძლია, მხოლოდ მაშინ გაამართლოს თავისუფლების ადგვეთა, როდესაც ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები იჩენნ “განსაკუთრებულ გულისხმიერებას” სამართალწარმოების პროცესში.³⁵ პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ მე-5(3) მუხლის ბევრი დარღვევა შედეგია უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასამართლო განხილვამდესაქმის წარმოების პერიოდში,³⁶ ან ექსპერტების მიზეზით გამოწვეული გაჭიანურების,³⁷ არაადეკვატური პირობების ან სამუშაო პრაქტიკის,³⁸ თანა-

34. ეს განსაკუთრებით შეეხება თაღლითობასთან დაკავშირებულ დანაშაულებს, მაგრამ ასევე გამოიყენება იმ დანაშაულთა მიმართ, რომლებიც აერთიანებს დოკუმენტაციის დიდ მოცულობასა და მოწმეთა დიდ რაოდენობას. მაგალითად, *W v. SWITZERLAND*, 1993 წლის 26 იანვარი (ფართომასტყაბიანი თაღლითობა, რომელიც შეეხებოდა სამოცი კომპანიის მართვას)

35. თუმცა ეს მოთხოვნა ყველა შემთხვევას ეხება, ევროპის სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა საქმეში *ASSENOV v. BULGARIA*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, როდესაც საქმე შეეხებოდა არასრულწლოვანს)

36. *Case of ASSENOV v. BULGARIA*, რომელშიც ერთი წლის მანძილზე რეალურად ჰქონდა ადგილი უმოქმედობას; *Case of PUNZELT v. THE CZECH REPUBLIC*, რომელშიც საქმის განმნილველმა სასამართლომ არ მიიღო მეორე გადაწყვეტილება ათი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც გაუქმდა პირველი გადაწყვეტილება; *Case of BARFUSS v. THE CZECH REPUBLIC*, რომელშიც არ იყო განმარტებული — გარდა იმისა, რომ საქმე იყო რთული — წინასწარ პატიმრობაში ყოფნასა და ბრალდებას შორის თერთმეტი თვის პერიოდი, ისევე როგორც შემდეგი რვა თვის გაჭიანურება შემდგომი გამოძიების თაობაზე გაუქმებულ გადაწყვეტილებასა და საქმის პირველ არსებით მოსმენას შორის

37. ძირითადად დადგენილ ვადაში მოხსენების წარუდგენლობა; იხ. *Case of CLOOTH v. BELGIUM*

38. იხ. *Case of ASSENOV v. BULGARIA*, რომელშიც ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ არასაჭიროებისამებრ იყო დაკარგული დრო გამოძიების არსებითად შეჩერების შედეგად განმცხადებლის მიერ გათავისუფლების თაობაზე ყოველი საჩივრის შეტანისას, რადგანაც, მიღებული პრაქტიკის თანახმად, ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს ეგზავნებოდათ საქმის მასალების ორიგინალები და არა ასლები

მშრომელთა საკადრო სირთულეების³⁹ან იმ პრობლემების გამო, რომლებიც მოყვება მოწმის დაცვის აუცილებლობას.⁴⁰

კონვენციის მე-5(3) მუხლის დარღვევა იქნება დადგენილი იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულმა სასამართლოებმა გაახანგრძლივეს წინასწარი პატიმრობა სასჯელის სიმკაცრის არგუმენტით და არსებული ფაქტების სრული იგნორირებით. მაგალითად, დაკავებულ პირს ჰყავს ოჯახი, ცხოვრების სტაბილური წესი და გარკვეული დროის შემდეგ შეთქმულების ან მიმალვის მოსალოდნელმა საშიშროებამ აზრი დაკარგა. ასეთი შემთხვევის მაგალითია *Sakmilje Ilijkov v. Bulgaria*, რომელშიც განმცხადებელი სამი წლისა და ოთხი თვის განმავლობაში იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში.⁴¹

რთულ საქმეებში დროის ხანგრძლივი პერიოდები ჩაითვალა არასაკამათოდ, როდესაც ევროპის სასამართლომ მიიჩნია, რომ გამომძიებლებმა მოკვლევა განახორციელეს აუცილებელი სისწრაფის მოთხოვნების დაცვით და, რომ არავითარ გაჭიანურებას ადგილი არ ჰქონია ფულადი სახსრების, პერსონალის თუ ტექნიკური აღჭურვილობის უკმარისობის გამო.⁴² ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ განსაკუთრებულ საქმეთა განსახილვები და შეიქმნას სპეციალური განყოფილება ან დამატებითი რესურსები იქნეს მოზიდული; ყოველივე ამის მიუხედავად, არსებითი იქნება იმის აღნიშვნა, რომ სამართალწარმოების მთელი ხანგრძლივობა კონტროლის ქვეშ იყოს და ყველა აუცილებელი ღონისძიება იქნეს მიღებული მის დასაჩქარებლად. საქმის ასეთი განხილვა და მისი

39. იბ. *Case of STÖGMULLER v. AUSTRIA*, მომზადების ადეკვატური დონის თვალსაზრისით; *Case of Clooth v. Belgium* და *Case of MULLER v. FRANCE* — საქმეზე პასუხისმგებელი პირების შეცვლა დანინაურების, განანილების ან პენსიაზე გასვლის შედეგად; *Case of TRZASKA v. POLAND*, რომელშიც სამართალწარმოება ცხრა თვის განმავლობაში იყო სრულიად შეჩერებული, როდესაც მომხსენებელი მოსამართლის ავადმყოფობის გამო შეიცვალა სასამართლოს შემადგენლობა

40. იბ. *Case of CLOOTH v. BELGIUM*

41. 2001 წლის 26 ივნისი

42. მაგალითად, *W v. SWITZERLAND*

დაჩქარებისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს სასამართლოს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გათავისუფლების თაობაზე საჩივრების განხილვის პროცესში.

ევროპის სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ეჭვმიტანილი ვალდებულია, ითანამშრომლოს გამოძიებასთან, მაგრამ უამისოდ მისი საქციელიჩაითვლება გამოძიების მთელი პროცესის შემაფერხებელ ფაქტორად. წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივება დაუშვებელია „გამოძიების ინეტერსებიდან გამომდინარე“. ხსენებული სასამართლომ ნათლად განაცხადა საქმეში *Clooth v. Belgium*,⁴³ რომელშიც ხელისუფლების ორგანოებმა განმცხადებლისათვის წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივების მოტივად მის მიერ ჩვენებების ხშირი შეცვლა დაასახელეს. სტრასბურგის სასამართლომ უარყო ხსენებული საფუძვლით წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივების მართლზომიერება.

წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივება ასევე დაუშვებელია იმ საფუძვლით, რომ გარკვეული დროა საჭირო გამოძიებისათვის აუცილებელი დოკუმენტების თუ საექსპერტო დასკვნის მისაღებად⁴⁴. საქმეში *Kulikowski v. Poland*სასამართლომ გაუმართლებლად ჩათვალა წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივება იმ მოტივით, რომ გამოძიებას ესაჭიროებოდა ექსპერტის დასკვნა, რომლის წარმოდგენასაც გარკვეული დრო სჭირდებოდა⁴⁵. თანამშრომლობის არარსებობა, ისევე როგორც რაიმე რეალური დაპრკოლება, ასევე იქნება გასათვალისწინებელი იმის შეფასებისას, არის თუ არა გადაჭარბებული წინასწარი პატიმრობის მთელი პერიოდი.⁴⁶ ნებისმიერ შემთხვევაში არ შეიძლება შესაძლო

43. Judgment of 12 December 1991, Series A no. 225, p. 16, § 44

44. Case of *CAPUANO v. ITALY*, 25 June 1987, § 32, Series A no. 119; *Case of MUSIAL v. POLAND [GC]*, no. 24557/94, § 46, ECHR 1999-II

45. *Case of KULIKOWSKI v. POLAND* (Application no. 18353/03) JUDGMENT 19 May 2009

46. იხ. *W v. SWITZERLAND*, რომელშიც განმცხადებელმა არ მისცა ჩვენება იმ პირებს, რომლებიც იკვლევდნენ სამოცი კომპანიის მართვასთან დაკავშირებულ თაღლითობას

დამაბრკოლებელ საქციელზე დაყრდნობა, რათა გამართლებულ იქნეს წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა, რომელიც უკვე ისედაც არაგონივრულია.⁴⁷ საქმეში *Jablonski v. Poland*⁴⁸ ეროვნულმა სასამართლოებმა გაახანგრძლივეს განმცხადებლის პატიმრობა კანონმდებლობით დადგენილ (სამი წლის) ვადაზე მეტი ხნით, რადგანაც მან პატიმრობის ვადის გაგრძელებამდე ჭრილობები მიაყენა საკუთარ თავს და, ამგვარად, ხელი შეუშალა სასამართლო განხილვის მიმდინარეობას. ევროპის სასამართლომ აღიარა მე-5 (3) მუხლის დარღვევაც და განაცხადა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა — როდესაც მიიღეს გადაწყვეტილება სასამართლო პროცესის ჯეროვანი განხორციელების უზრუნველსაყოფად განმცხადებლის დაპატიმრების თაობაზე — არ გაითვალისწინეს რამე ალტერნატიული „აღკვეთის ღონისძიება“, მაგალითად, გირაო ან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა.⁴⁹

ე) პატიმრობის კანონიერების გასაჩივრება

სასამართლო ზედამხედველობასთან ერთად, რომელსაც, მე-5(3) მუხლის თანახმად, უნდა ახორციელებდნენ პატიმრობაზე უფლებამოსილი ხელისუფლების ორგანოები, მე-5(4) მუხლი უზრუნველყოფს პატიმრის უფლებას, გაასაჩივროს პატიმრობის კანონიერება სასამართლოს წინაშე, რომელმაც სწრაფად უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება გათავისუფლების შესახებ, თუ პატიმრობა არა-კანონიერია.

კონვენციის მე-5(4) მუხლი მოითხოვს, არსებობდეს *habeas corpus*-ის მსგავსი საშუალება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება პირის პატიმრობის კანონიერების გადასინჯვა. ამ დებულების ვალდებულების ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ზედამხედველობა უნდა ხორციელდე-

47. *ibid. Case of STÖGMULLER v. AUSTRIA*

48. 2000 წლის 21 დეკემბერი

49. *Case of KULIKOWSKI v. POLAND* (Application no. 18353/03) JUDGMENT

ბოდეს სასამართლოს მიერ და მოიცავდეს ზეპირ განხილვას, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი იქნება სამართლებრივი დახმარება და მხარეთა შეჯიბრებითობა. ეს უკანასკნელი ასევე გულისხმობს, პატიმრობის კანონიერებას ფართო გაგებით და სწრაფ მართლმსაჯულებას.

კონვენციის მე-5(4) მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება გამოიყენება ყოველთვის, პატიმრობის საფუძვლის მიუხედავად. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სასამართლოსათვის მიმართვის საშუალება ყველა, მათ შორის, მე-5(1) მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებშიც.⁵⁰

ეროვნული სასამართლოების მიერ პატიმრობის კანონიერების გადასინჯვასთან მიმართებაში სტრასბურგის სასამართლომ შემდეგი უმნიშვნელოვანესი პრინციპები და მოთხოვნები ჩამოაყალიბა:

- ა) მე-5(4) მუხლის თანახმად დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირებს უფლება აქვთ გადასინჯულ იქნეს მათი პატიმრობის კანონიერება, როგორც არსებოთად ასევე პროცედურულად⁵¹. ამასთანავე, კანონმდებლობით უნდა განმტკიცდეს რომ, გადასინჯვის შედეგად შესაძლებელი იყოს ბრალდებულის გათავისუფლებასთან დაკავშირებით სწრაფი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება, თუკი დამტკიცებულ იქნა, რომ პატიმრობა არაკანონიერია ან გაუმართლებელი გახდა გარკვეული დროის შემდეგ და მოვლენებიდან გამომდინარე⁵²;
- ბ) სასამართლოს მიერ პატიმრობის კანონიერების გადასინჯვა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ გადასინჯვის უფლება არ იყოს თეორიული და ილუზიური, არამედ იყოს პრაქტიკული და ეფექტური⁵³;

50. თუმცადა, მისი გამოყენება მე-5 (1) (f) და მე-5 (1) (a) მუხლებთან შეზღუდულია

51. *Brogan and Others v. the United Kingdom*, 29 November 1988, § 65,

52. *Case of BARANOWSKI v. POLAND*, no. 28358/95], § 68 [ECHR 2000-III]

53. *Case of ARTICO v. ITALY*, 13 May 1980, § 33, Series A no. 37, and *Case of SCHÖPS v. GERMANY*, no. 25116/94, § 47, ECHR 2001-I

- გ) გადასინჯვის სასამართლო საშუალება უნდა იყოს ნათელი, ხელმისაწვდომი და ეფექტური⁵⁴;
- დ) მე-5(4) მუხლი არ ავალდებულებს სახელმწიფოებს შექმნას სასამართლო გადასინჯვისათვის მეორადი საფეხური (აპელაციის უფლება). თუმცა, სახელმწიფოებმა, რომლებშიც ასეთი სისტემა მოქმედებს, უნდა უზრუნველყონ შესაბამისი პატიმრებისათვის იგივე გარანტიები აპელაციისას, როგორც პირველი ინსტანციის წინაშე პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დროს⁵⁵.
- ე) არ არის აუცილებელი მე-5(4) მუხლთან დაკავშირებულისამართალწარმოება აკმაყოფილებდეს ყველა იმ კრიტერიუმს, რომელიც მოთხოვნილია სამართლიანი სასამართლოს უფლებით (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი)⁵⁶. თუმცა ეს აუცილებლად უნდა იყოს სასამართლო სამართალწარმოება და პირს უნდა უზრუნველყოფდეს იმ გარანტიებით, რომელთა გამოყენებითაც იგი ეფექტურიანად იდავებს მის მიმართ პატიმრობის შეფარდების სამართლიანობასთან დაკავშირებით⁵⁷. იმისათვის, რომ შეფასებულ იქნეს თუ რამდენად ეფექტურიანად ხორციელდება გადასინჯვის პროცედურა გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული გარემოებები და სამართალწარმოების ხასიათი⁵⁸. ნებისმიერ შემთხვევაში ხსენებული სამართალწარმოება უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანი სასამართლოს ძირითად მოთხოვნებს.⁵⁹

54. *Case of E. v. NORWAY*, 29 August 1990, § 60, Series A no. 181-A, and *Case of SAKIK AND OTHERS v. TURKEY*, 26 November 1997, § 53, *Reports of Judgments and Decisions* 1997-VII

55. *Case of TOTH v. AUSTRIA*, 12 December 1991, § 84, Series A no. 224; see also *Case of RUTTEN v. THE NETHERLANDS*, no. 32605/96, § 53, 24 July 2001, and *Case of LANZ v. AUSTRIA*, no. 24430/94, § 42, 31 January 2002

56. *Case of REINPRECHT v. AUSTRIA*, no. 67175/01, § 39, ECHR 2005-XII

57. *Case of D.N. v. SWITZERLAND* [GC], no. 27154/95, § 41, ECHR 2001-III

58. *Case of MEGYERI v. GERMANY*, 12 May 1992, § 22, Series A no. 237-A

59. *Case of LIETZOW v. GERMANY*, no. 24479/94, § 44, ECHR 2001-I, and *SCHÖPS case*, cited above, § 44

- 3) უმნიშვნელოვანესი გარანტია, რომელიც გამომდინარეობს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტიდან არის ეფექტურიანი სასამართლო მოსმენა რომლის მეშვეობითაც შესაბამის პირს მიეცემა საშუალება გაასაჩივროს თავისი პატიმრობის მართლზომიერება. გადაწყვეტილების მიღებისას მართალია მოსამართლე არ არის ვალდებული ამ სამართალწარმოების განმავლობაში წამოჭრილ ყველა საკითხთან დაკავშირებით გასცეს ამომწურავი პასუხი, მაგრამ ხსენებულ გარანტიას საერთოდ აზრი არ ექნებოდა თუკი ეროვნულ მოსამართლეს ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით ექნებოდა შესაძლებლობა შეუსაბამოდ ჩაეთვალა, ან არ განეხილა კონკრეტული ფაქტები, რომლებსაც პატიმრობაში მყოფი პირი მნიშვნელოვნად მიიჩნევს მისი პატიმრობის საკითხის გადაწყვეტასთან მიმართებაში⁶⁰.
- გ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს, რომ აუცილებლად გაიმართოს ზეპირიმოსმენა პატიმრობის კანონიერების საკითხის გადაწყვეტისას⁶¹. მოსმენა უნდა იყოს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული, მოიცავდეს სამართლებრივ წარმომადგენლობას და შესაბამის შემთხვევებში მოწმეთა გამოძახების და დაკითხვის შესაძლებლობას⁶².
- თ) სამართალწარმოება უნდა უზრუნველყოფდეს მხარეთა შორის, ანუ პროკურორსა და პატიმარს შორის, თანასწორობას⁶³. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიად ითვლება საგამოძიებო მასალებზე ხელმისაწვდომობა, ეფექტური უფლება პატიმარმა სადაოდ გახადოს ის არგუმენტაცია და ფაქტები, რომლის საფუძველზეც

60. *Case of NIKOLOVA v. BULGARIA* [GC], no. 31195/96, § 61, ECHR 1999-II

61. *Case of KAMPANIS v. GREECE*, 13 July 1995, § 47, Series A no. 318-B, and *Case of WLOCH v. POLAND*, no. 27785/95, § 126, ECHR 2000-XI

62. *Case of HUSSAIN AND SINGH v. THE UNITED KINGDOM*, 21 February 1996, § 60 and § 68 respectively, *Reports* 1996-I

63. *NIKOLOVA case*, cited above, § 58, and *WLOCH case*, loc. cit.

უფარდებენ წინასწარ პატიმრობას. ხელისუფლების ორგანოების წინაშე უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა არის ის, რომ პატიმრობის გადასინჯვის პროცედურის შესახებ დაცვის მხარეს ეცნობოს და გააჩნდეს შესაძლებლობა წარადგინოს კომენტარები იმ არგუმენტა-ციასთან დაკავშირებით, რომლის საფუძვლზეც მას უგრძელდება წინასწარი პატიმრობა⁶⁴. განსაკუთრებული ყურადღება ამ მხრივ უნდა მიქცეს საქართველოს წინააღმდეგ 2010 წლის 27 მაისს სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე **საღინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ**⁶⁵, რომელშიც სასამართლომ განაცხადა, რომ „შიდა კანონმდებლობით და პრაქტიკით, პროცურორს უპირატესობა გააჩნდა საქმის განმხილველი სასამართლოსათვის, საბრალდებო დასკვნასთან ერთად, მიემართა შუამდგომლობებით სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რომლებზეც პირველი განმცხადებელი ვერ იდავებდა ვერც ზეპირსიტყვიერად და ვერც წერილობით. შესაბამისად, 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო განხილვა მოკლებული იყო შეჯიბრებითობას, და ხსენებულის დროს დარღვეული იყო მხარეთა თანასწორობის პრინციპი“.

სასამართლო სამართალწარმოების ეტაპზე წინასწარი პატიმრობის გაგრძელებისას, სტრასბურგის სასამართლომ კატეგორიულად უარყო წინასწარი პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებული სტერეოტიპული გადაწყვეტილებები, მითუმეტეს ე.წ. ბლანკების შემუშავების პრაქტიკა.

საქმეში *Case of Svipsta v. Latvianasasa Mārta* განსაკუთრებული ყურადღება გამახვილა ამ ფაქტზე და 131-ე პუნქტში აღნიშნა, რომ კომპიუტერზე ამობეჭდილი და შემ-

64. LIETZOW Case, § 44, and SCHÖPS Case, § 44

65. CASE OF SAGHINADZE AND OTHERS v. GEORGIA განაცხადი 18768/05

დგომ ხელით შევსებული გადაწყვეტილება თავისთავად არ-ლვევს მე-4 მუხლის მე-4 პუნქტს. სასამართლომ ამავე საქმე-ში კონვენციის დარღვევად მიიჩნია მოსამართლის ბრძანება, რომელიც სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში განუსაზღვრელი ვადით ბრძანებდა ბრალდებულის წინასწარ პატიმრობას⁶⁶.

ვ) იძულების ღონისძიების სახით წინასწარი პა-ტიმრობის შეფარდების პროცესუალური გარანტი-ები

1. სასამართლოს აუცილებლობა

კონვენციის მე-5(4) მუხლში სასამართლოზე აშკარა მი-თითება გამორიცხავს დებატებს იმის შესახებ, შეიძლება თუ არა, ეს საკითხი პროკურორმა გადაწყვიტოს. საქმეში *Vodenicarov v. Slovakia* ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ გან-მცხადებლის შესაძლებლობა, დახმარებისათვის მიმართოს პროკურორს, არ აკმაყოფილებს მე-5(4) მუხლის მოთხოვნებს, რადგან „პროკურორის მიერ საქმის წარმოება მოკლებულია სასამართლო განხილვის ხასიათს“.⁶⁷

არსებითი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ სამართალ-წარმოება ხორციელდებოდეს მოსამართლის წინაშე და აკმაყ-ოფილებდეს სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებს, განსაკუთრებით მე-6 მუხლის დებულებებს, რომლებიც ეხება დამოუკიდებლობასა და მიუკერძოე-ბლობას. დამოუკიდებლობის მოთხოვნა ვერ იქნება დაკამაყ-ოფილებული, თუ განხილვას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო. ასევე ეჭვეჭვება დადგება მიუკერ-ძოებლობის საკითხი, თუ მოსამართლე საქმეში გარკვეულ-წილად ადრეც მონაწილეობდა, მაგალითად, დაეთანხმა გად-აწყვეტილებას პირის წინასწარი პატიმრობის შესახებ მისი თავდაპირველი დაკავების შემდეგ. ყოველივე ამის მიუხედა-

66. *Case of SVIPSTA v. LATVIA*, para 133

67. *Case of Vodenicarov v. Slovakia*, 2000 წლის 21 დეკემბერი

ვად, ევროპის სასამართლომ მიუღებლად არ ცნო ამ ფუნქციის შესრულება გამომძიებელი მოსამართლის მიერ, თუმცა, შესაძლოა ყოფილიყო კონფლიქტი ამ მოსამართლის ინტერესებსა — რომელიც გულისხმობდა გამოძიების ეფექტურად ჩატარებას — და მზადყოფნას შორის, საჩივარზე დაყრდნობით ბრალდებული გათავისუფლებულიყო.

ნებისმიერ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია, სასამართლოს გააჩნდეს პირის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება; თუ ის შეზღუდულია რეკომენდაციების მიცემით ან სხვა მსგავსი საშუალებების უზრუნველყოფით არაკანონიერ პატიმრობასთან დაკავშირებით (მაგალითად, საქმეში *Van Droogenbroek v. Belgium*, რომელშიც სისხლის სამართლებრივი სასჯელი შეიძლება შეფარდებოდა პასუხისმგებელ მოხელეს), ეს არ დააკმაყოფილებს მე-5(4) მუხლის მოთხოვნებს. ამ დებულების მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირისათვის უნდა არსებოდეს გათავისუფლების შესაძლებლობა, თუ პატიმრობა არაკანონიერი აღმოჩნდება.

2. პირადად წარდგენა

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო ზედამხედველობის ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ აღმოჩენილ იქნეს წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას დაშვებული შეცდომები და დარღვევები. ამგვარი მოთხოვნა ძალზედ კონკრეტულია, ვინაიდან დაპატიმრებული პირი, როგორც წესი, უნდა წარდგეს სამართლოს წინაშე იმისათვის, რათა გადაწყდეს, პატიმრობა არის თუ არა კანონიერი. ასე მაგალითად, მე-5(4) მუხლის დარღვევა იყო აღმოჩენილი საქმეში *Kappanis v. Greece*, რომელშიც სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებით წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს არ მიეცა ნება, წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე.

ევროპის სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოების მნიშვნელობას, რომ პატიმარს ქონდეს შესაძლებლობა და

უფლება ეპაექროს პროცესურორის მიერ წარდგენილ არგუმენტაციას, როგორც წინამდებარე საქმეში, როდესაც პატიმარი ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ მისი პატიმრობა შეუსაბამო იყო კანონმდებლობასთან. შესაბამისად, არსებობს ვარაუდი, რომ სასამართლოს წინაშე მისი პირადად წარდგენა შეამცირებდა პატიმრობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას.

3. სამართლებრივი კონსულტაციების ხელმისაწვდომობა, შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა

გათავისუფლების თაობაზე საქმის მომზადების დროს უფრო მეტად არის შესაძლებელი, რომ საჩივრის საფუძველმა წამოჭრას რთული სამართლებრივი საკითხები, მით უფრო, რომ პატიმართა უმეტესობას ნაკლებად აქვს აუცილებელი არგუმენტაციის მომზადების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, პატიმარს ხელი მიუწვდებოდეს სამართლებრივ დახმარებაზე, რათა სათანადოდ მოემზადოს გასაჩივრებისათვის.

იმ შემთხვევებში, როდესაც პატიმარს არ შეუძლია ადვოკატის აყვანა, ხარჯები უნდა გაიღოს სახელმწიფომ. საქმეში *Woukam Moudefo v. France* ევროპის სასამართლომ დაადგინა მე-5(4) მუხლის დარღვევა, რამდენადაც ბრალდებულს არ დაუნიშნეს ადვოკატი საკასაციო სასამართლოში გათავისუფლების თაობაზე გასაჩივრების დროს მაშინ, როცა აპელაცია იხილავდა კანონიერების საკითხებს. აგრეთვე საქმეში *Megyeri v. Germany* ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ დაპატიმრებულ პირს, როგორც სულიერად დაავადებულს, ჰქონდა უფლება, ყოფილიყო წარმოდგენილი საქმის განხილვების დროს, თუ არ იქნებოდა რაიმე განსაკუთრებული გარემოები, რომლებიც სხვა რამეს ითვალისწინებდა.

უფრო მეტიც, სასამართლომ სხვადასხვა საქმეებში ცალსახად აღნიშნა, რომ პატიმრობაში მყოფ პირს არ უნდა

მოეთხოვოს დაცვის მოთხოვნის შესახებ ინიციატივით გამოსვლა, იმისათვის რომ მიიღოს სამართლებრივი დახმარება. სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ამ უკანასკნელს. თავად სამართლებრივი დახმარების ხასიათი კი სცილდება საჩივრის მომზადებას და გულისხმობს წარმომადგენლობას სასამართლოში საქმის წარმოების დროს.

სამართალწარმოება უნდა იყოს ასევე შეჯიბრებითი და დაცული უნდა იყოს მხარეთა თანასწორობის მოთხოვნები, რომლებიც ევროპის სასამართლომ მე-6 მუხლში შეიმუშავა, რაც გულისხმობს, რომ პირი, რომელიც ცდილობს გათავისუფლებას, უნდა იცნობდეს მისი პატიმრობის გასამართლებლად წარდგენილ არგუმენტაციას, ასევე მხარდამჭერ მტკიცებულებებს და უნდა ჰქონდეს მათზე ადეკვატური რეაგირების შესაძლებლობა. სრულიად მიუღებელია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქმეში *Tothv. Austria*, რომ პატიმრის არყოფნის შემთხვევაში სასამართლომ მოუსმინოს მხოლოდ ბრალმდებელ მხარეს. ანალოგიურად დადგინდა მე-5(4) მუხლის დარღვევა საქმეში *Lamyv. Belgium*, რომელშიც სახელმწიფოს ადვოკატს საქმის მომზადების დროს ხელი მიუწვდებოდა ოფიციალურ დოკუმენტაციაზე, პატიმარს კი — არა.

მომზადებისათვის ჯეროვანი შესაძლებლობა ასევე გულისხმობს, რომ პატიმარს უნდა ჰქონდეს საამისოდ საკმარისი დრო. თუ გასაჩივრების შესაძლებლობა მეტისმეტად სწრაფია, მაშინ მიმართვის საშუალება იქნება უფრო ფორმალური, ვიდრე ქმედითი. ანალოგიურად, პატიმარს ხელი უნდა მიუწვდებოდეს საშუალებებზე, რომლებიც საჭიროა მისი საქმის მოსამზადებლად; ეს შეიძლება ნიშნავდეს იურიდიული ლიტერატურით უზრუნველყოფას, და, რა თქმა უნდა, შესაძლებლობას, განიხილოს საქმე თავის ადვოკატთან ერთად პატიმრობის განხორციელებაზე უფლებამოსილი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მიყურადების გარეშე.

საქმეში *Niedbalav. Poland* ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ყოველთვის

აუცილებელი, მე-5(4) მუხლით გათვალისწინებულ პროცედურას ჰქონოდა იგივე გარანტიები, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-6(1) მუხლი, მას მაინც „უნდა გააჩნდეს სასამართლო ხასიათი და უზრუნველყოს გარანტიები, რომლებიც შეესაბამება განსახილველი თავისუფლების აღკვეთის სახეს“. ევროპის სასამართლომ შემდეგში აღნიშნა, რომ

„განსაკუთრებით საქმის წარმოების დროს, როდესაც განიხილება საჩივარი პატიმრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, პროკურორსა და დაპატიმრებულ პირს შორის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს „მხარეთა თანასწორობა“⁶⁸

Niedbala-ს საქმეში ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროს მოქმედი კანონი განმცხადებელს ან მის ადვოკატს, არ აძლევდა უფლებას დასწრებოდა სასამართლო სხდომას და არ მოითხოვდა, რომ პროკურორის მიერ წარდგენილი მასალები, რომლებიც მხარს უჭერდა პატიმრობას, გადასცემოდა განმცხადებელს ან მის ადვოკატს. შედეგად, განმცხადებელს არ ჰქონდა პროკურორის არგუმენტაციაზე კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, მაშინ, როცა განმცხადებელს ან მის ადვოკატს არ ჰქონდათ უფლება, დასწრებოდნენ სასამართლო სხდომას, რომელზეც პატიმრობის კანონიერება განიხილებოდა, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა პროკურორს აძლევდა ამის შესაძლებლობას. შესაბამისად, ევროპის სასამართლომ ცნო მე-5 (4) მუხლის დარღვევა.⁶⁹

საქმეში *Ilijkov v. Bulgaria* ევროპის სასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ სამართალწარმოება, რომლითაც ხდება პატიმრობის გასაჩივრება, „უნდა იყოს შეჯიბრებითი და ადეკვატურად უზრუნველყოფდეს „მხარეთა თანასწორობას“ მხარეთა — პროკურორსა და პატიმარს — შორის.“ რამდენადაც

68. იხ. აგრეთვე: *Nikolova v. Bulgaria*, 1999 წლის 25 მარტი

69. 2000 წლის 4 ივლისი; ანალოგიური მითითება გააკეთა ევროპის სასამართლომ საქმეებში: *Trzaska v. Poland*, 2000 წლის 11 ივლისი; *Kawka v. Poland*, 2001 წლის 9 იანვარი

უზენაესი სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების დროს პროკურატურას ენიჭებოდა უპირატესობა, მოსამართლე-თათვის მიემართა არგუმენტებით, რომლებსაც არ იცნობდა განმცხადებელი, სამართალწარმოება არ იყო შეჯიბრებითი და წარმოადგენდა მე-5 (4) მუხლის დარღვევას.⁷⁰

4. კანონიერების განსაზღვრა

როდესაც საუბარია, შესრულდა თუ არა მე-5(4) მუხლის მოთხოვნები, კანონიერების ცნება ყოველთვის გულისხმობს კონვენციის ნორმებთან შესაბამისობას. დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, კითხვის ქვეშ დააყენოს მისი პატიმრობის შესაბამისობა ეროვნული კანონმდებლობისა და კონვენციის მოთხოვნების მიმართ, ისევე როგორც დასვას დაპატიმრების თვითნებურობის საკითხი. ამასთანავე მნიშვნელოვანია, პროცედურა პატიმარს აძლევდეს საშუალებას, გაასაჩივროს დანაშაულის თაობაზე მის მიმართ არსებული ნებისმიერი ეჭვის გონივრულობა.

საქმეში *Jēcius v. Lithuania* სასამართლომ განმარტა, რომ მე-5(4) მუხლი

„დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირებს აძლევს უფლებას, განხილულ იქნეს მათი თავისუფლების აღკვეთა კონვენციის ტერმინებით, მხედველობაში ექნებათ რა „კანონიერებისათვის“ არსებითი პროცედურული და სუბსტანციური პირობები. ეს ნიშნავს, რომ კომპეტენტურმა სასამართლომ უნდა შეამოწმოს არა მარტო ქვეყნის შიდა კანონმდებლობის პროცედურულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, არამედ ეჭვის გონივრულობა, რომელიც ამყარებს დაკავების საფუძველს, და მიზნის კანონიერება, რომელსაც ემსახურება დაკავება და შემდგომში — პატიმრობა.“

70. *Case of Iljikov v. Bulgaria* 2001 წლის 26 ივლისი

Jecius საქმეში ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოებმა, რომლებმაც განახორციელეს განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა, არ მიუთითეს განმცხადებლის საჩივრებზე მისი პატიმრობის არაკანონიერების შესახებ. უფრო მეტიც, ზემდგომმა სასამართლოებმა, მართალია, აღიარეს, რომ კითხვას ბადებდა განმცხადებლის პატიმრობის კანონიერება, მაგრამ მაინც არ განიხილეს მისი პრეტენზია.

საქმეში *Ilijkov v. Bulgaria* ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მე-5(4) მუხლი არ მოითხოვს, პატიმრობის კანონიერების განხილვისას მოსამართლებმა მხედველობაში მიიღონ განმცხადებლის მიერ წარდგენილი ყოველი არგუმენტი, მე-5(4) მუხლით გათვალისწინებული უფლება დაკარგავს თავის არსს, თუ მოსამართლე უგულებელყოფს ან საქმესთან კავშირში არ მიიჩნევს პატიმრის მიერ წამოყენებულ კონკრეტულ ფაქტებს, რომლებსაც შეუძლიათ, კონვენციის მნიშვნელობით „კანონიერებისათვის“ აუცილებელი პირობების არსებობა ეჭვქვეშ დააყენონ. აღნიშნულ საქმეში სასამართლოებმა უარი თქვეს, განეხილათ განმცხადებლის არგუმენტაცია და მის წინააღმდეგ გონივრული ეჭვის მხარდამჭერი მტკიცებულება, რადგანაც მიიჩნევდნენ, რომ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებით წინასწარ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვამდე და, ამდენად, მიკერძოებულები იქნებოდნენ. ბულგარეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ბრალდებულის პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ევალებოდა იმავე მოსამართლეს, რომელსაც შემდგომში არსებითად უნდა განეხილა საქმე. ევროპის სასამართლომ განმარტა:

„ის ფაქტი, რომ საქმის განმხილველმა მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის შესახებ, არ შეიძლება თავისთავად ამართლებდეს შიშს, რომ იყი არ არის მიუკერძოებული. ჩვეულებრივ, კითხვები, რომლებსაც მოსამართლემ უნდა უპასუხოს წინასწარი

პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, არ არის იგივე, რაც არის გადამწყვეტი საბოლოო განაჩენისათვის. იღებს რა ნინასწარი პატიმრობისა და საქმის ნინასწარი განხილვის სხვა გადაწყვეტილებებს, მოსამართლე აჯამებს მის ხელით არსებულ ინფორმაციას, რათა დარწმუნდეს იმაში, ბრალდების მხარეს აქვს თუ არა *prima facie* საფუძველი ეჭვისათვის; როდესაც სასამართლოს გამოაქვს განაჩენი, მან უნდა შეაფასოს, რომ სასამართლოს ნინაშე წარმოდგენილი და განხილული მტკიცებულება საქმარისია ბრალდებულის დამნაშავეობის დასადგენად.

აღნიშნული არგუმენტიდან გამომდინარე, ევროპის სასამართლომ ცნო მე-5(4) მუხლის დარღვევა, რადგანაც ხელისუფლების დამოკიდებულებამ, დაეცვა მიუკერძოებლობის პრინციპი, ვერ შეძლო, გაემართლებინა განმცხადებლის უფლების შეზღუდვა ამ დებულების შესაბამისად.

ნინასნარი პატიმრობის გამამართლებელი საფუძვლები საერთაშორისო ნორმების შესაბამისად

ევროპის სასამართლომ, საკუთარი გადაწყვეტილებებით დაადგინა ოთხი გარემოება, რომლის დროსაც შესაძლებელია პირისათვის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელება, როდესაც კვლავ არსებობს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვის საფუძველი.⁷¹ აღნიშნული გარემოებებია:

1. პირის მიმალვის საფრთხე;
2. მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე;
3. დანაშაულის აღკვეთის აუცილებლობა;
4. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული გარემოებები, როგორც პატიმრობის ვადის გაგრძელების საფუძვლები, მანამ უნდა იქნეს გამოყენებული, სანამ არ მოხდება ჯეროვანი და ამომწურავი⁷² განხილვა, იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება შუამდგომლობა და სასამართლოს ბრძანება, ზემოთ მოყვანილ გარემოებათა საფუძველზე თავისუფლების

71. საქმის სირთულე შესაბამისი პირის წინააღმდეგ შესაძლებელია მიღებულ იქნეს მხედველობაში, მაგრამ თავისთვისად მხოლოდ ეს საკმარისი არ არის პატიმრობის ვადის გაგრძელებისათვის. იხ. *Kemmache v. France* (Nos. 1 და 2), 1991 წლის 27 ნოემბერი, *Mansur v. Turkey* და *Yağci and Sargin v. Turkey*, 1995 წლის 8 ივნის

72. საქმეში *Trzaska v. Poland*, 2000 წლის 11 ივნისი, ევროპის სასამართლომ არ ჩათვალა სამართლიანად მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმრობის ვადის გაგრძელება მოხდა შემდგომში დანაშაულის განმეორების აღკვეთის მიზნით მაშინ, როდესაც აღნიშნულ საფუძველთან დაკავშირებით არ ყოფილა გაკეთებული აშკარა მითითება ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში

აღკვეთის ვადის გაგრძელების გარემოებებს. ზემოთ ხსენ-ებული, რომელიმე გარემოების არ-არსებობის შემთხვევაში პირის გათავისუფლება შესაძლებელია მე-5 (3) მუხლის სა-ფუძველზე.

ცინასნარი პატიმრობის ვადები

შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს თუ წინასწარი პატიმრობის რა ვადებია სტრასბურგის სასამართლოსათვის მისაღები და რა ვადაა მიუღებელი. მაშინ როდესაც მრავალი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში სასამართლომ რამოდენიმე თვიანი პა-ტიმრობა მიიჩნია გაუმართლებლად⁷³. ახლახანს განხილულ საქმეში *Shabani v. Switzerland*⁷⁴, სტრასბურგის სასამართლოს არავითარი პრეტენზია არ გამოიუქვამს განმცხადებლის 5 წელზე მეტი ვადით წინასწარ პატიმრობაში ყოფნასთან დაკავშირებით, რადგანაც შვეიცარიის სასამართლოებს ზედმინევნით და დეტალურად ჰქონდათ განხილული და დას-აბუთებული პატიმრობის გაგრძელების თითოეული ბრძანე-ბა, ყოველ ჯერზე შეფასებული იყო თუ რამდენად შეეძლო იძულების აღტერნატიული სახის ღონისძიებებს უზრუნვე-ლეყო განცმხადებლის გამოცხადება სასამართლოს წინაშე და აცილებული ყოფილიყო მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე.

შესაბამისად, მთავარია, რომ ხელისუფლების ორგა-ნოებმა და პირველ რიგში სასამართლოებმა, წინასწარი პა-ტიმრობის შეფარდებისას ჯეროვნად განიხილონ და შეაფა-სონ პირის ინდივიდუალური გარემოებები, დაასაბუთონ თუ

73. გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი 37048/04 (Case of GIORGI NIKO-LAISHVILI v. GEORGIA Application no. 37048/04) პუნქტი 73, ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ 2007 წლის 6 ნოემბრის განჩინება (PATSURIA v. GEORGIA Application N 30779/04) პუნქტი 73

74. განაცხადი 29044/06 05/11/2009

რატომ არ შეიძლება პირს შეეფარდოს იძულების სხვა, უფრო მსუბუქი ხასიათის, ღონისძიება და რატომ არის წინასწარი პატიმრობის გამოყენება ერთადერთი საშუალება მართლმ-საჯულების ჯეროვნად განხორციელებისათვის.

პირის მიმაღვის საჭრთხე

სტრასბურგის სასამართლო ცალსახად აღნიშნავს, რომ მიმაღვის საფრთხის გამართლება და დასაბუთება, მხ-ოლოდ იმ გარემოებით, რომპირს ბრალად ედება მძიმე დანა-შაულის ჩადენა, რომლის დამტკიცების შემთხვევაში მას პო-ტენციურად მძიმე სასჯელი დაეკისრება, დაუშვებელია⁷⁵.

სასამართლომ მრავალ გადაწყვეტილებაში განაცხ-ადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიმაღვის საფრთხის შე-ფასებისას მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე შეიძლება ჩან-დეს, როგორც ადექვატურიარგუმენტი, დაუშვებელია, რომ იგი იყოს გამოყენებული, როგორც ერთადერთი ან გადამწ-ყვეტი ფაქტორი მიმაღვის საფრთხის დადგენისას⁷⁶. საქმეში *Gultyayeva v. Russia*სასამართლომ განაცხადა (პუნქტი 188), რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არცერთ ეტაპზე (წინას-წარი პატიმრობის შეფარდებისას თუ გაგრძელებისას) არ მიუთითეს თავიანთ ბრძანებებში რაიმე სახის მტკიცებულე-ბებზე, რომლებიც გაამართლებდნენ ან დაასაბუთებდნენ სასამართლო ბრძანებებში ფორმალურად მოხსენიებულ მი-მაღვის ან მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელება-ში ჩარევის საფრთხეს⁷⁷.

75. Case of *NEUMEISTER v. AUSTRIA*, § 4, 27 June 1968, Series A no. 8

76. Case of *PANCHENKO v. RUSSIA*, no. 45100/98, § 102, 8 February 2005, Case of *ROKHLINA v. RUSSIA*, no. 54071/00, § 66, 7 April 2005, or *KHUDOYOROV* Case, cited above, § 180, Case of *BAKHMUTSKIY v. RUSSIA* (Application no. 36932/02) JUDGMENT 25 June 2009 punti 139; Case of *BELEVITSKIY v. RUSSIA* (Application no. 72967/01) JUDGMENT 1 March 2007punti 101

77. Case of *GULTYAYEVA v. RUSSIA* (Application no. 67413/01) JUDGMENT 1 April 2010

უდავოა, რომ მიმალვის საფრთხე მეტად პრობლემა-ტურ საკითხს წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოებისათვის განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირის დაკავება სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

მიმალვის საფრთხის არსებობის დასადგენად მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს კონკრეტული საქმის ყველა გარემოება. ხსენებულის თავიდან აცილების მიზნით, პირველ რიგში, უნდა მოხდეს იმ ფაქტორების გადასინჯვა, რომელთა გამოც პირი შეიძლება მიიმალოს, მიუხედავად შედეგებისა, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ასეთ ქმედებას, და იმ საშიშ-როებისა, რომლის წინაშეც შეიძლება იგი დამდგარიყო. შესაძლოა, ეს იყოს მკაცრი სასჯეელი, რომელიც შესაბამის პირს შეიძლება შეეფარდოს ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ ევროპის სასამართლომ არაერთგზის განმარტა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირს შეიძლება შეეფარდოს მკაცრი სასჯეელი, არ შეიძლება დაედოს საფუძვლად პატიმრობის ვადის გაგრძელებას.⁷⁸ უფრო მეტიც, საქმეში *Mansur v. Turkey* ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ „საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს“ არ შეუძლიათ დაასაბუთონ განმცხადებლის მიმალვის საფრთხე.⁷⁹

საქმეში *Bordikov v. Russia* სტრასბურგის სასამართლოს არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს განმცხადებლის განგრძობადი წინასწარი პატიმრობის ფაქტთან დაკავშირებით. ეროვნულმა სასამართლოებმა წინასწარი პატიმრობის შეფარდებას საფუძვლად დაუდეს რა განმცხადებლის მიმალვის საფრთხე, ეს უკანასკნელი ჯეროვნად დაასაბუთეს ფაქტებით. კერძოდ, განმცხადებელი 3 წლის განმავლობაში ემალებოდა გამოძიებას და სწორედ ხსენებული წარმოადგენდა გამოძიების გაჭიანურების მიზეზს. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ აბსოლუტურად დაასაბუთებულად

78. იხ. საქმეები *MATZNETTER v. AUSTRIA*, 1969 წლის 10 ნოემბერი; *LE-TELLIER v. SWITZERLAND*, 1993 წლის 26 იანვარი; *YAGCI AND SARGIN v. TURKEY* და *MULLER v. FRANCE*, 1997 წლის 17 მარტი

79. *Case of Mansur v. Turkey* 1995 წლის 8 ივნისი

ჩათვალა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ერთადერთ, იძულების უაღტერნატივო ღონისძიებად მიჩნეულ იქნა წინასწარი პატიმრობა.⁸⁰

მიმაღვის საფრთხის რეალობის დადგენისათვის შესაბამის ჯეროვან არგუმენტად ჩაითვლებოდა ასევე ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი მიემალა გამოძიებას ბრალ-დების წაყენების შემდგომ, ან, როდესაც საჭიროა პირის ექსტრადიცია,⁸¹ კონკრეტული პირის მცდელობა ან უკვე განხორციელებული არაკანონიერი ქმედება თავი აარიდოს კანონიერ პატიმრობას,⁸² კონკრეტული მტკიცებულება პირის მიმაღვის განზრახვასთან დაკავშირებით,⁸³ პირის კავშირები საზღვარგარეთ, რამაც შეიძლება იოლი გახადოს მიმაღვა ან კავშირების არქონა იმ ქვეყანასთან, რომელშიც საქმე აღიძრა (მუდმივი საცხოვრებლის და ოჯახის არ ქონა).⁸⁴

80. *Case of BORDIKOV v. RUSSIA*(Application no. 921/03) JUDGMENT 8 October 2009 para 88

81. იხ. საქმე *PUNZELT v. THE CZECH REPUBLIC*, 2000 წლის 25 აპრილი, რომელშიც განმცხადებელი გერმანიაში დაემალა გამოძიებას

82. რაც მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული საქმეში *STÖGMULLER v. AUSTRIA*, 1969 წლის 10 ნოემბერი

83. საქმეში *MATZNETTER v. AUSTRIA*, 1969 წლის 10 ნოემბერი, მხედველობაში იქნა მიღებული სხვა ქვეყანაში გადარიცხული თანხები და საზღვარგარეთ გა წმორციელებული ვიზიტი, ისევე როგორც სხვა კავშირები. იხ. ასევე საქმე *ČESKZ v. THE CZECH REPUBLIC*, 2000 წლის 6 ივნისი, რომელშიც განმცხადებელმა ნაცონბისგან ნდობით მოიპოვა დიდი ოდენობის თანხა, იყიდა მანქანა სხვა პირის პირადობის მოწმობით და დაამზადებინა ყალბი ჰასპირტი

84. საქმეში *W v. SWITZERLAND*, 1993 წლის 26 იანვარი, განმცხადებელმა, უცოლებელობის პირმა, თავისი რეზიდენცია გადაიტანა მონტე-კარლოში და ხშირად ჩადიოდა ანგოლაში, იგი ეგონათ ბანკის მფლობელი ინგლისში, გერმანიასა და შეერთებულ შტატებში. ამასთან, აღმოჩნდა რომ მას გააჩნდა მნიშვნელოვანი თანხა შევიცარის საზღვრებს გარეთ, ასევე — სხვა-დასხვა ჰასპორტები; საქმეში *PUNZELT v. THE CZECH REPUBLIC*, განმცხადებელს ჰქონდა მრავალი საქმიანი ურთიერთობა საზღვარგარეთ; საქმეში *BARFUSS v. THE CZECH REPUBLIC*, 2000 წლის 1 აგვისტო, განმცხადებელს შეეძლო გერმანიის მოქალაქეობის მიღება გერმანიაში მისი მიმაღვის შემთხვევაში, რაც შეუძლებელს გახდიდა მის შემდგომ ექსტრადიციას ჩეხეთის რესპუბლიკაში.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სასჯელის სიმკაცრე, ასევე რომელიმე ზემოთ ხსენებული ფაქტორი, თავისთავად და მტკიცებულებების გარეშე არ ადასტურებს მიმალვის საფრთხეს, შესაბამისად, მათზე მითითება თავისთავად არ შეიძლება ამართლებდეს თავისუფლების აღკვეთას. საჭიროა, დამტკიცდეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქმისათვის ასეთი ფაქტორი (ან ფაქტორთა ერთობლიობა) კონკრეტულ გარემოებებში — გულმოდგინე განხილვის შედეგად შესაძლებელია, რომ არც ერთი მათგანის არსებობა არ დადასტურდეს, ზოგიერთი მიჩნეულ იქნეს დაუსაბუთებლად, ზოგიერთი კი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს პირის რეალურ ქმედებებს⁸⁵ — და შემდგომ განისაზღვროს, ეს გარემოება თუ გარემოებები იძლევა თუ არა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ პირი აპირებს მიმალვას. თუ გავითვალისწინებთ, რომ დროის გასვლასთან ერთად მიმალვის საფრთხეც კლებულობს, შესაბამისად, ევროპის სასამართლო მით უფრო კრიტიკულად აფასებს წინასწარ პატიმრობას, რაც უფრო ხანგრძლივია იგი. საქმეში *I.A. v. France* ევროპის სასამართლოსათვის არ აღმოჩნდა საქმარისი მთავრობის მიერ წარმოდგენილი მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ პირის ხუთ წელზე მეტი პატიმრობის შემდეგ კვლავ არსებობდა მიმალვის საფრთხე.

წინასწარი პატიმრობის შეფარდების საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა საქმე *Aleksandr Makarov v. Russia*⁸⁶. აღნიშნულ საქმეში რუსეთის ფედერაციის სასამართლოებმა განმცხადებელს, ქ. ტომსკის ყოფილ მერს, წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს რამოდენიმე საფუძვ-

85. საქმეში *STÖGMULLER v. AUSTRIA*, 1969 წლის 10 ნოემბერი, განმცხადებელი (რომელსაც გააჩნდა პილოტის ლიცენზია) რამდენიმეჯერ გაფრინდა საზღვარგარეთ მისი პირობითად გათავისუფლების პერიოდში, მაგრამ ყოველთვის უკან ბრუნდებოდა. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მას დაუგვიანდა დაბრუნება, ჩაეთვალა საპატიოდ. ანალოგიურად, საქმეში *LETELLIER v. FRANCE* განმცხადებლის მხრიდან არ ყოფილა მიმალვის მცდელობა, როდესაც ის პირველად გაათავისუფლეს 4 კვირით.

86. Case of *ALEKSANDR MAKAROV v. RUSSIA* (Application no. 15217/07)
JUDGMENT 12 March 2009

ლით, რომელთა შორისაც ნახსენები იყო მიმალვის საფრთხე. აღნიშნულ საფრთხეს რუსეთის ეროვნული სასამართლოები აფუძნებდნენ სპეცსამსახურების (ფსბ) ინფორმაციაზე, რომლის თანახმადაც განმცხადებელი აპირებდა ქვეყნის დატოვებას. სტრასბურგის სასამართლოს განცხადებით პატიმრობის პირველ ეტაპზე ხსენებული შესაძლოა გამართლებული ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ მცირე დროით. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ შემდგომში ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს არ მოუძიებიათ და არ წარმოუდგენიათ რაიმე სახის კონკრეტული მტკიცებულება განმცხადებლის მიერ ქვეყნის დატოვების მცდელობასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ ამ საფუძვლით განმცხადებლის განგრძობად წინასწარ პატიმრობაში მოთავსება გაუმართლებელი იყო, თუმცა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მცირე დროით, მხოლოდ პირველ ეტაპზე, მანამ სანამ ხელისუფლების ორგანოებს ლოგიკურად მიეცემოდათ შესაძლებლობა გონივრულ ვადაში გადაემოწმებინათ და შესაბამისი მტკიცებულებები წარმოედგინათ, წინასწარი პატიმრობა შესაძლებელია გამართლებული ყოფილიყო⁸⁷.

ევროპის სასამართლომ ასევე მიუღებლად მიიჩნია ეროვნული სასამართლოების მიერ მიმალვის საფრთხის დასაბუთება საქმეში *Mamedova v. Russia*. ხსენებულ საქმეში რუსეთის სასამართლოებმა განმცხადებლის მიმალვის საფრთხე დააფუძნეს იმ გარემოებას, რომ განმცხადებლის სავარაუდო თანამზრახველი მანამდე მიემალა გამოძიებას. სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით ხსენებული გაუმართლებელი იყო და ეროვნული სასამართლოები ვალდებული იყვნენ ზედმინევნით განხილათ განმცხადებლის პიროვნება და მასთან დაკავშირებული ინდივიდუალური გარემოებები.⁸⁸

87. *Case of ALEKSANDR MAKAROV v. RUSSIA* (Application no. 15217/07)
JUDGMENT 12 March 2009

88. *Case of MAMEDOVA v. RUSSIA*, no. 7064/05, judgment 1 June 2006 პუნქტი
76

სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად მიმაღვის საფრთხის ხელშესახები მტკიცებულება შეიძლება იყოს:

- საზღვარგარეთ გამგზავრების რეალური შესაძლებლობა (საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის ვარგისი პასპორტი და შესაბამისი ვიზები, ბილეთები)⁸⁹,
- ქონების გაყიდვა და თავისუფალი ფულადი სახრების ფლობა⁹⁰,
- საზღვარგარეთ არსებული ქონება და ფულადი სახსრები⁹¹,
- უკონტროლო ტერიტორიაზე ხელმისაწვდომობა,
- საზღვარგარეთ მოქალაქეობის მიღების რეალური პერსპექტივა⁹².

საფრთხე მთლიანობაში უნდა შეფასდეს და განხილულ იქნეს მიმაღვასთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი. ვინაიდან, არ არის გამორიცხული, რომ ცალკეულ პირებს არც კი ჰქონდეთ მიმაღვის სურვილი, ან ნაკლებად ფიქრობდნენ მიმაღვაზე მათი ოჯახური მდგომარეობის,⁹³ პირის განსაკუთრებული ხასიათის, ზნეობის, სტატუსისა თუ პასუხისმგებლობების,⁹⁴ ქონებრივი მდგომარეობის, რომ-

89. *Case of W. v. SWITZERLAND*, 26 January 1993, § 33, Series A no. 254-A

90. *Case of ALEKSANDR MAKAROV v. RUSSIA* (Application no. 15217/07)

JUDGMENT 12 March 2009 para 126

91. *Case of W. v. SWITZERLAND*, 26 January 1993, § 33, Series A no. 254-A

92. *Case of BARFUSS v. THE CZECH REPUBLIC*, 2000 წლის 1 აგვისტო, რომელშიც განმცხადებელს შეეძლო გერმანიის მოქალაქეობის მიღება გერმანიაში მისი მიმაღვის შემთხვევაში, რაც შეუძლებელს გახდიდა მის შემდგომ ექსტრადიციას ჩეხეთის რესპუბლიკიში

93. იხ. *Case of LETELLIER v. FRANCE*, რომელშიც განმცხადებელი იყო მცირებლოვანი ბავშვების დედა

94. იხ. *Case of LETELLIER v. FRANCE*, რომელშიც განმცხადებლის ბიზნესი მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა; *Case of MATZNETTER v. AUSTRIA*, რომელშიც საფუძველი არ ყოფილა სერიოზული ავადმყოფობა, მაგრამ, შესაძლებელია, სხვა საქმეში აღნიშნულ საფუძველზე ეჭვს ქვეშ

ლის დატოვებაც მას მოუწევს, წარსულში გამოძიების წინაშე გამოცხადებისა და დამორჩილების გამოცდილების,⁹⁵ ასევე გარანტიების იმ ხარისხის, რომლითაც უზრუნველყოფილია პირის სასამართლოს წინაშე გამოცხადება, გამო.⁹⁶ ეჭვგარე-შეა, დადგენილება, რომელიც დაფუძნებულია ყოველგვარი განმარტების გარეშე მოცემულ სტერეოტიპულ შეხედულებებსა და დებულებებზე, თუ რატომ არსებობს მიმალვის საფრთხე, არასოდეს იქნება შესაბამისობაში ევროპის სასა-მართლოს პრაქტიკასთან.⁹⁷

უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ მიმალვის საფრთხე ერთადერთი საფუძველია პატიმრობის ვადის გაგრძელები-სათვის, ევროპის სასამართლომ საქმეში *Wemhoff v. the Federal Republic of Germany*ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე-5(3) მუხლის მიზანია, პიროვნება გათავისუფლდეს პატიმრობიდან და, შეძლებისდაგვარად, მოპოვებულ იქნეს შესაბამისი პირის სასამართლოში გამოცხადების გარანტიები.⁹⁸ ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ვერ ხერხდება ასეთი გარანტიე-ბის მოპოვება, ან მათი მოპოვება შეუსაბამოდაა მიჩნეული, იმ მიზნით, რომ არ მოხდეს პირის მიმალვა, ყველა საქმეში განხილულ უნდა იქნეს ნებისმიერი სხვა ღონისძიების (თავ-ისუფლების აღკვეთის გარდა) ჩანაცვლების საკითხი: მაგალ-

დადგეს პირის მიმალვის შესაძლებლობა, და *YAGCI AND SARGIN v. TURKEY*, რომელშიც განმცხადებლები თავიანთი სურვილით დაბრუნდნენ სამშობლოში, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ მათ მიმართ შესაძლო სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ

95. იხ. *Case of W v. SWITZERLAND*

96. საქმეში *WEMHOFF v. THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY* განმცხადებელმა არაურთვზის მიმართა მთავრობას და აცნობა, რომ მზად არ იყო, გირაოს სახით გადაეხადა დიდი თანხა გათავისუფლების სანაცვლოდ, მაგრამ საქმეში *LETELLIER v. FRANCE* ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს, რომ ადეკვატური გარანტიები არ ყოფილა წარმოდგენილი. უფრო მეტიც, საქმეში *STÖGMULLER v. AUSTRIA* ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლი, მიუხედავად იმისა, რომ გათავისუფლებული იყო გირაოთი, დიდი ხნით ადრე იყო მზად, მიეცა ანალოგიური გარანტიები

97. იხ. ასევე *Case of YAGCI AND SARGIN v. TURKEY*

98. Case of *WEMHOFF v. THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY*, 1968 წლის 27 ივნისი

ითად, მოთხოვნა იმის შესახებ, რომ შესაბამისმა პირმა იცხოვროს გარკვეულ ადგილას, ჩაბაროს თავისი სამგზავრო დოკუმენტაცია ან ხმირად გამოცხადდეს პოლიციაში და მოახსენოს თავისი ადგილსამყოფლის შესახებ.⁹⁹

მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე

მართლმსაჯულების განხორციელებისათვისხელის შეშლის საფრთხე პრობლემა არის ყველა იმ პირისათვის, ვინც ახორციელებს კანონის დაცვას. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ეს უკანასკნელი მიჩნეულია გარემოებად, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია პირისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელება. ბრალდებულ პირს შეუძლია, სრულად ისარგებლოს გათავისუფლების შესაძლებლობით და დაცვისათვის მზადებისას განახორციელოს ისეთი ქმედებების, რომელიც არის: მოწმეებზე ზენოლა, რათა არ მისცენ ჩვენება მის წინააღმდეგ,¹⁰⁰ გამოძიების ქვეშ მყოფი პირების გაფრთხილება, პირის დაყოლიერა საქმეში, რათა მისთვის სასურველი ჩვენება მისცეს,¹⁰¹ მონაწილეობის მიღება დოკუ-

99. საქმეში *STÖGMULLER v. AUSTRIA* ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ შესაძლებელი იყო, განმცხადებლისათვის მოეთხოვათ პასპორტის ჩაბარება მისთვის საზღვრის გადაკვეთის აღკვეთის მიზნით

100. საქმეში *LETELLIER v. FRANCE* გამოძიების თავდაპირველ ეტაპზე დასაშვებად იქნა მიჩნეული მოწმეებზე ზენოლის საფრთხის არსებობა, მაგრამ დროის გასვლასთან ერთად ჩაითვალა, რომ საფრთხე შემცირდა, შემდგომში კი საბოლოოდ გაიარა. თავდაპირველად გათავისუფლებაზე უარის თქმის შემდგომ ეროვნული სასამართლოების მიერ აღნიშნული საფრთხის გაუთვალისწინებლობა ნათლად მოიაზრებდა ნებისმიერ მნიშვნელობას, რომელიც შესაძლებელი იყო მინიჭებოდა ამ საფუძველზე თავისუფლების აღკვეთას. მოწმეებზე ზენოლის საფრთხის არსებობა, მაგრამ მხოლოდ გამოძიების ეტაპზე, მიიჩნია ევროპის სასამართლომ ასევე საქმეში *I.A. v. FRANCE*

101. საქმეში *W v. Switzerland* ცნობილი გახდა საფრთხის არსებობის შესახებ, რომ განმცხადებელი ზეგავლენას მოახდენდა თავის თანამშრომლებზე, რათა მიეცათ ყალბი ჩვენებები

მენტაციისა თუ სხვა მტკიცებულებათა¹⁰² განადგურებაში ან სხვა სახის ქმედებაში, რომელიც მიმართულია გამოძიების შეცდომაში შეყვანისაკენ.¹⁰³

მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი გარემოებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს *in abstracto*; დაპატიმრებულ პირთან მიმართებაში მათი გამყარების მიზნით უნდა არსებობდეს ფაქტობრივი გარემოებები, პირდაპირი კავშირები და მტკიცებულებები.¹⁰⁴

აღნიშნული გარემოების გამოყენება თავისუფლების ალკვეთის ვადის გაგრძელებისათვის, კიდევ უფრო მეტ დასაბუთებას საჭიროებს, ვინაიდან გამოძიების სხვადასხვა ეტაპები, როგორიცაა: ჩვენების ჩამორთმევა, მტკიცებულებების მოპოვება და მოკვლევა, შესაძლოა დასრულებული იყოს და შესაბამისად, ვადის გაგრძელება აღარ შეიძლება გამართლებულ იქნეს საგამოძიებო პროცესის დასრულების შემდეგ.¹⁰⁵ მიუხედავად ამისა, ევროპის სასამართლო შე-

102. სასამართლოების შეშვითება მტკიცებულებათა დამალვასთან დაკავშირებით საფუძვლიანად იქნა მიჩნეული საქმეში *Wemhoff v. the Federal Republic of Germany*, დანამაულების ხასიათიდან (ნდობით აღჭურვილი პირის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა და ბანკის მიერ არამიზნობრივი თანხის გამოყენება) და საქმის განსაკუთრებული სირთულიდან გამომდინარე. თუმცალა, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ ქვეყნის სააპლაციო სასამართლოებმა ეჭვევეშ დააყენეს, შეწყდა თუ არა საფრთხის არსებობა. სასამართლო ნაკლებად შესაძლოდ მიიჩნია, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დარჩებოდა საქმის გამოძიების დამთავრებამდე

103. იხ. *Clooth v. Belgium*, რომელშიც ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა ჩვენებების ხმირი შეცვლით გაართულა გამოძიება, მაგრამ, ამავე დროს, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ზოგადად გამოძიების საჭიროება ვერ გაამართლებს პატიმრობის ვადის გაგრძელებას. საგამოძიებო მოქმედებებისათვის ხელის შეშლის საფრთხის არსებობის შემთხვევაში პატიმრობის ვადის გაგრძელება საგამოძიებო მოქმედებათა დასრულების შემდგომ შეუსაბამო იქნებოდა კონვენციის მიზნებთან. აღნიშნულს ადგილი ჰქონდა *Clooth*-ის საქმეში, რაც ნარმოადგენდა საფუძვლიან მიზეზს იმისათვის, რომ ევროპის სასამართლოს დაედგინა მე-5 (3) მუხლის დარღვევა

104. საქმეში *Trzaska v. Poland* არ დამტკიცდა ასეთი გარემოებების არსებობა

105. იხ. *Muller v. France*, რომელშიც გამოძიება და განმცხადებლის სამართლში მიცემა განხორციელდა მსჯავრდებამდე ერთი წლით ადრე, და

ფასებისას ყოველთვის მხედველობაში იღებს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ ფაქტორებს, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდეს და ამართლებდეს თავისუფლების აღკვეთას სასამართლო განხილვამდე.¹⁰⁶

მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხის შეფასებისას სტრასბურგის სასამართლო ასევე ითხოვს, რომ ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით განახორციელონ ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება¹⁰⁷.

I.A. v. France, რომელშიც გამოიძიებამ საწყის ეტაპზე გონივრულად მიიჩინა იმის შესაძლებლობა, რომ განმცხადებელი მარტო არ მოქმედებდა თავისი ცოლის მკვლელობისას, მაგრამ მოგვიანებით მტკიცებულებების არარსებობის გამო აღნიშნული აღარ ჩაითვალა გამართლებულად და, შესაბამისად, დამატებულისათვის შეთანხმების საფრთხეც აღარ არსებობდა

106. სასამართლო განხილვამდე ბრალდებულთა შორის შეთანხმების საფრთხე არსებობდა საქმეში ის რომელი საქმის განსაკუთრებული მოცულობის (თაღლითობა, რომელშიც ჩართული იყო 60 კომპანიის მართვა), ჩამორთმებული დოკუმენტების განსაკუთრებით დიდი ოდენობისა და მათი განზრას ბუნდოვანი მდგომარეობის, მოწმეთა დიდი რაოდენობის (მათ შორის საზღვარგარეთ მყყოფა), რომლებიც უნდა დაკითხულყოფნენ, განმცხადებლის ქმედების როგორც გათავისუფლებამდე, ასევე შემდგომ ეტაპზეც, რაც განზრას იყო მიმართული მისი პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა განადგურებისაკენ (მაგალითად, ანგარშების გაყალბება და მათი განადგურება), ასევე საფრთხის, რომ განმცხადებელს შეეძლო გამოიძიებისათვის ჯერ კიდევ უცნობ მტკიცებულებათა განადგურება, ყალბი მტკიცებულების შექმნა და მოწმებათან შეთანხმება, ისევე როგორც გერმანიაში დანაშაულთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების გაჭინაურების, გამო. ხსნებულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქმის მასალებიდან მიღებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სხვა საქმეების განხილვის დროს განმცხადებელმა შეთითხა ყალბი მტკიცებულებანი, წინა რიცხვებით დათარიღებული დოკუმენტაცია და მანისულირებდა მოწმეებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო ერთადერთი საფუძველი პატიმრობის ვადის გაფრძელებისათვის, რადგანაც განმცხადებლის მიმაღვის საფრთხეც არსებობდა; შვეიცარიის მთავრობა ასევე დაეყრდნო შემდგომი დანაშაულების თავიდან აცილების აუცილებლობას, რაც არ განხილულა საპელაციო სასამართლოების მიერ, რადგანაც დამნაშავეთა მოლაპარაკებისა და მიმაღვის საფრთხე საკმარის საფუძვლად იქნა მიჩნეული და ევროპის სასამართლომაც გაიზიარა აღნიშნული მისაზრება

107. Case of OSUCH v. POLAND, no. 31246/02, § 26, 14 November 2006, and CELEJEWSKI v. POLAND, no. 17584/04, §§ 37-38, 4 May 2006

ხსენებული საფრთხე, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადად გულისხმობს მოწმეებზე ზეწოლას, მტკიცებულებების განადგურებას ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლას. თუმცა სტრასბურგის სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ მხოლოდ კონკრეტული ფაქტების საფუძველზე შეუძლია ეროვნულ სასამართლოს დაასკვნას ხსენებული საფრთხის რეალურად არსებობა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი ბრალდებულია წინასწარი შეთანხმებით დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში არ არის საკმარისი ასეთი საფრთხის საფუძველზე პირის განგრძობად წინასწარ პატიმრობაში მოთავსებისათვის¹⁰⁸.

გადაწყვეტილების მიღების დროს, აუცილებელია გათვალისწინებულ და გაანალიზებულ იქნეს ინდივიდუალური ფაქტორები, იმყოფება თუ არა პირი თანამდებობაზე¹⁰⁹, შეუძლია თუ არა მას პოტენციურად ზეწოლა განახორციელოს მოწმეებზე, ედება თუ არა ბრალი პირს ორგანიზებული დანაშაულის ჩადენაში და სხვა¹¹⁰.

მოხევებზე ზეწოლისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე

მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის მოტივით პირისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესო განმარტება გააკეთა სტრასბურგის სასამართლომ საქმეში *Aleksandr Makarov v. Russia*¹¹¹ რომელშიც ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა შეუ-

108. *Case of POPOV AND VOROBIEV v. RUSSIA* (Application no. 1606/02) JUDGMENT 23 April 2009 para 82

109. *Case of MAKAROV v. RUSSIA*

110. *Case of POLONSKYI v. RUSSIA* (Application no. 30033/05) para 148

111. *Case of ALEKSANDR MAKAROV v. RUSSIA* (Application no. 15217/07) JUDGMENT 12 March 2009 para 129-133

ფარდეს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი წარსულში ქ. ტომ-სკის მერი იყო და სავარუდოდ ზენოლას მოახდენდა მოწმეებზე, რომლებიც მის დაქვემდებარებაში მყოფი პირებიიყვნენ, მაშინ როდესაც განმცხადებელს ეკავა მერის თანამდებობა, ასევე რომ გაანადგურებდა მტკიცებულებებს. ამასთანავე ხელისუფლების ორგანოების მტკიცებით, არსებობდა რა-მოდენიმე მოწმე, რომელიც აცხადებდა, რომ განმცხადებ-ელს ჰქონდა მცდელობა განეხორციელებინა მათზე ზენოლა. ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასა-მართლომ პირველ რიგში განიხილა განმცხადებლის სამსახ-ურებრივი სტატუსი და მდგომარეობა, იმ მომენტისათვის, როდესაც ამ უკანასკნელს ეროვნულმა სასამართლოებმა შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა. ხსენებული მომენტი-სათვის განმცხადებელი უკვე აღარ იყო ტომსკის მერი და პა-ტიმრობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ვერ იქნებოდა აღდგენილი თავის თანამდებობაზე. ამავე დროს სტრასბურ-გის სასამართლომ შეუსაბამოდ მიიჩნია ის ფაქტი, რომ მაშინ როდესაც ხსენებული მოტივით ეროვნულმა სასამართლოებ-მა განმცხადებელს შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა, მათ არ განუხილავთ ამ საფუძვლისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა განმცხადებლის პიროვნება, მისი ქცევა დაკავებამდე და დაკავების შემდგომ, კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებდნენ მოწმეებზე ზე-ნოლისა თუ მტკიცებულებების ფალსიფიცირების ფაქტებზე. ამავე დროს, სტრასბურგის სასამართლომ გაკვირვება ვერ დამალა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ეროვნულმა სასა-მართლოებმა რამოდენიმე მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით, რომლებიც არ ყოფილა განმცხადებლისათვის ცნობილი და გამუდავნებული, მიიჩნიეს, რომ იგი ცდილობდა მოწმეებზე ზენოლას. ხსენებულთან დაკავშირებით სტრასბურგის სასა-მართლომ განაცხადა, რომ მაშინ როდესაც ამ მოწმეების ჩვე-ნებების საფუძველზე, განმცხადებელს შეეფარდა წინასწარი პატიმრობა იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი ცდილობდა მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევას,

განმცხადებელს და მის დამცველს სულ მცირე ამ მოწმეების დაკითხვის შანსი მაინც უნდა მისცემოდათ¹¹².

იმავესაქმეში ევროპის სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი ჩამოაყალიბა. წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში გამოძიებას გააჩნდა საკმარისი დრო და ყველა საშუალება, იმისათვის, რათა მოეპოვებინა ყველა საჭირო მტკიცებულება და მიეღო მოწმეთა ჩვენებები. მიუხედავად ამისა, მას შემდგომ რაც წინასწარი გამოძიება დასრულდა და საქმე საბრალდებო დასკვნით გაიგზავნა სასამართლოში, განმცხადებელი წინასწარ პატიმრობაში კიდევ 18 თვე რჩებოდა. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო დაასკვნა, რომ აღნიშნულ საქმეში მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხის საფუძვლით განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა შეუსაბამობაში იყო მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან¹¹³.

საქმეში *Mamedova v. Russia* ეროვნულმა სასამართლომა, გარდა იმისა რომ ვერ დაასაბუთეს თუ როგორ შეძლებდა განმცხადებელი მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევას, მოახდინეს იმ ფაქტის უგულვებელყოფაც, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების მომენტიდან მან დატოვა მართლმსაჯულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი, არ მიმალულა გამოძიების პროცესში და მოწმებზე ზეწოლის ან მტკიცებულებების განადგურების არავითარი ხელშესახები საშუალება და ხელმისაწვდომობა არ გააჩნდა. იმავდროულად, სტრასბურგის სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მაშინ როდესაც ბრალდებულისათვის პირველად ეტაპზე წინასწარი პატიმრობის შეფარდება მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხის საფუძველზეხდება, გარკვეული დროის გასვლის

112. იგივე, para 131

113. იგივე დასაბუთება იხილეთ საქმეში *SOLOVYEV v. RUSSIA*, no. 2708/02, § 115, 24 May 2007

შემდგომწინასწარი პატიმრობის განგრძობადი აუცილებლობის მტკიცების ტვირთი ხელისუფლებას ეკისრება. ყველა ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებს მომეტებული დამაჯერებლობით მოუწევთ იმის მტკიცება, თუ პოტენციურად რა გზით მოახერხებს ბრალდებული გარკვეული დროის გასვლის შემდგომ მოწმეებზე ზეწოლას ან მტკიცებულებების განადგურებას, მითუმეტეს თუ მოწმეები უკვე დაკითხული, ხოლო შესაბამისი მტკიცებულებები შეგროვებული იქნა გამოძიების მიერ¹¹⁴.

პირის პრაღეულობა ორგანიზაციული დანაშაულის ჩაღენაში

მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტრასბურგის სასამართლო არის ბრალდებულის კავშირი ორგანიზებულ დანაშაულთან. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდების მართლზომიერების განხილვისას, სტრასბურგის სასამართლო ბევრად უფრო ტოლერანტულია ეროვნული სასამართლოების მიერ თავდაპირველ ეტაპზე ორგანიზებულ დანაშაულში ბრალდებული პირებისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მიმართ, ვიდრე ცალკეული ბრალდებულებისათვის, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ორგანიზებულ დანაშაულთან რადგანაც სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით ორგანიზებული დანაშაულის დროს ბევრად უფრო მაღალია მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე, თუმცა ასეთ შემთხვევებშიც აუცილე-

114. Case of MAMEDOVA v. RUSSIA, no. 7064/05, § 76, judgment of 1 June 2006

ბლად უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური გარემოებების შეფასება¹¹⁵.

ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საფუძველზე, სასამართლომ საქმეში Polonskiy v. Russia განაცხადა:

“სასამართლო აღიარებს, რომ იმ საქმეებში, რომებიც ეხება ორგანიზებულ დანაშაულს იმის საფრთხე, რომ ბრალდებული, წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ზეწოლას განახორციელებს მოწმეებზე ან სხვაგვარად ხელს შეუშლის სამართალ-ნარმოების ჯეროვნად წარმართვას გაცილებით დიდია. ხსენებულ ფაქტორს შეუძლია გაამართლოს წინასწარი პატიმრობის შედარებით ხანგრძლივი პერიოდი. თუმცა ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნიათ განუსაზღვრელი დისკრეცია გააგრძელონ წინასწარი პატიმრობა¹¹⁶. ამ საფუძველზე შესაძლებელია წინასწარი პატიმრობის პირველადი პერიოდი გამართლებული იყოს, მაგრამ დროის გასვლის პარალელურად ხსენებული საფრთხე კლებულობს და შესაბამისად, მას შემდგომ რაც გამოძიება დაკითხავს მოწმეებს და მოიპოვებს სხვა სახის მტკიცებულებებს მართლზომიერი აღარ იქნება ამ საფუძვლით პირის წინასწარ პატიმრობაში დატოვება”¹¹⁷.

115. აღნიშნულს ნათლად დავინახავთ თუკი ერთმანეთს შევადარებთ საქმეებს *KULIKOWSKI v. POLAND* (Application no. 18353/03) JUDGMENT 19 May 2009, *CELEJEWSKI v. POLAND*, no. 17584/04, § 37, 4 May 2006 და *BAK v. POLAND*, no. 7870/04, § 64, ECHR 2007

116. *Case of OSUCH v. POLAND*, no. 31246/02, § 26, 14 November 2006, and *Case of CELEJEWSKI v. POLAND*, no. 17584/04, §§ 37-38, 4 May 2006

117. *Case of MAMEDOVA v. RUSSIA*, no. 7064/05, judgment 1 June 2006 para 79,

დანაშაულის აღკვეთის აუცილებლობა

დანაშაულის აღკვეთის აუცილებლობა, თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელებისათვის, კანონიერ საფუძვლადჩაითვლება, იმ შემთხვევაში თუ პირს მძიმე დანაშაულის ჩადენაში წაუყენებენ ბრალს, თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი პირობა.

გადაწყვეტილების მართლზომიერებისათვის, უმნიშვნელოვანესია, დამტკიცდეს, რომ შემდგომი დანაშაულების ჩადენის თავიდან აცილებისათვის ზრუნვა სინამდვილეს შეეფერება და განხორციელებული ღონისძიება მართლზომიერია. აღნიშნულის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქმის ყველა გარემოება, განსაკუთრებით კი დაკავებულის პიროვნება და წარსული. მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომ პირი ადრეც იყო მსჯავრდებული იმავე ან მსგავსი დანაშაულისათვის, რომელიც გამოძიების სტადიაშია, ისევე როგორც გამოძიების დაწყებასა და ბრალდების წაყენებას შორის პერიოდში ჩადენილი დანაშაულისათვის. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს თავისუფლების აღკვეთა.¹¹⁸ თუმცა, პირის ხანგრძლივი პატიმრობა არამართლზომიერად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ჩადენილი დანაშაულების ერთმანეთთან შედარება შეუძლებელია მათი ხასიათისა თუ სიმძიმის ხარისხის გამო.¹¹⁹ უფრო მეტიც, ვარაუდი იმის შესახებ, რომ პირმა პირობითი გათავისუფლების პერიოდში ჩაიდინა დანაშაული — რაც შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი პირის პა-

118. როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქმეში *ASSENOV v. BULGARIA*

119. იხ. *Case of CLOOTH v. BELGIUM*, რომელიც ეხებოდა მკვლელობასა და ხანძრის გაჩენას. ამასთან, განმცხადებელი ადრეც იყო მსჯავრდებული დამამიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობისა და დეზერტირობის მცდელობისათვის; *Case of MULLER v. FRANCE*, რომელშიც განმცხადებელი ბრალდებული იყო რამდენიმე შეიარაღებულ ყაჩალობაში და მას წარსულის დაუკონკრეტებელი ფაქტები გაუხსენეს

ტიმრობის განახლების საფუძვლად — ცალსახად საჭიროებს დასაბუთებას¹²⁰, ვინაიდან გარკვეულ დრომდე პირის მიმართ მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუნფცია ყველა საქმეში რომელშიც იგი ბრალდებულია.

გარდა ამისა, არამართლზომიერი იქნებოდა თავ-ისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელების გამართლება დანაშაულის განმეორებით ჩადენის შიშჩე აპელირებით, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელია წარმოადგენდეს გამონაკლის შემთხვევას.¹²¹ დანაშაულის განმეორებით ჩადენის საფრთხის საფუძველზე ბრალდებულებისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება გამართლებულად არის მიჩნეული სტრასბურგის სასამართლოს მიერ მაშინ, როდესაც სახეზეა სენენდული საფრთხის დამატებიცებელი გარემოებები. დანაშაულის ჩადენის საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტული და ზოგადი მოხსენიება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირს შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა. საქმეში *Polonskiy v. Russia*¹²² ეროვნულმა სასამართლოებმა წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს განმცხადებელს იმ მოტივით, რომ არსებობდა დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის საფრთხე, ხოლო აღნიშნული ვარაუდი ხელისუფლების ორგანოებმა დააფუძნეს იმ ფაქტზე, რომ განმცხადებელი დაუსაქმებელი იყო. ისევე როგორც სხვა საქმეებზე¹²³ სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არ შეიძლება პირის მიერ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის საფრთხე დააფუძნონ მხოლოდ უმუშევრობის ფაქტზე.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც მთელ რიგ შემთხვევებში გამოძიება ეყრდნობა, არის ის რომ პირს შემდგომი

120. საქმეში *STÖGMULLER v. AUSTRIA* ევროპის სასამართლომ ხაზგას-მით აღნიშნა, რომ მხოლოდ რამდენიმე საჩივარი იქნა წარმოდგენილი

121. იხ. *Case of I.A. v. FRANCE*, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის მიერ თავისი ცოლის სავარაუდო მკვლელობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საფრთხის არავითარი დასაბუთება არ ყოფილა წარმოდგენილი მოცემულ საქმეში

122. *Case of POLONSKYI v. RUSSIA*, Application no. 30033/05

123. მაგალითად *Pshevecherskiy v. Russia*, no. 28957/02, § 68, 24 May 2007

დანაშაულების ჩადენას აიძულებს ფინანსური პრობლემები. სასამართლომ ცალსახად მიუთითა რომ ამგვარი არგუმენტი, ნაკლებად დამაჯერებელია.¹²⁴

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლის ფსიქიური მდგომარეობის შეფასება შესაძლებელია წინასწარი პატიმრობის გაგრძელებასთან მჭიდროდ იყოს დაკავშირებული, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი შეიძლებამიანიშნებდეს ასევე მხოლოდ თერაპიული მკურნალობის აუცილებლობაზე, რომლის შემთხვევაშიც პატიმრობის ვადის გაგრძელება არამართლზომიერი იქნებოდა.¹²⁵

კიდევ უფრო საინტერესო რაც სტრასბურგის სასამართლომ *Polonskiy v. Russia* საქმეში განაცხადა იყო ის, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ პირს მსჯავრი ედება სხვა დანაშაულში და იხდის შესაბამის სასჯელს, ხოლო პარალელურად მიმდინარეობს სამართალნარმოება სხვა საქმეზე, რომელშიც შესაბამისი პირი ბრალდებულია, ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან პირისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით მოხსენიებული სტანდარტები დააკმაყოფილონ. ანუ, უკვე პატიმრობაში მყოფი პირისათვის აღკვეთის ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას აპსოლუტურად იდენტური სტანდარტები გამოიყენება, რაც თავისუფალი ადამიანის მიმართ. ბუნებრვია მოტივაცია ნათელია, პირი შესაძლოა პატიმრობიდან ნებისმიერ დროს რაიმე მიზეზით გათავისუფლდეს, მაგალითად ამინისტიით, და სხვა.

სენებულ საქმეში მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი სასჯელს იხდიდა სხვა დანაშაულისათვის და იგი

124. ამის მაგალითი იხ. საქმეში *STOGMULER v. AUSTRIA*, რომელშიც განმცხადებელმა შეიცვალა თავისი თანამდებობა და ფულის გამსესხებელი — რომელთანაც დანაშაულებრივი ქმედებებით იყო დაკავშირებული — გახდა ავიატორი

125. საქმეში *CLOOTH v. BELGIUM* ფსიქიატრმა განაცხადა, რომ საჭირო იყო განმცხადებლის ხანგრძლივი მკურნალობა, რადგანაც მას აწუხებდა მძმე სულიერი ავადმყოფობა და ვერ აკონტროლებდა საკუთარ ქმედებებს

იმყოფებოდა საპატიმრო დაწესებულებაში, ეროვნულმა სასამართლოებმა განსახილველ საქმეზე წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას გამოიყენეს სტერეოტიპული ფორმულირება და კურიოზული მდგომარეობა მივიღეთ, როდესაც სასამართლომ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ პირს წინასწარი პატიმრობა არ შეეფარდებოდა, ეს უკანასკნელი მიემალებოდა გამოძიებას და ზეწოლას მოახდენდა მოწმეებსა და მსაჯულებზე.

სტრასბურგის სასამართლო, იმშემთხვევაშითუკიპირი მსჯავრდებულია და სასჯელს იხდის სხვა დანაშაულისათვის, სრულიად არა-ტრადიციული გზით წავიდა, და განაცხადა, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში არის შესაძლებელი ასეტი პირისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების ბრძანების გაცემა. მაგალითად, როდესაცაუცილებელია მისი გადაყვანა სასჯელადსრულებითი დაწესებულებიდან, სადაც იგი იხდის სასჯელს, ისეთ დაწესებულებაში, რომელიც მდებარეობს გამოძიების ან სასამართლო სამართალწარმოების ადგილთან ახლოს. რუსეთის სასამართლოების ბრძანებებში არაფერი იყო ნათქვამი ამ საკითხთან დაკავშირებით და ბრძანება ტრადიციულ, სრულიად სტერეოტიპულ ფორმულირებას დაეყრდნო. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეროვნული სასამართლოების მიერ გაცემული ბრძანებები პრაქტიკული თვალსაზრისით ვერანაირ ზეგავლენას ვერ ახდენდა განმცხადებლის თავისუფლების და ხელშეუხებლობის შეზღუდვაზე, რადგანაც იგი უკვე იხდიდა სასჯელს სხვა დანაშაულისათვის და პატიმრობაში იყო, სტრასბურგის სასამართლომ მაინც ჩათვალა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევად ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული სტერეოტიპული გადაწყვეტილებები, რომლებიც მხოლოდ ფორმალური საფუძვლებით შემოიფარგლებოდნენ და არანაირად არ განიხილავდნენ ან ასაბუთებდნენ ინდივიდუალურ გარემოებებს, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა სასამართლო ბრძანებაში ხსენებულ მიმალვის საფრთხესა

და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარე-
ვის საფრთხისათვის¹²⁶.

საზოგადოეპლიტი წესრიგის დაცვის აუცილებლობა

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა, რომელიც ასევე მოიცავს ბრალდებულის დაცვაზე ზრუნვას, საქმეში *Letellier v. France* მიჩნეულ იქნა ისეთ ფაქტორად, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყო თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელება. თუმცალა, ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული ლონისძიება გამოყენებული უნდა ყოფილყო გამონაკლის შემთხვევებში, და მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელი იყო იმის დამტკიცება, რომ პირის გათავისუფლება კონკრეტულ ვითარებაში ხელყოფდა საზოგადოებრივ წესრიგს. მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ დანაშაულის ხასიათზე დაყრდნობა სასამართლოსათვის მიუღებელია.¹²⁷

მიუხედავადიმისა, რომპატიმრობის გამოყენება ისეთ მძიმე დანაშაულზე, როგორიცაა მკვლელობა — როგორც დაზარალებულის ნათესავების, ასევე ზოგადად საზოგადოების მხრიდან — ლოგიკურად თითქოს აკმაყოფილებს საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფის საშიშროების ტესტს,

126. ისევე როგორც სხვა მრავალ საქმეში, ამ საქმეშიც სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის დარღვევა იმ შემთხვევებიც კი არის შესაძლებელი, როდესაც ამ დარღვევას არ გამოუწვევა ზიანი *Case of RELIGIONSGE-MEINSCHAFT DER ZEUGEN JEHOVAS AND OTHERS v. AUSTRIA*, no. 40825/98, § 67, 31 July 2008; *Case of WASSINK v. THE NETHERLANDS*, 27 September 1990, § 38, Series A no. 185-A; and *Case of MARCKX v. BELGIUM*, 13 June 1979, § 27, Series A no. 31

127. იბ. *Case of I.A. v. FRANCE*, რომელშიც ევროპის სასამართლო არ იყო დარწმუნებული ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა სისწორეში, რომლებიც მიუთითებდნენ დანაშაულის ხასიათსა (განმცხადებლის ცოლის მკვლელობა) და საზოგადოების განწყობებზე

ევროპის სასამართლომ *Letellier*-ის საქმეში დაადგინა, რომ-
სინამდვილეში განმცხადებლის მიერ მოკლული ალჟირელის
დედა და და არ იყვნენ განმცხადებლის გათავისუფლების წი-
ნააღმდეგნი. ამასთან, თავისუფლების აღკვეთა იმ მოტივით,
რომ დაზარალებულის ნათესავები აპირებდნენ შურისძიე-
ბას, არაეფექტურად იქნა შეფასებული ევროპის სასამართ-
ლოს მიერ საქმეში *I.A. v. France*. სასამართლომ ზემოთხსენ-
ებული ბუნდოვნად და არარეალურად მიიჩნია იმის გამო,
რომდაზარალებულის ნათესავების უმრავლესობა ლიბანში
ცხოვრობდა.

ევროპის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოვ-
ელ შემთხვევაში კონკრეტულად უნდა დადგინდეს ვადები,
რადგან თავისუფლების აღკვეთა შესაძლებელია მხოლოდ იმ
დრომდე, რა დრომდეც საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხე
ემუქრება. არ არის გამორიცხული, რომ საზოგადოების
წევრების ქმედება გახდეს ნაკლებად აგრესიული მაგალი-
თად, მას შემდეგ, რაც დანაშაულით გამოწვეული პირველადი
შოკი გაიფანტება.

შეუსაბამო პრაქტიკა

სტრასბურგის სასამართლომ უახლეს პრეცედენტულ სამართალში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მავნე პრაქტიკაზე, რომელსაც ადგილი აქვს ევროპული კონვენციის მონაწილე ზოგიერთ სახელმწიფოში. ამგვარი მავნე პრაქტიკას ხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება და სასამართლოს მრავლობით შემთხვევებში გამო ჰქონდა მსგავსი გადაწყვეტილებები სხვადასხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამგვარი მავნე პრაქტიკისათვის დამახასიათებელია ეროვნული სასამართლოების მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით სტერეოტიპული გადაწყვეტილებების მიღება¹²⁸.

ა) გადაწყვეტილებების ინდივიდუალური ხასიათი

სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს, რომ სასამართლოებმა ინდივიდუალურად განიხილონ თითოეული ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის საკითხი და შეაფასონ ინდივიდუალური გარემოებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთიანი და შესაბამისად, წინასწარ მომზადებული სტანდარტის გამოყენება ყველა ბრალდებულთან მიმართებაში.

აღნიშნული წესი, უნდა მოქმედებდეს ერთიდაიგივე სახის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთა მი-

128. *Case of YAGCI AND SARGIN v. TURKEY Application 16419/90 ; 16426/90 Judgment of 08/06/1995 G.K. v. POLAND*, no. 38816/97, § 84, 20 January 2004; *Case of ALEKSEY MAKAROV v. RUSSIA*, no. 3223/07, § 53, 12 June 2008; *Case of SHCHEGLYUK v. RUSSIA*, no. 7649/02, § 45, 14 December 2006; *KORCHUGANOVA case*, cited above, §76; and *Case of DOLGOVA v. RUSSIA*, no. 11886/05, § 49, 2 March 2006

მართაც. უფრომეტიც, ეს უკანასკნელი გამოიყენება თანა-მონაწილეებთან მიმართებაშიც კი.

ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან გამოიყენონ ინდივიდუალური მიდგომა და გულისყურით შეაფასონ ინდივიდუალური გარემოებები, რომლებიც შეიძლება მეტყველებდნენ წინასწარი პატიმრობის ან სხვა სახის აღტერ-ნატიული იძულების ღონისძიებების გამოყენების სასარგე-ბლოდ ან საწინააღმდეგოდ.

„საერთო ქვაბში ყველა ბრალდებულის მოხარშვის პრაქტიკა“ სტრასბურგის სასამართლომ კატეგორიულად დაგმო რუსეთის, თურქეთის, ბულგარეთის და პოლონეთის წინააღმდეგ გამოტანილ მრავალ გადაწყვეტილებაში. აღნიშ-ნულ პრობლემასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს კრიტიკის ობიექტი საქართველოც გახდა.

წინასწარი პატიმრობის შეფარდების მართლზომიერებასთან დაკავშირებით, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ უახლეს გადაწყვეტილებებში, სტრასბურგის სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ეროვნული სასამართლოების მიერ წინასწარი პატიმრობის სტერეო-ტიპულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. ზემოთ უკვე მითითებულ ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ საქმეში, სასამართლო კატეგორიულია.

„ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ წუხ-ილს გამოთქვამს საქართველოს ეროვნული სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან ... [...] და მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა წინასწარ შემუშავებული სტანდარტული ფორმის ბრძანებით. იმის ნაცვლად, რომ ეროვნულ სასამართლოს განეხორციელებინა თავისი მოვალეობა და მოეძია მყარი არგუმენტაცია წინასწარი პატიმრობის გასამართლებლად, სასამართლო დაეყრდნო და შემოიფარგლა პატიმრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების წინასწარ შემუშავებულ

და წინასწარ დაბეჭდილ ზოგად ნიმუშში ჩაწერილი-აბსტრაქტულიდებულებებით. ხსენებული პრაქტიკა პირდაპირ უთითებს ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ საკითხის განხილვის „შესაბამისი გულმოდგინების“ არ არსებობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სულისკვეთებასთან“¹²⁹.

ანალოგიურია არგუმენტები გვხვდება საქმეში, ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ბუნებრივია ყველა საქმე სტრასბურგში ვერ ხვდება. შესაბამისად, იმისათვის რომ მკითხველს არ დარჩეს ნიკოლაიშვილისა და ფაცურიას საქმეების გამონაკლისობის შთაბეჭდილება, აუცილებლად უნდა ავლნიშნოთ, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულიპრაქტიკისათვის ერთი თვალის გადავლებითაც სრულიად ნათელია, რომ მსგავს პრობლემატიკას ძალიან ხშირად წავაწყდებით ეროვნული სასამართლოების მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებულ ბრძანებებში. ამგვარი ბრძანებების ანალიზისას, როგორც წესი, ვაწყდებით აბსოლუტურად იდენტურ დასაბუთებას, რომელიც მეტი არაფერია თუ არა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 151-ე მუხლით დადგენილი საფუძვლების პირდაპირი გადატანა მოსამართლის ბრძანებაში.

ბ) გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება

სტრასბურგის სასამართლო ეროვნულ სასამართლოებს დასაბუთების ვალდებულებას აკისრებს, რაც თავის მხრივ მჭიდროდ არის დაკავშირებული ამა თუ იმ ქვეყანაში

129. გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ 2009 წლის 13 იანვრის განჩინება განაცხადი 37048/04 (Giorgi NIKOLAISHVILI v. GEORGIA Application no. 37048/04) პუნქტი 73

მოსამართლის მიერ მტკიცებულებების შეფასების საკითხთან.

საქმეში *Makarov v. Russia* ევროპის სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ გაითვალისწინეს განმცხადებლის მიერ წარდგენილი არგუმენტაცია წინასწარი გამოძიების პერიოდში მისი თავისუფლებაში დატოვებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლოს მტკიცებით, ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელეს არათანმიმდევრული და შერჩევითი მიდგომა მხარეების მიერ წარდგენილი წინასწარი პატიმრობის შეფარდების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებული არგუმენტაციის შეფასებისას. მაშინ როდესაც განმცხადებლის მიერ წარდგენილი არგუმენტაცია (მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქონა, ოჯახი და შვილები, საზღვარგარეთ რაიმე ქონების ან თანხების არ ქონა) ეროვნული სასამართლოს მიერ იგნორირებულ იქნა სუბიექტურად. ეროვნულმა სასამართლოებმა, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, სარწმუნოდ მიიჩნიეს სპეცსამსახურების (ФСБ) მიერ მოწოდებული ინფორმაცია პირის მიმალვის სურვილთან დაკავშირებით და სასამართლოებს შემდგომშიც არ განუხორციელებიათ რაიმე სახის ქმედება ამ ინფორმაციის გადამოწმების თუ შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის თაობაზე¹³⁰.

რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გამოტანილ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებში, რომლებიც უკავშირდებოდა წინასწარი პატიმრობის შეფარდებას, სტრასბურგის სასამართლომ განსაკუთრებით გააკრიტიკა წინასწარი პატიმრობის შეფარდების კოლექტიური ბრძანებების პრაქტიკა. კერძოდ, როდესაც ერთ დანაშაულში ბრალდებულ პირებს და თანამონაწილეებს რუსეთის სასამართლოები ერთი საერთო ბრძანებით აგზავნიდნენ წინასწარ პატიმრობაში¹³¹. საქმე-

130. Case of ALEKSANDR MAKAROV v. RUSSIA (Application no. 15217/07) JUDGMENT 12 March 2009 para 127

131. Case of SHCHEGLYUK v. RUSSIA, no. 7649/02, § 45, 14 December 2006;

ში *Popov v. Russia* სასამართლომ განაცხადა, რომ პრაქტიკა, რომლის თანახმადაც კოლექტიური ბრძანებების გაცემა თი-თოვეულ პატიმართან მიმართებაში ინდივიდუალური გარე-მოებების განხილვისა და მიღვომის გარეშემიმდინარეობს, თავისთავად ეწინააღმდეგება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან¹³².

გ) შესაძლო მძიმე სასჯელი, როგორც წინასწარი პატიმრობის გარდაუვალი პირობა

სტერეოტიპულ და კოლექტიურ გადაწყვეტილებებთან ერთად სასამართლოს კრიტიკის საგანი გახდა სხვა-დასხვა ქვეყანაში არსებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც გარკვეული ტიპის დანაშაულებზე, რომელთა ჩადენაში მსჯავრდების შემთხვევაშიც გათვალისწინებული იყო მძიმე სასჯელი, ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ აუცილებლად იქნა მიჩნეული წინასწარი პატიმრობის გამოყენება¹³³. საქმეში *Belchev v. Bulgaria* სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა:

„[პრაქტიკა, რომლის თანახმადაც] გარკვეული ტიპის დანაშაულებზე წინასწარი პატიმრობის შეფარდების პრეზუმაცია შესაძლებელია გაბათილებულიყო მხოლოდ ძალიან მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში, რომლის დროსაც თეორიულადაც კი შეუძლებელი იქნებოდა მიმაღვა, დანაშაულის ხელახლა ჩადენა ან გამოძიებისათვის ხელის შეშლა... და რომლის თანახმადაც მტკიცების ტვირთიპრაქტიკულად ბრალდებულს ეკისრებოდა, რათა ასეთი განსაკუთრებული გამონაკლისი შემთხვევის არსებობა დაემტკიცებინა ეროვნული სასამართლოსათვის... არღვევს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს“.

Case of *KORCHUGANOVA*, cited above, § 76; and Case of *DOLGOVA v. RUSSIA*, no. 11886/05, § 49, 2 March 2006

132. *Case of POPOV AND VOROBIEV v. RUSSIA* (Application no. 1606/02)
JUDGMENT 23 April 2009 para 83.

133. *Ilijkov v. Bulgaria*, no. 33977/96, 26 July 2001

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ჩადენაში პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის საჭიროება, ისევე როგორც დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება, ქმნის საკმარის საფუძველს იმისათვის, რათა და-ნაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს აღეკვეთოს თავისუ-ფლება, აღნიშნული არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს პირისათვის, მექანიკურად და დასაბუთების გარეშე, წინას-წარი პატიმრობის შეფარდებისა თუ პატიმრობის ვადის-გასაგრძელებლად. პატიმრობის შეფარდება უნდა ექვემდე-ბარებოდეს სასამართლოს მხრიდან მყისიერ გადამოწმებას. გადამოწმების პროცესში, ამ უკანასკნელმა, უნდა განიხი-ლოს არა მხოლოდ დაკავების კანონიერება, არამედ მისი გაგრძელების მიზანშეწონილობაც. პატიმრობის განგრძობა-დობის შესახებ შეუძლებელია ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა, რადგანაც შეიძლება არსებობდეს ეჭვი შესაბამისი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის მცდელობასთან დაკავშირებით.

მიზეზები პატიმრობის ვადის გაგრძელებისათვის მხ-ოლოდ მაშინ ჩაითვლება დასაშვებად, როდესაც ისინი ნამდ-ვილად შეესაბამება კონკრეტულ პირთან დაკავშირებულ გა-რემობებს. შესაბამისად, არ შეიძლება არსებობდეს ნორმა, რომელიც დანაშაულებრივი წარსულის, ნასამართლობის მქონე პირებს, ან თუნდაც მათ, რომლებსაც ბრალად ედე-ბათ ცალკეული მძიმე დანაშაულის ჩადენა, ჩამოართმევდა უფლებას, მათი გათავისუფლების საკითხი განხილული ყო-ფილიყო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული პროცედურით.

საქმეში Caballerov. the United Kingdom, რომელშიც გან-მცხადებელიდაკავებულიქნაგაუპატიურების მცდელობის-ბრალდებით, მთავრობამაღიარამე-5 (3) მუხლის დარღვევა, როდესაც ეროვნულმა სასამართლომ განმცხადებელს უარ-იუთხრაგირაოთიგათავისუფლებაზე. ეროვნული სასამართ-ლოდაეყრდნოკანონს, რომლის თანახმადაც, არცერთი პირი

— გამონაკლისისგარეშე — ვისაცბრალიჰქონდაწაყენებულიანმსჯავრდებულიიყოგანზრახთუგაუფრთხილებელიმკვლელობისჩადენაშიანგაუპატიურებაში, არშეიძლებოდაგათავისუფლებულიყოგირაოთი.¹³⁴ ამგვარიკანონიმიუღებელია ადამიანის უფლებათა სასამართლოსათვის, რამდენადაციგისასამართლობსარაძლევსასაშუალებას, განიხილონთავისუფლებაალკვეთილიპირისსაქმეში არსებული კონკრეტული გარემოებები, და ავტომატურად, დანაშაულის არსიდან გამომდინარე ადგენენ თავისუფლების ალკვეთას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომარის შემთხვევები, როდესაცსასამართლომგაუმართლებლადცნოთავისუფლებისაღკვეთისვადისგაგრძელებამკვლელობისსაქმეებში ცკი,¹³⁵ რაც კიდევ ერთხელ ცალსახად ადასტურებს ინდივიდუალური მიდგომის პრიორიტეტულობასსტრასბურგისათვის და გამორიცხავს სწორხაზოვნებას.

134. 2000 წლის 8 თებერვალი

135. *Case of I.A. v. FRANCE*, 1998 წლის 23 სექტემბერი, და *Case of LETELLIER v. FRANCE*, 1991 წლის 26 ივნისი

საქართველოში არსებული პრაქტიკა

ა) მონაცემები გამოთხოვილი საქმეების შესახებ

იმისათვის, რათა შევაფასოთ თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირბეული პრაქტიკა უნივერსალურ და ევროპულ სტანდარტებს, წინამდებარე კვლევის ფარგლებში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნების შესაბამისად, და 28-ე, 37-ე, 38-ე და მე-40-ე მუხლების საფუძველზე გამოვითხოვთ და დავამუშავეთ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ 2008 და 2009 წლებში მიღებული შემდეგი ბრძანებები (სულ 103 ბრძანება):

- 30 ბრძანება აღკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის შესახებ (15 – 2008 წელი, 15 -- 2009 წელი);
- 30 ბრძანება აღკვეთი ღონისძიების სახით შერჩეული პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ (15 – 2008 წელი, 15 -- 2009 წელი);
- 43 ბრძანება აღკვეთი ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ (20 – 2008 წელი, 23-- 2009 წელი);

ამავდროულად, დამატებით დამუშავდა შემდეგი რაიონული/საქალაქო სასამართლოების ბრძანებები აღკვეთი ღონისძიების შეფარდების/შეცვლის შესახებ (სულ 11):

- დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 1 ბრძანება აღკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის შესახებ (2008);
- თელავის რაიონული სასამართლოს 1 ბრძანება აღკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ (2009);

- თელავის რაიონული სასამართლოს 1 ბრძანება აღკვე-
თი ლონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების
შესახებ (2009);
- სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1 ბრძანება
აღკვეთი ლონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენ-
ების შესახებ (2008);
- ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 3 ბრძანება
აღკვეთი ლონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენ-
ების შესახებ (2009-2010);
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1 ბრძანება აღკვე-
თი ლონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ
(2009);
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 3 ბრძანება აღკვე-
თი ლონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების
შესახებ (2009-2010);
- აბაშის რაიონული სასამართლოს 1 ბრძანება აღკვეთი
ლონისძიების სახით

ბ) სტატისტიკური ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვერ გვერდზე
განთავსებული, აღკვეთის ლონისძიებების გამოყენებასთან
დაკავშირებული 2008 და 2009 წლების, სტატისტიკური ინ-
ფორმაცია შემდეგნაირადგამოიყურება:¹³⁶

136. სტატისტიკური მონაცემებისთვის იხ. http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=1171&lang=1

**უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები აღკვეთის
ლონისძიებების შეფარდებასთან დაკავშირებით: 2008 წელი**

სისხლის საპროცესო სამართ- ლებრივი იძულების ღონისძიების დასახელება	საგამომიებო ორგანოდან შემოსული განხილული შეამდგომლობა									
	აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე		აღკვეთის ღონისძიების ვადის გაგრძელებაზე		აღკვეთის ღონისძიების შეცდაზე		დამბიძებაზე			
	სულ	- აქტუალუ რი	სულ	- აქტუალუ რი	სულ	- აქტუალუ რი	სულ	- აქტუალუ რი	სულ	- აქტუალუ რი
	1	2	4	5	6	7	9	10		
1	დაპატიმრება	8197	7806	191	190	75	72			
2	გირაო	6410	6300			6	6	696	676	
3	გირაო პა- ტიმრობის უზრუნ- ველყოფით	2598	2542							
4	პირადი თავდაცნობა	100	100	1	1					
5	არასრულ- წლოვანი ბრალ- დაბულის მეთვალყურე- ობაში გად- აცემა	16	15			1	1			
6	სამწევრო მოსამსახურის ქცევასადმი სარდლობის მეთვალყ- ურება	22	22							
7	სულ აღკვეთის ღონისძიება	17343	16785	192	191	82	79	696	676	

ზემოთ მითითებული მონაცემებიდან გამომდინარე რამდენიმე საინტერესო მაჩვენებლის გამოყოფა შეიძლება:

1. პატიმრობა შეადგენს 2008 წელს შეფარდებული აღკვეთის ლონისძიებების საერთო რაოდენობის 46%;
2. პატიმრობა და გირაო, პატიმრობის უზრუნველყოფით, შეადგენს 2008 წელს შეფარდებული აღკვეთის ლონისძიებების საერთო რაოდენობის 61%;
3. პატიმრობა, გირაო და გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, შეადგენს 2008 წელს შეფარდებული აღკვეთის ლონისძიებების საერთო რაოდენობის 99%;
4. 2008 წელს სასამართლოებმა დააკმაყოფილეს, გამომძიებლის/პროკურორის პატიმრობის შეფარდების შესახებ შუამდგომლობების 95%;
5. 2008 წელს სასამართლოებმა დააკმაყოფილეს, პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობების 99.5%;

**უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები აღკვეთის
ლონისძიებების შეფარდებასთან დაკავშირებით: 2009 წელი**

სისხლის საპროცესო სამართლებ- რივი იმულების ღონისძიების დასახელება	განხილულია საგამოძიებო ორგანოდან შემოსული შუამდგრმლობა								
	აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე		აღკვეთის ღონისძიების ვალის გაგრძელე- ბაზე		აღკვეთის ღონისძიების შეცდლაზე				
	კლ.	ასაკის მიზნის მიხედვის მიზნი	კლ.	ასაკის მიზნის მიხედვის მიზნი	კლ.	ასაკის მიზნის მიხედვის მიზნი	კლ.	ასაკის მიზნის მიხედვის მიზნი	კლ.
	1	2	4	5	6	7	9	10	
1	დაპატიმრება	8713	8198	199	199	57	52	1	1
2	გირაო	6367	5651	3		8	7	646	599
3	გირაო პატიმრობის უზრუნველ- ყოფით	1841	1656	3	3	1	1	6	6
4	პირადი თავდებობა	134	124			1	1		
5	არასრულ- წლოვნი ძრალდებულის მეთვალ- ჭურეობაში გადაცემა	19	19						
6	სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალდე- რება	15	15					1	1
7	სულ ა/ ღონისძიება	17089	15663	202	202	67	61	654	613

2009 წლის მონაცემებით არსებითად იგივე მდგომარეობაა, პატიმრობის გამოყენების საერთო მაჩვენებლის ზრდის ტენდენციით.

1. პატიმრობა შეადგენს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობის 51%;
2. პატიმრობა და გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, შეადგენს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობის 63%;
3. პატიმრობა, გირაო და გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, შეადგენს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობის 99%;
4. სასამართლოებმა დააკმაყოფილეს გამომძიებლის/პროკურორის პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობების 94%;
5. სასამართლოებმა დააკმაყოფილეს პატიმრობის ვადის გაგრძელების შუამდგომლობების 100%;

აღკვეთის ღონისძიებების ძირითადი ტენდენციები ინდივიდუალური სასამართლოების დონეზე შეესაბამება მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებულ ტენდენციებს. კვლევის მიზნებისთვის დამატებით დამუშავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები შეჯამებული სახით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

თბილისის საქალაქო სასამართლო:2008-2009 წლებში პატიმ-რობისა და გირაოს მოთხოვნით შემოსული შუამდგომლობების სტატისტიკა

2008 წელი	განხილულია გ	ლაგმატი- ფილა	არ ლაგმატი- ფილა	დამტკიცდა საპროცესო შემთხვევა	განუხილველი გ	გაითხოვთ შ
პატიმრობა	3630	3290	231	94	7	8
გირაო	3981	3424	61	487	4	5
პატიმრობის ვადის გაგრძელება	72	72				

- დაკმაყოფილდა პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით განხილული შუამდგომლობების 90%;
- დაკმაყოფილდა პატიმრობის ვადის გაგრძელების მოთხოვნით განხილული შუამდგომლობების 100%.

2009 წელი	განხილულია გ	ლაგმატი- ფილა	არ ლაგმატი- ფილა	დამტკიცდა საპროცესო შემთხვევა	განუხილველი გ	გაითხოვთ შ
პატიმრობის შეფარდება	4306	3913	186	184	2	21
გირაოს შეფარდება	3384	2679	68	628	2	7
პატიმრობის ვადის გაგრძელება	106	106				

- დაკმაყოფილდა პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით განხილული შუამდგომლობების 91%;
- დაკმაყოფილდა პატიმრობის ვადის გაგრძელების მოთხოვნით განხილული შუამდგომლობების 100%

გ) სასამართლო სტატისტიკა იძულების ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ

ზემოხსნებული, საერთაშორისო და შიდა-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შენიშვნებისა და რეკომენდაციების ფონზე თუკი ბოლო წლების საქართველოს სასამართლოების მიერ აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების სტატისტიკასგადავხედავთ, სურათი ძალზედ მძიმეა.

ბოლო წლებში გამოყენებული იძულების ღონისძიებებიდან წინასწარი პატიმრობის შეფარდება ხორციელდება საქმეების 45-55%, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი 94-95% უტოლდება როდესაც იძულების ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდებას სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს გამოძიება. ხსენებული კი აზრს უკარგავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში აღტერნატიული იძულების ღონისძიებების არსებობის კონცეფციას და განსაკუთრებით კი ისეთი ეფექტიანი აღტერნატიული იძულებითი ღონისძიების გამოყენებას, როგორიც არის გირაო (როგორც ეს მიჩნეულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ).

2009 წელს, ბრალდებულის მიმართი ძულების ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით გამოძიებამ საქართველოს სასამართლოებს 8,713 შუამდგომლობით მიმართა. აქედან სასამართლოებმა დააკმაყოფილეს 8,198 ანუ 94%-ე მეტი. 2008 წლის ანალოგიური მონაცემები

შემდეგნაირად გამოიყურება. 8,197 შუამდგომლობიდან 7,806 ანუ 95%-ე მეტი დაკმაყოფილდა.

2007 წლის მე-2 ნახევარში სასამართლოებში გამოძიების ორგანოების მიერ ცალკეულ დანაშაულებში ბრალდებულებისათვის აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული 4,475 შუამდგომლობიდან, სასამართლოებმა დააკმაყოფილეს 4,240 ანუ დაახლოებით 94%. ხოლო იმავე წლის პირველ ნახევარში 5,084 შუამდგომლობიდან 4,689 ანუ დაახლოებით 92%.

2006 წლის მეორე ნახევარში პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული 5,893 შუამდგომლობიდან, სასამართლოებმა დააკმაყოფილეს 5,202 ანუ დაახლოებით 89%.

კიდევ უფრო შემაშფოთებელია, ბოლო წლებში, წინასწარი პატიმრობის გაგრძელების სტატისტიკა, როდესაც პატიმრობის დაკმაყოფილება თითქმის სრულად ემთხვევა პროკურატურის მოთხოვნებს. 2009 წელს წინასწარი პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით წარდგენილი შუამდგომლობებიდან ყველა ანუ 100% დაკმაყოფილდა, ხოლო 2008 წელს ხსენებული მაჩვენებელი ერთი ერთეულით ჩამორჩებოდა: 191 შუამდგომლობიდან, 190 დაკმაყოფილდა.

სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ადვილია დასკვნის გაკეთება, რომ მაშინ როდესაც წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამოძიება ითხოვს იძულების ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდებას, სასამართლოები აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევებში აკმაყოფილებენ ხსენებულ შუამდგომლობებს და გასცემენ პატიმრობის ბრძანებას.

შესაბამისად, საქართველოში პრეზუმუცია თავისუფლების სასარგებლოდ ეჭვევეშ დგას, და სამწუხაროდ შეძლება ითქვას რომ არმოქმედებს.

მნიშვნელოვანი კითხვა ამ შემთხვევა ის არის, თუ რა განაპირობებს ასეთ ტენდენციისა და პრაქტიკას? ამ კითხ-

ვაზე საპასუხოდ მრავალი სხვადასხვა მიზეზი შეიძლება არსებობდეს, წმინდა სამართლებრივი, ფუნდამენტურ-იდეოლოგიური, პოლიტიკურ-კონიუნქტურული და სხვა, თუმცა ვფიქრობთ საუკეთესო პასუხი ევროპის სასამართლომ გასცა, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ რამოდ-ენიმე გადაწყვეტილებაში.

სტრასბურგის პასუხი მარტივი, მაგრამ ძალზედ შე-მაშფოთებელია: სასამართლოები ხელმძღვანელობენ არა საქმის გარემოებებით, ფაქტობრივი მტკიცებულებებით ან საქმის შესწავლისას “შესაბამისი გულმოდგინებით”, არამედ “წინასწარ შემუშავებული და წინასწარ დაბეჭდილი, ზოგად ნიმუშში ჩაწერილი აბსტრაქტული დებულებებით”.

ქართული მართლმსაჯულების შესახებ ინფორმირებული ადამიანებისათვის უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ევრო-პული სასამართლო მიუთითებს ე.წ. “გაიდლაინების” შესახებ, რომელიც ქართველი მოსამართლეებისათვის სავალდებულო სამაგიდო სახელმძღვანელოა. აღნიშნული “გაიდლაინების” საკითხი, თვეების განმავლობაში განხილვის საგანი იყო. ისინი თბილისში პროგრესისა და მართლმსაჯულების ეფექტურობის ნიმუშად შეფასდა, სტრასბურგში კი მართლმსაჯულების განხორციელებისა და ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის ფუნდამენტური უფლების დაცვის წინაღობად.

**საქართველოში წინასწარი პატიმრობის
შეფარდებასთან დაკავშირებული სასამართლო
პრდანებების / დადგენილებების ანალიზი**

**საქართველოში აღკვეთის ღონისძიების სახით
გირაოს გამოყენების პირობები**

ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისკონვენციისმე-5(3) მუხლიუზრუნველყოფსგირაოსსა-ფუძველზეგათავისუფლებისუფლებასდაუპირატესობასანიჭებსმისგამოყენებასსასამართლოპროცესისმიმდინარეობისდროს. გირაოსსაფუძველზეგათავისუფლებაზეუარისთქმაშესაძლებელიამხოლოდოთხიშემთხვევისარსებობისას:

- 1) მიმალვის საფრთხე;
- 2) მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე;
- 3) დანაშაულის აღკვეთის საფრთხე; და
- 4) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა — ზემოთ უკვე განხილული პირობების გათვალისწინებით.

გამომდინარე იქიდან, რომ გირაოს მთავარი მიზანია, უზრუნველყოს ბრალდებულის სასამართლო განხილვაზე გამოცხადება, მისი ოდენობა ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ მიზნის მიღწევას. მაგალითად, საქმეში *Neumeister v. Austria*,¹³⁷ რომელშიც ეროვნულმა სასამართლომ გირაოს ოდენობა გამოიანგარიშა მხოლოდ განმცხადებლისათვის მიყენებული ზარალის საფუძველზე, ევროპის სასამართლომ დაადგინა მე-5(3) მუხლის დარღვევა დაგადაწყვიტა, რომ გირაოს მთავარი მიზანია, შესაბამისი პირის სასამართლო განხილვაზე

137. *Case of NEUMEISTER v. AUSTRIA*, 1968 წლის 27 ივნისი

გამოცხადება და არა დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურება, რაც ბრალდებულის ქმედებამ გამოიწვია.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ გათავისუფლების გარანტია არ შეიძლება აკისრებდეს ბრალდებულს იმაზე მეტ ტვირთს, რაც აუცილებელია უსაფრთხოების გონივრული ხარისხისათვის. უზრუნველყოფის ღონისძიების ხასიათი და ოდენობა, რომლის დანიშნულებაა ბრალდებულის დასწრება სასამართლო განხილვაზე, უნდა უკავშირდებოდეს და გამომდინარეობდეს იმ საფუძვლიდან, რომლის თანახმადაც ხორციელდება პირის ნინასწარი პატიმრობა. როდესაც უზრუნველყოფის სახით ფინანსურ გარანტიათა წარმოდგენაა საჭირო,¹³⁸ გირაოს ოდენობა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ბრალდებულის პიროვნული თვისებების, მისი ფინანსური მდგომარეობისა და იმ პირებთან ურთიერთობის გათვალისწინებით, რომლებიც კისრულობენ შესაბამისი უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელებას. ბრალდებულმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ინფორმაცია მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომლის შემდგომაც ქვეყნის შიდა კომპეტენტური ორგანოები ვალდებული არიან, ყურადღებით შეისწავლონ ინფორმაცია გირაოს შესაბამისი ოდენობის განსაზღვრის მიზნით. გირაოს სახით იმაზე მეტი ოდენობის თანხის განსაზღვრა, ვიდრე ეს აუცილებელია უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად — რაც გულისხმობს „მიმაღვის სურვილის გაქარწყლების მიზნით დაშინების საკმარის საშუალებას“ — აუცილებლად გამოიწვევს პირის გირაოთი სარგებლობის უფლების დარღვევას.¹³⁹ გარანტიის სახით პასპორტის ჩამორთმევა შესაძლებელია იმავე პრინციპის საფუძველზე, რაც მოქმედებს ფინანსურ გარანტიებთან დაკავშირებით, და მიმართულ უნდა იყოს ბრალდებულის სასამართლო განხილვაზე გამოცხადების უზრუნველყოფისაკენ.¹⁴⁰

138. *Case of WEMHOFF v. THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY*

139. *Case of NEUMEISTER v. AUSTRIA*

140. *Case of STÖGMULLER v. AUSTRIA*

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ საქმეებს, სადაც არსებობს შესაბამისი პირის მიმალვის დიდი საფრთხე. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა გარანტიის სახით გირაოს ნებისმიერი ოდენობა არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდეს. ასე მაგალითად, საქმეში *Punzelv. the Czech Republic*, ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს განმცხადებლის გირაოთი გათავისუფლება (იგი მზად იყო გადახადა 15,000,000,00 ჩეხური კრონა). შემდგომში ეროვნულმა სასამართლომ მზადყოფნა გამოთქვა, გაეთავისუფლებინა განმცხადებელი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, თუკი ეს უკანასკნელი გირაოს სახით გადაიხდიდა 30,000,000,00 ჩეხურ კრონას. ევროპის სასამართლომ, გაითვალისწინა რა განმცხადებლის მიერ დადებულ შეთანხმებათა მოცულობა (ამ უკანასკნელმა დაამზადა ორი ყალბი ჩეკი, რომელიც იყო 28,400,000,00 ჩეხური კრონის ექვივალენტი; დაკავებამდე იგი აპირებდა ორი უნივერმალის შეძენას, რომელთა ღირებულება შეადგენდა 338,856,000,00 და 236,000,000,00 ჩეხურ კრონას. ამასთან, იგი აპირებდა ამ უნივერმალების ვალის დაფარვას, რაც შეადგენდა 150,000,000,00 ჩეხურ კრონას), დაადგინა, რომ გირაოთი გათავისუფლებაზე უარის თქმა და უზრუნველყოფის უფრო დიდი ოდენობით განსაზღვრა ვიდრე ამას სთავაზობდა განმცხადებელი, არ წარმოადგენდა მე-5 (3) მუხლის დარღვევას.¹⁴¹

გირაოს, როგორც იძულების ღონისძიების, გამოყენების ტადეციების საქართველოში

არის შემთხვევები, როდესაც ეროვნულისასამართლოები აღმკვეთ ღონისძიებად იყენებენ გირაოს. თუმცა, გი-

141. 2000 წლის 25 აპრილი; ევროპის სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებელი ხელმეორედ მაინც იქნებოდა დაპატიმრებული ექსტრადიციის პროცესთან დაკავშირებით

რაოს გამოყენებისას წარმოჩინდება ისეთი სახის ხარვეზები, რომელიც აზრს უკარგავს ამ სახის აღტერნატიული აღკვეთი ღონისძიების გამოყენებას. ძირითადად პრობლემა გირაოს გამოანგარიშებისას გასათვალისწინებელი ისეთი კრიტერიუმების განხილვის ვალდებულების უგულვებელყოფას ეხება, როგორიც არის:

- 1) ბრალდებულის ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის გამოკვლევა;
- 2) ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც პირს, რომელსაც არ გააჩნია უძრავი ქონება, ლირებული მოძრავი ქონება და რომლის ოჯახის წევრების ერთობლივი შემოსავალი შეადგენს, მაგალითად 700-800 ლარს, მოპარული ტელეფონის შეძენის გამო გირაოს თანხად განესაზღვრა 170 000 ლარი. ასეთ შემთხვევებში ნათელია, რომ პირი ვერ გადაიხდის გირაოს, რასაც შედეგად მოჰყვება მის მიმართ უაღტერნატივოდ წინასწარი პატიმრობის გამოყენება. ხსენებული გადაწყვეტილებით, აზრი ეკარგება თვითგირაოს უმთავრეს დანიშნულებას, რომლის თანახმადაც გირაო უზრუნველყოფს ბრალდებულის დროულად გამოცხადებას საგამოძიებო ორგანოების წინაშე და სასამართლოში არსებითი სამართალწარმოებისას.

სრულყოფილი და დეტალური ანალიზის მიზნით, ჩვენ გამოვითხოვთ და დეტალურად გავეცანით ბრძანებებს გირაოს შეფარდების შესახებ. შესაბამისად მათი ხასიათის მიხედვით, ბრძანებების რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა შეიძლება:

ბრძანებების პირველი ჯგუფი შედგება იმ ბრძანებებისაგან, სადაც გამოყენებულია სტანდარტული ტექსტი აღკვეთის ღონისძიების მიზნებისა და საფუძვლების არსებობის შესახებ, და არ არის გამყარებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებითა და მტკიცებულებებით.

უშუალოდ გირაოს გამოყენების საფუძველად კი მიჩნეულია ის, რომ

- (1) ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული;
- (2) პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე, გირაო ადეკვატური აღკვეთის ღონისძიებაა.

ამ ტიპის ბრძანებებში მოსამართლის მსჯელობა/დასაბუთება შემდეგი არსებითად სტანდარტული ფრაზე-ოლოგით შემოიფარგლება:

{.....}

განიხილა რა წარმოდგენილი შუმდგომლობა და მოისმინა მხარეთა მოსაზრებანი, სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს საკმარისი ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები [...] მიმართ ა/ღონისძიების გამოყენებისათვის, კერძოდ:

- ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემისას, მტკიცებულებათა მოპოვებისას და დამაგრებისას არსებითი ხასიათის დარღვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა ა/ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, საქმის მასალების (საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ოქმებით) არ დასტურდება;

- სისხლის სამართლის საქმის წარმოდგენილი მასალების (საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ოქმები) და ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში – მითითებული მტკიცებულებების (დაზარალებულ [...] ჩვენება, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ცნობა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და თანდართული სქემა, სასამართლო სამედიცინო, ტრასოლოგიურ-ტექნიკური და ავტოტექნიკური ექსპერტიზების დასკვნები, ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადენის სამედიცინო შემოწმების ოქმი და სხვა მასალები) შესაბამისად, სახეზეა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები ბრალ-

დებით გათვალისწინებული ქმედებისათვის პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად;

- ა/ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას, მხედველობაში იღებს რა ბრალდებულის პიროვნებას (გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აღიარებს და ინანიებს დანაშაულს, არ არის ნასამართლევი) და დანაშაულის სიმძიმეს [. . .] (ბრალად ედება ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა) სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნის განახორციელებას უზრუნველყოფს [. . .] მიმართ აღკვეთის ღონისძიებად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობის გირაოს შერჩევა.¹⁴²

კიდევ ერთი ამონარიდი სხვა საქმეზე ბრძანებიდან, რომელიც არსებითად იდენტური შინაარსის მატარებელი, მხოლოდ უფრო მოკლე და ლაკონურია:

{.....}

სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სასაკის 153-ე მუხლით განსაზღვრულ გარემოებებს, კერძოდ, დადგენილია, რომ ბრალდებულს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჰყავს ოჯახი, აღიარებს ნარდენილ ბრალდებას, რომელიც არის ნაკლებად მძიმე კატეგორიის და აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულს უნდა შეეფარდოს აღკვეთის ღონისძიებად გირაო 2000 ლარის ოდენობით, რის გამოც იგი თავისუფლებაში ყოფნისას არ დაემალება გამოძიებას, სასამართლოს და ხელს არ შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.¹⁴³

შესაბამისად, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესწავლილი ბრძანებებიდან გამომდინარეობს, რომ გირაოს შეფარდება ხდება, გარკვეული პირობების არსებობისას, ამასთანავე, არ

142. 2008 წლის ბრძანება, 1(1)

143. 2008 წლის ბრძანება, 1(2).

არის აუცილებელი ყველა ამ ფაქტორის კუმულაციურად არ-სებობა. კერძოდ,

1. სახეზეა ნაკლებად მძიმე დანაშაული;
2. ბრალდებული აკმაყოფილებს გარკვეულ ფაქტო-ბრივ/პიროვნულ კრიტერიუმებს, მათ შორის, არ არის ნასამართლევი, ჰყავს ოჯახი, აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აღიარებს წარდგენილ ბრალდებას.

გირაოს შეფარდების შემთხვევაში სასამართლო აღარ მსჯელობს ნაკლებადმ კაცრი აღკვეთის ღონისძიების შე-ფარდების შესაძლებლობაზე. შესწავლილი 40 ბრძანებიდან მხოლოდ ერთ ბრძანებაში მოსამართლე ამ საკითხს ერთ წინადადებას უთმობს –

“[. . .] ხოლო უფრო ნაკლებად მკაცრი ა/ღონისძიება ვერ იქნება შეფარდებული, ბრალდებულმა თავისუფლებაში ყოფნისას კვლავ არ განაგრძოს დანაშაულებრივი საქმიანობა, თავი არ აარიდოს გამოძიებას, სასამართლოს და ხელი არ შეუშალოს გამოძიებას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, [...]”.¹⁴⁴

უნდა აღინიშნოს, რომ გირაოს შეფარდების მოთხოვნას უმრავლეს შემთხვევაში ავტომატურ რეჟიმში ეთანხმება ბრალდებული და მისი დამცველი.

ჩვენს მიერ შესწავლილი საქმეებიდან, მხოლოდ, ერთ შემთხვევაში მოითხოვა ბრალდებულმა გირაოს ნაცვლად პირადი თავდებობის გამოყენება შემდეგ გარემოებებზე მი-თითებით: “აღიარებს და ინანიებს დანაშაულს, ზიანი ანაზღაურებულია, აქვს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა” და თავდებ პირებად დაასახელა მშობლები. თუმცა სასამართლომ უგულებელყო ბრალდების მოთხოვნა. მოსამართლეს არ უმსჯელია, არც რომელიმე ზემოთ მითითებულ ფატო-ბრივ გარემოებაზე, და არც მათზე დაყდნობით თავდებობის

144. იხ. დანართი, 2009 წლის ბრძანება 1(8).

გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ანალიზისა და დასაბუთებული მსჯელობის სანაცვლოდ, მოსამართლე შემოიფარგლა სტანდარტული დასაბუთებით:

ა/ლონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას, მხედველობაში იღებს რა ბრალდებულის პიროვნებასა (გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აღიარებს და ინანიებს დანაშაულს, ნასამართლევია) და დანაშაულის სიმძიმეს [. . .] (ბრალად ედება ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა) სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ლონისძიების გამოყენების მიზნის განხორციელებას უზრუნველყოფს [. . .] მიმართ აღკვეთის ლონისძიებად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობის გირაოს შერჩევა.¹⁴⁵

მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს, როდესაც დაცვის მხარემ მოითხოვა გირაოს თანხის შემცირება, თუმცა სასამართლომ ყველა ასეთ შემთხვევაში უარიგანაცხადა. მაგალითად, ერთ-ერთ ბრძანებაში, სადაც დაცვის მხარე გირაოს შემცირებასა და გადახდის ვადის გაზრდას ითხოვდა, სასამართლომ გამომძიებელის მოთხოვნა, 3000 ლარის ოდენობის გირაოს შეფარდების შესახებ ისე დააკმაყოფილა ერთი სიტყვითაც კი არ შეხებია დაცვის მოთხოვნასა და არგუმენტებს. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ

[. . .]

ბრალდებულმა მხარი დაუჭირა გამომძიებლის შუამ-დგომლობას, ამასთან ითხოვა გირაოს თანხის შემცირება და გადახდის ვადის გაზრდა იმ საფუძვლით, რომ ბრალდებულს ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

[. . .]

გირაოს ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს ბრალდების სიმძიმეს, ბრალდებულის

145. იხ. დანართი, 2009 წლის ბრძანება 1(19).

პიროვნებას, მის ქონებრივ მდგომარეობას და მიაჩნია, რომ გირაოს ოდენობა უნდა განისაზღვროს 3000 ლარის ოდენობით.¹⁴⁶

ბრძანებების მიორე ჯგუფი შედარებით მცირერიცხოვანია. აქ მოხვდა ის ბრძანებები, სადაც გირაო შეფარდებულია მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის. ასეთ შემთხვევებში საინტერესოა ის გარემოება, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებისას მოსამართლეები ორ ძირითად არგუმენტს/საფუძველს უთითებენ:

1. ბრალდებულის პიროვნება (არ არის ნასამართლევი, აღიარებს და ინანიებს დანაშაულს, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სხვა);
2. დანაშაულის სიმძიმეს – მძიმე კატეგორიის დანაშაული.

მაგალითად, ერთ-ერთ ბრძანებაში ვკითხულობთ:

ა/ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას, მხედველობაში იღებს რა ბრალდებულების პიროვნებას (არ არიან ნასამართლევები, აღიარებენ და ინანიებენ დანაშაულს, გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი), ასევე დანაშაულის სიმძიმეს (ბრალად ედებათ მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა), სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნის განხორციელებას უზრუნველყოფს მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიებად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობის გირაოს შერჩევა.¹⁴⁷

იდენტურია დასაბუთება სხვა ბრძანებებშიც. მაგალი-

146. იხ. დანართი, 2009 წლის ბრძანება 1(18).

147. იხ დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(10).

თად, ერთ-ერთ ბრძანებაში მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში გირაოს გამოყენების საფუძველი გახდა შემდეგი: “დადგენილია, რომ ბრალდებულს ჰყავს ოჯახი, აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აღიარებს წარდგენილ ბრალდებას, არ არის ნასამართლევი.”¹⁴⁸

აღსანიშნავია ერთი ბრძანება, სადაც მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში გირაოს სახით მოთხოვნილი თანხა 4000 ლარი მოსამართლემ 2000 ლარამდე შეამცირა, იმ მოტივით, რომ ბრალდებული არასრულწლოვანი იყო.¹⁴⁹

ჩვენ ვიპოვეთ მხოლოდ ერთი ბრძანება, საიდანაც უფრო მეტი ინფორმაციაა იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა ბრალდებულისთვის გირაოს შეფარდება. კერძოდ, გადაწყვეტილების ტექსტიდან, სტანდარტულ ბრალდებულის პირად დადებით მხარეებთან ერთად, დამატებით ირკვევა, რომ ბრალდებული აქტიურად თანამშრომლობს გამოძიებასთან, რაც სასამართლოსთვის მისაღები აღმოჩნდა. კერძოდ, ამ ბრძანებაში ვკითხულობთ ბრალდების მხარის შემდეგ არგუმენტს:

[...]

მართალია, [...] მერ ჩადენილია მძიმე კატეგორიის დანაშაული, მაგრამ იგი თანამშრომლობს გამოძიებასთან, ხელს უწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და პირობას დებს, რომ არ დაემალება წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს.

მოსამართლე შესაბამისად, თავის მხრივ ადგენს, რომ

ა/ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას, მხედველობაში იღებს რა ბრალდებულის პიროვნებასა (არაა ნასამართლევი, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აღიარებს და ინანიებს დანაშაულს, აქტიურად თანამშრომლობს გამოძიებასთან) და დანაშაულის

148. იხ დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(15).

149. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(18).

სიმძიმეს ([...] ბრალად ედება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა) სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნის განხორციელებას უზრუნველყოფს [. . .] მიმართ აღკვეთის ღონისძიებად 60 000 (სამოცი ათასი) ლარის ოდენობის გიაროს შერჩევა.¹⁵⁰

ასევე საინტერესოა კიდევ ერთი ბრძანება, სადაც გირაოს გამოყენება მოხდა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთათვის ბრალდებული პირის მიმართ. აქაც დასაბუთება იდენტურია – “დადგენილია, რომ ბრალდებულს ჰყავს ოჯახი, აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აღიარებს ნარდგენილ ბრალდებას, აღნიშნული გარემოებებისა და ქმედების ხასითის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულ [. . .] უნდა შეეფარდოს გირაო [. . .] ოდენობით, რის გამოც იგი თავისუფლებაში ყოფნისას არ დაემალება გამოძიებას, სასამართლოს და ხელს არ შეუძლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.”¹⁵¹

კიდევ ორ ბრძანებაში, სადაც საუბარია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე, ასევე გირაოს გამოყენების საფუძველი გახდა ის, რომ “დადგენილია, რომ ბრალდებულს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი [და] აღიარებს ნარდგენილ ბრალდებას.”¹⁵²

ამ ბრძანების შინაარსიდან გამომდინარე ერთი მთავარი დასკვნის გამოტანა შეიძლება: დაუსაბუთებელი და რაიმე კონკრეტული მტკიცებულებების ან ფაქტობრივი გარემოებების საფუძვლიანი ანალიზის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევაში აბსოლუტურად შეუძლებელია იმის დადგენა თუ რამ განაპირობა მსგავსი ტიპის საქმეებზე სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებების შეფარდება. ეს კი

150. იხ დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(12).

151. იხ დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(11).

152. იხ დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(16), იხ დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(17).

შესაბამისად ბადებს ეჭვს სასამართლოს პროფესიონალიზმ-სა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ერთის მხრივ, სტატისტიკა ადასტურებს, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა შემთხვევაში თითქმის ავტომატურ რეჟიმში ხდება პატიმრობის შეფარდება, ბრალ-დებულის პიროვნული და სხვა ფაქტობრივი გარემოებების ან რაიმე მტკიცებულებების განუხილველად, თუმცა ასევე სრულიად დაუსაბუთებლად და რაიმე კონკრეტული, განმასხვავებელი, განსაკუთრებული ფაქტორების არსებობის გარეშე გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება გირაოს გამოყენების ერთეული საქმეებიც. ეს კონკრეტული შემთხვევები რატომ გახდა გამონაკლისი, გადაწყვეტილებიდან აბსოლუტურად გაურკვეველია.

გამომდინარე იქიდან, რომ მოსამართლეები პრაქტიკულად არასდროს მსჯელობენ აღკვეთის ღონისძიების ამათუ იმ ფორმის გამოყენების ინდივიდუალურ მხარეებზე, არ ახდენენ ბრძანებების პერსონიფიკაციას და ძირითადად ზოგადი ხასიათის ბლანკებების ნორმებით შემოიფარგლებიან, რთულია განაზოგადო ქართული მართლმსაჯულების ფენომენი, და კიდევ უფრო რთული დასადგენია რეალურად რა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით იქმნება ქართული სასამართლო პრაქტიკა.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური მონაცემები შემაშფოთებელია და თავისთავად გვიბიძგებს დასკვნების გაკეთებისაკენ, უმნიშვნელოვანესია ჩევნების ხელთ არსებული ბრძანებების შინაარსობრივი განხილვა და ანალიზი, რათა კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვემნას ეროვნული სასა-მართლო სისტემის მიერ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენ-ების ხასიათის შესახებ. კვლევის მიზნებისთვის გამოთხოვი-ლი დაპატიმრების შერჩევის შესახებ ბრძანებების გაცნობის შედეგად, შესაძლებელია ბრძანებების შემდეგ კატეგორიე-ბად დაჯგუფება:

**ბრძანებების პირველი ჯგუფი, სადაც ადგილი აქვს
მოსამართლეების მიერ სტანდარტული ტექსტის გამოყენ-
ებას. ასეთ შემთხვევებში დასაბუთების ნაწილში, პრაქტიკუ-
ლად ყველა ბრძანება სამ ძირითად დებულებას შეიცავს:**

1. სასამართლომ განიხილა რა პროკურორის თანხმობით გამომძიებლის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, გაეცნო თანდართულ მასალებს, მოისმინა მხარეთა გან- მარტებები, მიიჩნია, რომ გამომძიებელ [...] შუამდგომ- ლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს რად- გან, არსებობს როგორც ფორმალური (საპროცესო), ასევე ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლები აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის: კერძოდ, ბრალდებულის დაკავებისას, ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემისას, მტკიცებულებათა მოპ- ივებისა და დამაგრებისას არსებითი ხასიათის საპრო- ცესო დარღვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, საქმის მასალებით, შესაბამისი საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ოქმებით არ დასტურდება.

2. ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის დადგენილებაში მითითებული მტკიცებულებებისა და ასევე საქმეში არსებული სხვა მასალების შესაბამისად, სახეზეა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები ბრალდებით გათვალისწინებული ქმედებისათვის ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის.
3. აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ბრალდების სიმძიმეს და მის საზოგადოებრივ საშიშროებას, იგი მიეკუთვება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომელიც ითვალისწინებს ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთას, გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ ბრალდებულმა მკაცრი სასჯელის შიშით, შესაძლებელია თავი აარიდოს გამოძიებასა და სასამართლოს, ხელი შეუშალოს მტკიცებულებათა მოპოვებასა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, შესაბამისად ბრალდებულის მიმართ არასაპატიმრო აღ/ღონისძიების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შესრულებას. საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველყოფა გამოძიების ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ დაპატიმრების გამოყენებით.¹⁵³

ამ კატეგორიის ბრძანებებში მოსამართლეები მხოლოდ ფორმალურად ადგენენ “საკმარისი საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობას”¹⁵⁴ შუამდგომლობას აკმაყოფილებენ, საქმეში არსებული შესაბამისი მასალებისა და მტკიცებულებების განხილვის გარეშე.

153 იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 1(4)

პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის დასაბუთებისას, მოსამართლეები არ მსჯელობენ იმ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთაც განაპირობეს ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდების აუცილებლობა. ხშირად პატიმრობის გამოყენების საფუძვლი ხდება კანონით გათვალისწინებული ყველა ან უმეტესი საფუძვლის ფორმალური მითითება, ანუ უფრო ნათელი რომ იყოს, უბრალოდ კანონის ჩანაწერის ბრძანებაში მექანიკური გადმოტანა, კონკრეტული საფუძვლების არსებობის ინდივიდუალური განხილვისა და დასაბუთების გარეშე. მოსამართლეები საერთოდ არ მსჯელობენ სხვა არა-საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობაზე.

აღსანიშნავია რიგი ბრძანებები, სადაც მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირებს ავტომატურ რეჟიმში უფარდებენ პატიმრობას შემდეგ სტერეოტიპულ დასაბუთებაზე დაყრდნობით:

“[. . .] ბრალად შერაცხული დანაშაული მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რის გამოც სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნის მიღწევა შეუძლებელია პატიმრობაზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.”¹⁵⁴

ამ ტიპის ბრძანებებში, ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პრინციპულად საპირისპირო არგუმენტაციისა და მტკიცების მიუხედავად, ეს არის პატიმრობის შეფარდებისერთადერთი საფუძველი.

პრანეპარის მეორე ჯგუფი (სადაც ამ კვლევის მიზნებისთვის შესწავლილი ბრძანებების უმრავლესობა შევიდა) ცოტა მეტი დასაბუთებულობით ხასიათდება. მოსამართლეების მხრიდან ადგილი აქვს მცდელობას, პატიმრობის შეფარდების საპროცესო საფუძვლები განამტკიცოს საქმეში

154. იხ. დანართი, 2009 წლის ბრძანება 1(20)

არსებული ფაქტობრივი გარემოებებით (მტკიცებულებებით). თუმცა, ეს დასაბუთება ხშირად ასევე სტერეოტიპული ხასიათისაა.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ ერთ-ერთი ბრძანება, რომელიც დასაბუთების ნაწილში შემდეგ მსჯელობას ეფუძნება:

[...]

განიხილა რა შუამდგომლობა და მოისმინა მხარეთა მოსაზრებები, სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს როგორც ფორმალური (საპროცესო), ასევე ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლები აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის, კერძოდ, ბრალდებულის დაკავებისას, ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემისას, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, საქმის მასალებით (საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ოქმებით) არ დასტურდება.

ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის დადგენილებაში მითითებული მტკიცებულებების – ეჭვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის, მისი კანონიერად ცნობის დადგენილების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის, დაზარალებულისა და მონმებების ჩვენებების შესაბამისად, სახეზეა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები (საკმაო მტკიცებულებები) ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის.

ბრალდებულს ბრალად ედება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულია შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, რაც სასამართლოს უქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ, შესაძლოა, ბრალდებულმა, მოსალოდნელი სასჯელის შიშით, თავი აარიდოს საგამოძიებო და სასამართლო ორგა-

ნოებში გამოცხადებას და მიიმალოს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული ნასამართლევია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადებისთვის, ასევე საქმეზე ჩასატარებელია მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია ვარაუდი ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მტკიცებულებათა მოპოვებასა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში ბრალდებულის მიერ ხელის შეშლის შესახებ.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობით, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველყოფა გამოძიების ამ ეტაპზე შესაძლებელია ბრალდებულის მიმართ მხოლოდ დაპატიმრების გამოყენებით.¹⁵⁵

ამ ტიპის ბრძანებებში, როგორც წესი, მითითებულია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების კონკრეტული საფუძველი და ასევე არის ინდივიდუალური მსჯელობა ამ საფუძვლების არსებობის შესახებ, თუმცა ამგვარ მსჯელობას მეტად ზედაპირული და შეზღუდული ხასიათი აქვს. არსად არ ჩანს რა არის ის კონკრეტული მტკიცებულებები, რას ეფუძნება ვარაუდები, რა ფაქტობრივი გარემოებებით მტკიცდება საფრთხეები და სხვა.

ამასთანავე, მოსამართლეები ფორმალურადაც კი არ მსჯელობენ არა-საპატიმრო ხასიათის აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობაზე.

საინტერესოა, რომ ამ ჯგუფშიც გვხვდება ბრძანებები, სადაც მოსამართლე პატიმრობის შეფარდების დასაბუთებისას იშველიებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ყველა დასაშვებ საფუძველს. მაგალითად,

[...] შეკრებილი მტკიცებულებებიდან, ბრალდების სიმძიმიდან და ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია, რომ ბრალდებული თავისუფლე-

155. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(7).

ბაში ყოფნისას მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით დაემალება წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს, ზემოქმედებას მოახდენს პროცესის მონაწილეებზე, შესაძლოა განაგრძოს დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, რის გამოც ბრალდებულ [.] ამ ეტაპზე უნდა შეეფარდოს დაპატიმრება.¹⁵⁶

მოსამართლისათვის, არც ერთ შემთხვევაში, არც-ერთი ზემოთ მითითებული საფუძველი ინდივიდუალური მსჯელობის საგანი არ ხდება. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების დასაბუთებისას ეყრდნობა და იშველიერს ზოგიერთ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც ბრძანებას, ნაწილობრივ მაინც დასაბუთებულს ხდის:

[. . .]

აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ბრალდებული [. . .] ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის და პირობითი მსჯავრის პირობებში იმხილება ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენაში, სხვა სისხლის სამართლის საქმეზე მიცემულია ბრალდებულის სახით პასუხისებაში, თავს არიდებს გამოძიებას და ხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ დასაბუთებულია ვარაუდი ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის შესაძლო გაგრძელების, მტკიცებულებათა მოპოვების, სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებისათვის თავის არიდების და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის შესახებ, რაც ხელს შეუშლის სსსსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებულია აღკვეთის ღონისძიების მიზნების უზრუნველყოფას.¹⁵⁷

156. იხ. დანართი, 2008 წლის (ბრძანება 2(10).

157. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(13).

პრაცეპა პატიმრობის ვადის გ აგრძელების შესახებ

პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ შესწავლილი 30 პრძანებიდან, შესაძლებელია პრძანებათა შემდეგი კატეგორიების გამოყოფა.

პრაცეპაბის პირველი ჯგუფი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ, საღაც მოსამართლე შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას ეყრდნობა შემდეგ ძირითადად საფუძვლებს:

- ა. დანაშაულის კატეგორია, თუმცა აქ შედის, როგორც განსაკუთრებით მძიმე ასევე ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულიც;
- ბ. შეკრებილი მტკიცებულებებიდან და სხვა მასალებიდან გამომდინარე დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ბრალდებულს/ბრალდებულებს უნდა წარდგენოდათ ბრალი აღნიშნული ინკრიმინირებული დანაშაულებისათვის;
- გ. საქმე არის რთული კატეგორიის და მოითხოვს მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას;
- დ. ბრალდებული/ბრალდებულები პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით, შესაძლებელია დაემალონ გამოძიებას / სასამართლოს და თავისუფლებაში ყოფნით ხელს შეუშლიან საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

მაგალითად, ერთ-ერთ პრძანებაში ვკითხულობთ:

[...]

სასამართლომ განიხილა შუმდგომლობები, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარდგენილ მასალებს და მიაჩნია, რომ პროკურორის შუამდგომლობა უნდა დაკმაყ-

ოფიციალურად, ხოლო დაცვის მხარის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო: [...] წარდგენილი აქვს ბრალდება **მძიმე დანაშაულისთვის**. საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და საქმეში არსებული სხვა მასალები იძლევა საკმაო საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ბრალდებულ [...] წარდგენოდა ბრალდება აღნიშნული ინკრიმინირებული დანაშაულისათვის. პროკურორის შუამდგომლობა, რომ საქმე არის **რთული კატეგორიის** – მრავალებიზოდიანი და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით **ჩასატარებელია საგამოძიებო მოქმედებები**, რომ ჩასატარებელია ამოცნობები, დამატებით გამოსათხოვა დოკუმენტები, წარსადგენია საბოლოო ბრალდება, აღნიშნულისათვის სასამართლოს მოთხოვნილი ვადის გაგრძელება დასაბუთებულად და საფუძვლიანად მიაჩნია, ვინაიდან 2008 წლის 05 სექტემბერს იწურება [...] პატიმრობის ორთვიანი ვადა, ხოლო აღკვეთის ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის საფუძველი არ არსებობს, ამიტომ ბრალდებულ [...] მიმართ უნდა გაგრძელდეს პატიმრობის ვადა ერთი თვით, რადგან ასევე ბრალდებული [...] იყო ძებნილი და მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით, შესაძლებელია იგი კვლავ დაემალოს გამოძიებასა და სასამართლოს და თავისუფლებაში ყოფნით ხელს შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.¹⁵⁸

ამ კატეგორიის ბრძანებებთან დაკავშირებით საინტერესო რამდენიმე მომენტის გამოყოფა:

- ხშირად ჩამოთვლილია მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც უნდა მომავალში ჩატარდეს დარაც ბრალდების მტკიცებით, საჭიროებს პატიმრობის ვადის გაგრძელებას, მაგრამ სასამართლო არ მსჯელობს იმაზე, რეალურად დაგევმილია თუ არა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, რატომ ვერ მოხერხ-

158. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(15).

და მისი ჩატარება ბრალდებულის პატიმრობის პერი-ოდში, ან რამდენად აუცილებელია კონკრეტული საგა-მოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა. ბრძანებათა უმრავლესობაში მოსამართლეს დასაბუთების ნაწილში უბრალოდ ავ-ტომატურად აქვს ჩამოთვლილი ყველა ის საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედება, რომელიც გამომძიებელს/პროკურორს აქვს გამოყენებული თავისი შუამდგომ-ლობის დასაბუთებისათვის;

- მოსამართლე თითქმის არასოდეს არ მსჯელობს, უკვე პატიმრობაში გატარებული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა თუ არა საგამოძიებო მოქმედებები და რამდენად ეფექტურად იყო გამოყენებული ეს დრო გამოძიების მიერ;
- სასამართლო არ მსჯელობს დაცვის მხარის მიერ წამოჭ-რილ არგუმენტებზე, რომელიც ძირითადად ბრალდებ-ულის პირად გარემოებებს ეხება, როგორიცაა მაგალი-თად მძიმე ავადმყოფობა ან მძიმე მატერიალური მდგო-მარეობა (ოჯახის ერთადერთი მარჩენალი), და სხვა.¹⁵⁹

ბრძანებების მეორე ჯგუფი უფრო ფორმალურ დას-აბუთებას ეყრდნობა:

- a. შუამდგომლობა ვადის გაგრძელების შესახებ დას-აბუთებულია და პასუხობს საქართველოს სსსკ-ის 163-ე მუხლით გათვალისწინებულ მიზანსა და საფუძველს;
- b. საქმეში შესასრულებელია აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომელთა ჩატარებაც შეუძლებელია პატიმრობის ვადის ამონურვამდე;
- g. არ არსებობს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების სა-მართლებრივი საფუძვლები.

159. 2009 წლის ბრძანება 1(6)

ერთ-ერთ ბრძანებაში პატიმრობის ვადის გაგრძელების მოთხოვნის დაკმაყოფილება მოსამართლემ შემდეგნაირად ახსნა:

[...]

შუამდგომლობა ბრალდებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ, სისხლის სამართლის საქმეში არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, დასაბუთებულია და იგი პასუხობს აღკვეთის ღონისძიების დაპატიმრების ვადის გაგრძელების საქართველოს სსსკ-ის 163-ე მუხლით გათვალისწინებულ მიზანსა და საფუძველს;

საქმეზე შესასრულებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აუცილებელი საპროცესო მოქმედებები, რომელთა ჩატარებაც შეუძლებელია ბრალდებულების პატიმრობის ვადის ამონურვამდე;

სასამართლოს მიაჩნია, რომ გამოძიების ამ ეტაპზე არ არსებობს ბრალდებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.¹⁶⁰

ამ კატეგორიის ბრძანებების ძირითადი ხარვეზები აღბათ რაიმე კონკრეტული ახსნა განმარტების გარეშეც ნათელია, მაგრამ რამდენიმე მათგანი განსაკუთრებულ ყურადღებას ინსახურებს.

- (1) მოსამართლე არ მსჯელობს იმაზე, თუ 162-ე მუხლის მე-3 ნაწილის სხვადასხვა პუნქტებით გათვალისწინებულ რომელი კონკრეტული საფუძვლით ხდება პატიმრობის ვადის გაგრძელება (მაგალითად, საქმის სირთულის თუ ბრალდებულისათვის წარდგენილი უფრო მძიმე ბრალდების, თუ კიდევ სხვა რომელიმე გარემოების გამო?);

160. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(9).

- (2) თუკი, პატიმრობის ვადის გაგრძელების რეალური საფუძველი მხოლოდ ჩასატარებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებია, გაუვებარია მოსამართლე რატომ არ მსჯელობს იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია დარჩენილი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ბრალდებულისათვის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პირობებში.
- (3) მოსამართლე აცხადებს, რომ “პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები” არ არსებობს, თუმცა არსად გადაწყვეტილებაში არ მსჯელობს იმაზე თუ რა არგუმენტაციაზე ან მტკიცებულებებზე დაყრდნობით მივიდა აღნიშნულ დასკვნამდე, ის არც ასეთი სხვა საფუძვლების შესახებ მსჯელობს, და მიუხედავად კატეგორიულობისა, არ ცდილობს დაასაბუთოს მათი არ არსებობა.

შესაძლებელია ბრძანებების მასამა ჯგუფის გამოყვაც, სადაც პატიმრობის ვადის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ საერთოდ არავითარი მსჯელობა არ გვხდება. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ამონარიდი შემდეგი ბრძანებიდან:

განვიხილე შუამდგომლობის დასაბუთებულობა, მოვისმინე პროცესის მონაწილეთა მოსაზრებანი, რის შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ დაცვის მხარის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორის შუამდგომლობა დასაბუთებულია და იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე ჩასატარებელია რიგი საგამოძიებო მოქმედებები, რაც მოითხოვს დროს, საპატიმრო ვადა ბრალდებულ [...] მიმართ უნდა გაგრძელდეს ერთი თვით [..].¹⁶¹

161. 2009 წლის ბრძანება, 1(8).

მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები არასრულწლოვან ბრალდებულთა საქმეშიც ფიგურირებს:

განვიხილე შუამდგომლობის დასაბუთებულობა, მოვისმინე პროცესის მონაწილეთა მოსაზრებანი, რის შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ პროკურორის შუამდგომლობა დასაბუთებულია და იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე ჩასატარებელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები მოითხოვს დროს, [...] და [...] მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – დაპატიმრების ორთვიანი ვადა უნდა გაგრძელდეს ერთი თვით [...].¹⁶²

ამ ტიპის ბრძანებებში შემდეგი პრობლემატური ას-კექტების გამოყოფაა საჭირო:

- (1) პატიმრობის ვადის გაგრძელების ერთადერთი საფუძველი არის ის, რომ ჩასატარებელია რიგი საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებები. სასამართლო არ მსჯელობს იმაზე, რა საგამოძიებო მოქმედებებია ჩასატარებელი და შესაძლებელია თუ არა შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება ბრალდებულისათვის ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პირობებში;
- (2) გაურკვეველია თუ კონკრეტულად რა საფუძველზე გაუგრძელდა ბრალდებულს პატიმრობის ვადა (162-ე მუხლის მე-3 ნაწილის რომელი პუნქტი?);

162. 2008 წლის ბრძანება, 2(1).

დასკვნები

1. საფუძვლიანი ეჭვი

პატიმრობის ბრძანებების მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შეფასება საქართველოს მოსამართლეთა ბრძანებებში ხშირად ზედაპირულია. მრავალ ბრძანებაში არ ჩანს, თუ როგორ აფასებს მოსამართლე საქმეში არსებულ მტკიცებულებებს თუ სხვა გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც მოხდა პიროვნების დაკავება. მართალია, ცალკეულ ბრძანებებში მოსამართლეები უთითებენ საქმეში არსებულ ძირითად მტკიცებულებებზე, თუმცა მოსამართლეთა უმრავლესობა შემოიფარგლება იმის კონსტატაციით, რომ გაეცნო საქმეში არსებულ მასალებს, რაც შემდეგ საკმარისი ხდება საფუძვლიანი ეჭვის დასადგენად.

ჩვენს მიერ ზემოთ გამოყოფილი ბრძანებების პირველი ჯგუფი, სადაც გამოყენებულია სტანდარტული ტექსტი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ და არ არის მითითებული საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებები და მასალები, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ენინაალმდეგება ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომელიც ადგენს, რომ აუცილებელია საქმეში ისეთი ფაქტებისა და ინფორმაციის არსებობა, რომელიც საკმარისი იქნება ობიექტური დამკვირვებლისთვის, იფიქროს, რომ ბრალდებულმა შეიძლება მართლაც, ჩაიდინა დანაშაული. აღნიშნული პრინციპში ფოქსის საქმეში შემდეგნაირად განმარტა:

“ეჭვი და მისი გონივრულობა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა დაკავება, წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას თვითნებური დაკავება/დაპატიმრების საწინააღმდეგოდ, რაც გათვალისწინებულია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით. სასამართლოს აზრით გონივრული ეჭვი მოიაზრებს ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომელიც ობიექტურ დამკაირვებელს აღუძრავდა ეჭვს, რომ შესაბამის პირს შესაძლოა ჩაედინა დანაშაული. თუმცა, ის, თუ რომელი ეჭვი იქნება გონივრული, დამოკიდებულია საქმის ყველა ფაქტორზე და გარემოებაზე.”¹⁶³

2. არა-საპატიმრო ლონისძიებები

არც ერთ შესწავლილ ბრძანებაში მოსამართლე არ განიხილავს ნაკლებად მკაცრი არა-საპატიმრო აღკვეთის ლონისძიების შეფარდების საკითხს. ცალკეულ შემთხვევებში მოსამართლე აცხადებს, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ლონისძიება ვერ უზრუნველყოფს საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ლონისძიების მიზნებს. თუმცა აბსოლუტურად გაურკვეველია, თუ როგორ მიდის მოსამართლე ამ დასკვნამდე და რომელი ფაქტობრივი თუ სხვა გარემოებები აძლევს მას ამგვარი მტკიცების საშუალებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრძანებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, მოსამართლე არსებითად არ მსჯელობს დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილ აღკვეთის ლონისძიების უფრო მსუბუქ ფორმაზე და იმ არგუმენტებზე რომელზე დაყრდნობითაც დაცვა აღმკვეთი ლონისძიების შემსუბუქებას ასაბუთებს. მოსამართლე, როგორც წესი, ყოველგვარი ახსნა განმარტებისა და დასაბუთების გარეშე შემოიფარ-

163. *FOX v. UNITED KINGDOM* (1990) 13 E.H.R.R. 157, p.169, paras.32, 35.

გლება ერთი ფრაზით, არ დაკმაყოფილდეს დაცვის მხარის მოთხოვნა მაგალითად, გირაოთი გათავისუფლების შესახებ და მორჩა. ცალკეულ ბრძანებებში დაცვის მხარის მოთხოვნა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე საერთოდ უგულებელყოფილია.

3. პატიმრობის შეფარდების კონკრეტული საფუძვლების მითითება

მრავალ ბრძანებაში პატიმრობის შეფარდების კონკრეტული საფუძველი და მიზანი არ არის მითითებული. ხშირად უბრალოდ ჩამოთვლილია სსსკ-ის 151 მუხლის მითითებული ყველა საფუძველი და ყველა მიზანი ერთად. ასეთ პირობებში არ ხდება პატიმრობის თითოეულ საფუძველზე დასაბუთებული ინდივიდუალური მსჯელობა.

პატიმრობის შეფარდების საფუძვლად, ყველაზე ხშირად, მითითებულია საშიშროება, რომ ბრალდებული მიემალება გამოძიებას ან არ გამოცხადდება სასამართლოში. ამის მიზეზად კი მოსამართლეები მოსალოდნელ მკაცრ სასჯელს უთითებენ. თუმცა, მოსამართლეები არ მსჯელობენ ბრალდებულის პირად გარემოებებზე, რომლებიც შეიძლება განაპირობებდნენ და არა, მიმალვის საფრთხე.

იდენტური პრობლემაა პატიმრობის შეფარდების მეორე საფუძველთან – სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასთან მიმართებაში. ევროპული სასამართლოს სტანდარტებით აუცილებელია მსჯელობა იმ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელიც პატიმრობის შეფარდების ამ კონკრეტულ საფუძველს რეალურს და დასაბუთებულს ხდის. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება ქართველი მოსამართლეების ბრძანებებში ამ ტიპის მსჯელობა და ისიც აბსოლუტურად სტანდარტული ტექსტით

არის წარმოდგენილი, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული
მოახდენს ზეგავლენას მონმეებზე და ა.შ.

4. დასაბუთებული გადაწყვეტილება

როგორც ამ ანგარიშის პირველ წანილში უკვე აღინიშნა, პატიმრობასთან დაკავშირებული შესაბამისი საკანონმდებლო დებულებების ციფრირება, შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებთან მათი დაკავშირებისა და მსჯელობის/დასაბუთების გარეშე, ქართული მართლმსაჯულების სინამდვილეში აპსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, თუმცა არ არის საკმარისი. ასეთ შემთხვევებში ევროპის სასამართლომ კონვენციის მე-5(3) მუხლის დარღვევა მრავალ საქმეში დაადგინა, როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა ადეკვატური და საკმარისი მიზეზები ვერ წარმოადგინეს პატიმრობის შეფარდებისას.

ბრძანებათა აპსოლუტურ უმრავლესობაში, საქართველოს მოსამართლე საერთოდ არ მსჯელობს დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილ ალტერნატიულ აღკვეთის ღონისძიებაზე და უგულებელყოფს ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, რომელიც დაცვის მხარის აზრით, ბრალდებულისათვის არა-საპატიმრო ღონისძიების შეფარდების საფუძველია. მაგალითად, ერთ-ერთ ბრძანებაში (რომელიც ძარცვისთვის ბრალდებული პირისთავის პატიმრობის შეფარდებას ეხება) ვკითხულობთ:

ბრალდებული [. .] და მისი ადგოკატი არ დაეთანხმენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას და ითხოვეს 7000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება საპატიმრო უზრუნველყოფით შემდეგ გარემოებებზე მითითებით: ბრალდებული ბრალის აღიარებით გამოცხადდა პოლიციაში, ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ხელს არ შეუშლის გამოძიებასა

და სასამართლოს, ზიანს აანაზღაურებს დღესვე, ჰყავს 3 მცირენლოვანი შვილი, ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, ხა-სიათდება დადებითად, არ არის ნასამართლევი.¹⁶⁴

მოსამართლეს, გადაწყვეტილების გამოტანის მომენ-ტში, არც ერთ ზემოთ მითითებულ გარემოებაზე არ უმსჯე-ლია:

სასამართლო ა/ღონისძიების სახის შერჩევის საკითხ-ის გადაწყვეტისას ითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმეს, კერძოდ: [...] ბრალად ედება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, აგრეთვე დანაშაულის ხასიათს და იმ გარემოებას, რომ მიყენებული ზიანი არაა აანაზღაურებული. სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულმა შესაძლოა განაგრძოს დანაშეუ-ლებრივი საქმიანობა. ზ/აღნიშნული გარემოებების გათვალ-ისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, [...] ა/ღონისძიების სახით უნდა შეეფარდოს დაპატიმრება, ვინაიდან უფრო მსუბუკი სახის ა/ღონისძიება ვერ უზრუნვე-ლყოფს ა/ღონისძიების მიზნების მიღწევას.¹⁶⁵

დაცვის მხარის არგუმენტზე მსჯელობა თითქმის საერთოდ არ ხდება. მაგალითად კიდევ ერთ ბრძანებაში ვკითხულობთ:

ბრალდებულ [...] ინტერესების დამცველი ადვოკატი [...] არ დაეთანხმა შუამდგომლობას და ითხოვა ბრალდებუ-ლის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენ-ებას 20 000 ლარის ოდენობით, იმ საფუძვლით, რომ ბრალ-დებულმა ითანამშრომლა გამოიხიბასთან და მისი საპატიმრო ადგილებში ყოფნა არ იქნება მიზანშეწონილი, მას ჰყავს [...], მას სასჯელალსრულების დაწესებულებაში ვერ უმეურნალ-ებენ, ის აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და ვერ გაანადგურებს მტკიცებულებებს.¹⁶⁶

164. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 1(13).

165. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 1(13).

166. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(2).

ისევ და ისევ, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ჩვენს მიერ უკვე განხილულ და შესწავლილ პრაქტიკულად ყველა საქმეში, არც ერთ ზემოაღნიშნულ გარემოებაზე მოსამართლე ბრძანებაში არ მსჯელობს.

შესწავლილი 30 ბრძანებიდან მხოლოდ ერთი არის ისეთი ბრძანება, რომელშიც მოსამართლე მცირედად, მაგრამ მაინც ცდილობს მსჯელობას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მიზანშეწონილობაზე კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ, ბრძანებაში ვკითხულობთ:

“აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო მხედველობაში იღებს ბრალდებულის პიროვნებას (ნასამართლევი ანალოგიური დანაშაულისთვის), წარდგენილი ბრალდების სიმძიმეს (ბრალდებულს ბრალად შერაცხული აქვს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა), ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას (მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია და გავრცელებული ხასიათისაა). საქართველოს სსსკ-ის 159-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: “დაპატიმრება გამოიყენება აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელსაც თუმცა ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით, მაგრამ დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის მის მიმართ წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა არ იყო გასული.” მართალია, ბრალდებულს ბრალად შერაცხული აქვს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, მაგრამ [. . .] წარსულში ნასამართლევია ანლოგიური დანაშაულისთვის და იმყოფება პირობითი მსჯავრის ქვეშ. დანაშაულის სპეციფიკიდან და ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსალოდნელი სასჯელის შიშით ბრალდებული მიმართ და ხელს შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ვინაიდან ბრალდებულს განმეორებით დაუდგინდა

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი იძლევა დასაბუთებულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ბრალდებულმა შესაძლოა განაგრძოს დანაშაულებრივი საქმიანობა. ხსენებული-დან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.”¹⁶⁷

5. სტერეოტიპული დასაბუთება

მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა შემთხვევაში სასამართლო თითქმის ავტომატურ რეჟიმში პატიმრობის შეფარდების სტერეოტიპულ გზას ირჩევს და შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას:

[...] ბრალდებულს ბრალი ედება მძიმე დანაშაულისათვის. შეკრებილი მტკიცებულებებიდან, ბრალდების სიმძიმი-დან და ქმედების ხასიათიდან გამომდინარე სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია, რომ ბრალდებული თავისუფლებაში ყოფნისას მოსალოდნელი მყაცრი სასჯელის შიშით დაემალება წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს, ზემოქმედებას მოახდენს პროცესის მონაწილეებზე, შესაძლოა განაგრძოს დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელს შეუშლია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, რის გამოც ბრალდებულ [. . .] ამ ეტაპზე უნდა შეეფარდოს დაპატიმრება.¹⁶⁸

კიდევ ერთ, ამჯერად კოლექტიურ ბრძანებაში ვკითხულობთ:

ბრალდებულ [. . .] ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების

167. იხ. დანართი, 2009 წლის ბრძანება 2(12).

168. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(10)

აღკვეთა, ვადით 7-დან 14 წლამდე, ხოლო ალტერნატიული სასჯელი არ არის გათვალისწინებული. ბრალდებულ [. . .] კი ბრალად ედება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა, რაც სასამართლოს უქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ, შესაძლოა, ბრალდებულებმა მოსალოდნელი სასჯელის შიშით, თავი აარიდონ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში გამოცხადებას და მიიმალონ.”¹⁶⁹

როგორც ამ კვლევის პირველ თავში ცალსახად ითქვა, ამ ტიპის სტერეოტიპული გადაწყვეტილებები წინააღმდეგობაშია ევროპის სასამართლოს პრაქტიკასთან. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ არა ერთ საქმეში აღნიშნა, რომ მიმალვის საფრთხის დასაბუთება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ პიროვნებას ბრალად ედება მძიმე დანაშაულის ჩადენა და შესაპამისად პოტენციურად მკაცრი სასჯელი შეიძლება დაეკისროს, დაუშვებელია.¹⁷⁰ მკაცრი სასჯელი არის ადექვატური ფაქტორი, მიმალვის საფრთხის დასადგენად, მაგრამ აუცილებელია მისი სხვა ფაქტობრივი გარემოებებით განმტკიცება, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა მაგალითად, პირის კავშირები საზღვარგარეთ, ორმაგი მოქალაქეობა, პირის მიმალვის განზრახვასთან დაკავშირებული კონკრეტული მტკიცებულება (თვითფრინავის ბილეთი, ვიზა) და სხვა. საბოლოო ჯამში მაინც გასათვალისწინებელია, რომ “მკაცრი სასჯელის” ცნება უდანაშაულობის პრეზუმუციის მოქმედების პირობებში, მაინც თეორიულ ხასიათს ატარებს და შესაბამისად, ერთადერთ არგუმენტად ვერ გამოდგება.

169. იხ. დანართი, 2009 წლის ბრძანება 2(5).

170. *Case of PANCHENKO v. RUSSIA* (no. 45100/98), § 102, 8 February 2005, *Case of ROKHLINA v. RUSSIA*, no. 54071/00, § 66, 7 April 2005, or *KHUDOYOROV case, cited above*, § 180, *Case of BAKHMUTSKIY v. RUSSIA* (Application no. 36932/02) Judgment 25 June 2009 para 139; *Case of BELEVITSKIY v. RUSSIA* (Application no. 72967/01) JUDGMENT 1 March 2007 para 101

6. ბრალდების მხარის მტკიცების ტვირთი

ბრალდების მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ საქმის კონკრეტული საპროცესო და ფაქტობრივი გარემოებები-დან გამომდინარე, აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. ბრძანებათა აბსოლუტური უმრავლესობიდან გამომდინარეობს, რომ ბრალდების მხარე, თითქმის ავტომატურ რეჟიმში აცხადებს, რომ

- (1) მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრის გამო ბრალდებული/განსასჯელი მიემალება გამოძიებას და/ან არ გამოცხადდება სასამართლოში;
- (2) ბრალდებული ჩაერევა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში.

მაგალითად, ერთ-ერთ ბრძანებაში ვკითხულობთ პროკურორის დასაბუთებას:

ბრალდებულს ბრალად ედება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, მისი თავისუფლებაში ყოფნა ხელს შეუშლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით შესაძლოა დაემალოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს.¹⁷¹

მსგავს არგუმენტებს ვაწყდებით სხვა ბრძანებებშიც:

საქმეში არსებობს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარისი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები, ამასთან, სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია, ვინაიდან ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, მოსალოდნელი სასჯელისაგან თავის დაღწევის მიზნით ბრალდებული თავს აარიდებს საგამოძიებო ორგანოში და სასამართლოში გამოცხადებას, ხელს შეუშ-

171. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 1(11).

ლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და შესაძლოა განაგრძოს დანაშაულებრივი საქმიანობა.¹⁷²

ზემოთ მითითებული ამონარიდებიდან ნათლად ჩანს, რომ ბრალდების მხარის დასაბუთება არის ყოველგვარ ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია. მეტიც, ბრალდების პოზიციიდან გამომდინარეობს, რომ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში, ყოველთვის მოსალოდნელია, რომ ბრალდებული

- (1) თავს აარიდებს გამოძიებას;
- (2) ხელს შეუშლის ჭეშმარიტების დადგენას;
- (3) შესაძლოა განაგრძოს დანაშაულებრივი საქმიანობა.

არც-ერთი ამ არგუმენტათაგანი არ არის განმტკიცებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებით, ასევე არსად არ არის დაშვება, რომ ადამიანი შესაძლოა საერთოდ უდანაშაულოდ ცნონ. ყველა ამ ბრძანებების უმნიშვნელოვანესი პრობლემა კი ის არის, რომ

1. არ იგრძნობა ინდივიდუალური მიდგომა;
2. არ ჩანს მცდელობა აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტილება განცალკევებულ იქნას ძირითადი საქმისაგან;
3. არ ჩანს, უდანაშაულობის პრეზიმფციის ფარგლები და შესაბამისობა, ვინაიდან “მკაცრი სასჯელის”, “მიემალება გამოძიებას” და ა.შ. ბლანკეტური დებულებები, რომელთაც უპირატესი ძალა აქვთ მინიჭებული მოსამართლის მიერ და ხშირად ერთადერთ არგუმენტადაც კი გამოიყენება, მოსამართლის მხრიდან პირის უდანაშაულობის დაშვების ვარაუდსაც კი გამორიცხავს.

საინტერესოა, ისეთი შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარე ითხოვს არა-საპატიმრო ხასიათის აღკვეთის ღონისძიე-

172 იხ. დანართი, 2009 წლის ბრძანება 1.1.

117 | ცინასენარი პატიმრობის შავარდასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი

ბის, მაგალითად გირაოს შეფარდებას. ამ შემთხვევაში, იმის ნაცვლად, რომ მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს იყოს პატიმრობის აუცილებლობის დასაბუთებასთან დაკავშირებით, მოსამართლეს მტკიცების ტვირთი დაცვის მხარეს გადააქვს. მაგალითად, ერთ-ერთ ბრძანებაში ვკითხულობთ:

დაცვის მხარის მოთხოვნას ა/ღონისძიებაზე უარის თქმის ან ალტერნატივის სახით გირაოს გამოყენების შესახებ, სასამართლო ვერ გაიზიარებს, რადგან დაცვის მხარის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე მათი მოთხოვნის საფუძვლიანობა.¹⁷³

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ ბრძანებაში სამ ბრალდებულს ერთდროულად შაუფარდეს პატიმრობა, თითოეულის ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებების განხილვის გარეშე და რაც მთავარია, სასამართლომ არც კი იმსჯელა იმაზე, რომ ორ მათგანს ნაკლებად მძიმე დანაშაულში ედებოდათ ბრალი.

7. პატიმრობა V გირაო

პატიმრობის და გირაოს გამოყენების ბრძანებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შემდეგი ძირითად ტენდენციაზე შეიძლება საუბარი: თუ ბრალდების მხარე შუამდგომლობს პატიმრობის გამოყენებას ხოლო დაცვის მხარე – გირაოს, მოსამართლე, როგორც წესი, არ მსჯელობს გირაოს გამოყენების შესაძლებლობაზე და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარს ეუბნება დაცვის მხარეს, მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, სადაც ადვოკატი შუამდგომლობდა ბრალდებულისათვის 50 000 ლარის ოდენობის გირაოს გამოყენებას, მოსამართლემ ყოველგვარი მსჯელობის გარეშე უარი უთხრა გირაოზე,

173. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(17).

ხოლო პატიმრობის შეფარდებისას, გამოიყენა სტერეოტიპული დასაბუთება:

“[. . .] ბრალდებულს ბრალი ედება მძიმე დანაშაულისათვის, შეკრებილი მტკიცებულებებიდან, ბრალდების სიმძიმედან და ქმედების ხასიათიდან გამომდინარე სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია, რომ ბრალდებული თავისუფლებაში ყოფნისას მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით დაემაღება წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს, ზემოქმედებას მოახდენს პროცესის მონაწილეებზე, შესაძლოა განაგრძოს დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, რის გამოც ბრალდებულ [. . .] ამ ეტაპზე უნდა შეეფარდოს დაპატიმრება.”¹⁷⁴ უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ბრძანებებში, მოსამართლე საერთოდ არ მსჯელობს დაცვის მხარის მიერ გირაოს გამოყენების მოთხოვნაზე, ანუ ფაქტიურად ამ მოთხოვნას სრულ იგნორირებას უწევს.”¹⁷⁵

8. პატიმრობის ვადის გაგრძელება

პატიმრობის ვადის გაგრძელების საფუძვლად მოსამართლები ხშირად საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობას უთითებენ. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსამართლები არ მსჯელობენ იმაზე, თუ რამდენად აუცილებელია ცალკეული საგამოძიებო მოქმედებებისთვის ბრალდებულის პატიმრობაში დარჩენა. მაგალითად, ერთ-ერთ ბრძანებაში ჩვენ ვკითხულობთ:

[. . .] ამოსალებია დოკუმენტაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის ცენტრალური სამსახურიდან, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის და

174. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(10).

175. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(7).

თბილისის ცენტრალური არქივიდან, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება საქმეზე სრულყოფილი გადაწყვეტილების მიღება, აღნიშნულისათვის სასამართლოს მოთხოვნილი ვადის გაგრძელება დასაბუთებულად და საფუძვლიანად მიაჩნია.¹⁷⁶

კიდევ ერთ პრძანებაში ჩვენ ვკითხულობთ:

[. . .] გამოსაკვლევია გამოძიებისათვის სხვადასხვა დაწესებულებებიდან ამოღებული ინფორმაციები, მისაღებია ფინოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, გამოსაყოფია საქმის მასალები, რასაც ჭირდება გარკვეული დრო, აღნიშნულისათვის, სასამართლოს მოთხოვნილი ვადის გაგრძელება დასაბუთებულად და საფუძვლიანად მიაჩნია.¹⁷⁷

ამ კვლევის პირველ ნაწილში უკვე აღინიშნა, რომ პატიმრობის ვადის გაგრძელება ისევე უნდა აკმაყოფილებდეს წინასწარი პატიმრობისათვის დადგენილ ყველა ვალდებულებას, მუდმივ სასამართლო გადასინჯვას უნდა დაექვემდებაროს, და ამასთანავე, გამოძიებამ კიდევ უფრო მეტი მტკიცებულება და არგუმენტები უნდა წარმოადგინოს როგორც ვადის გაგრძელების დასაბუთებისათვის, ასევე იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ ვერ მოხერხდა საპროცესი ღონისძიებების გატარება პატიმრობის უკვე შეფარდებული დროის განმავლობაში.

ხშირია პრძანებები, სადაც მოსამართლე პატიმრობის ვადის გაგრძელებისას ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად მოიშველიებს შემდეგ არგუმენტს: შერაცხული ქმედების სიმძიმისა და ხასიათის გათვალისწინებით არ არსებობს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების საფუძველი. ამგვარი პრძანება აბსოულტურად მიუღებელია სტრასბურგის სასამართლოსათვის.

176. იხ. დანართი, 2008 წლის პრძანება 2(10). იხ. დანართი, 2009 წლის პრძანება 1(2).

177. იხ. დანართი, 2009 წლის პრძანება 1(5).

9. არასრულწლოვნები

მოსამართლეები არ მსჯელობენ პატიმრობის მიზანშეწონილობაზე არასრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაშიც კი. გარემოება, რომელმაც ბრძანების დასაბუთების ნაწილში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს, ხშირად საერთოდ უგულებელყოფილია.¹⁷⁸

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2008 წელს გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა აღნიშნული პრაქტიკის გამო გამოთქვა უკავშიროფილება

(1) არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო ღონისძიებების ფართო გამოყენების ზრდადი ტენდენციით;

(2) უსაფუძვლოდ გაწელილი წინასწარი პატიმრობის ვადებით, რომელსაც თან სდევს გარე სამყაროსთან კომუნიკაციის უკიდურესად შეზღუდული შესაძლებლობა.

10. კოლექტიური ბრძანებები

ხშირია ბრძანებები, სადაც დაპატიმრების შეფარდება ხდება კოლექტიურად რამდენიმე ბრალდებულის მიმართ ერთი ბრძანების ფარგლებში, ინდივიდუალური მსჯელობისა და დასაბუთების გარეშე. მაგალითად, ერთ-ერთი საქმეში, სადაც სამი ბრალდებულიდან ორს ნაკლებად მძიმე, ხოლო ერთს - მძიმე დანაშაულის ჩადენა ედებოდა ბრალი, სასამართლომ სამივეს შეუფარდა წინასწარი პატიმრობა შემდეგი მსჯელობის საფუძველზე:

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობები, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიაჩნია, რომ პროკურორის თანხმობით წარმოდგენილი

178. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(9)

გამომძიებლის შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დაცვის მხარის შუამდგომლობები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: [.] ბრალი ედებათ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით, ხოლო [.] ბრალი ედება მძიმე დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს 9 წლამდე თ/აღკვეთას. საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები: ეჭვმიტანილების [...] და [...] დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმები, დათვალიერების ოქმი [...] და საქმეში არსებული სხვა მასალები, გამოძიების ამ ეტაპზე, იძლევა საკმაო საფუძველს, დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ბრალდებულებს [...] და [...] წარდევინოთ ბრალი ზ/აღნიშნული ინკრიმინირებული დანაშაულისათვის და ს.ს. საქმეზე დაკავების, ჩხრეკის, ბრალდებულად პასუხისმგებაში მიცემისას და სხვა მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას საპროცესო კანონის მოთხოვნები არ დაღლვეულა. ამდენად საქმეში მოიპოვება, როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძველი აღკვეთის ღონისძიების დაპატიმრების გამოყენებისთვის, ვინაიდან წარმოდგენილი მასალები იძლევა საფუძველს გამოძიების მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა, რაც ითვალისწინებს ბრალდებულთა მხრიდან აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში თავის არიდებასა და ს.ს. საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში ხელის შეშლის აცილებას და გამომძიებლის შუამდგომლობებს და პროკურორის განმარტებას, რომ ბრალდებულები [...] და [...] მოსალოდნელი სასჯელის შიშით შესაძლებელია დაემალოს წინასწარ გამოძიებას და სასამართლოს, ზემოქმედება მოახდინონ პროცესის მონაწილეებზე, რითაც ხელს შეუშლიან ს.ს. საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. სასამართლოს, შეკრებილი მტკიცებულებებიდან, ბრალდების სიმძიმიდან და ქმედების ხასიათიდან გამომდინარე დასაბუთებულად მიაჩნია, რის გამოც ბრალდებულებს [...] და [...] ამ ეტაპზე უნდა შეეფარდოთ პატიმრობა.¹⁷⁹

179. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(17).

კიდევ ერთ ბრძანებაში მოსამართლემ სტერეოტიპული გადაწყვეტილება მიიღო, თითოეული ბრალდებულის ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებების სრული იგნორირებით:

“ბრალდებულებს ბრალად ედებათ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულია მხოლოდ თავისუფლების აღვეთა ვადით უვადოდ, რაც სასამართლოს უქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ, შესაძლოა, ბრალდებულებმა, მოსალოდნელი სასჯელის შიშით, თავი აარიდონ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში გამოცხადებას და მიიმალონ. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე ჩასატარებელია მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია ვარაუდი, ბრალდებულების თავისუფლებაზე ყოფნის შემთხვევაში მტკიცებულებათა მოპოვებასა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში ბრალდებულების მიერ ხელის შეშლის შესახებ.”¹⁸⁰

ამ ტიპის ბრძანებებთან დაკავშირებით ევროპის სასამართლოს პოზიცია ცალსახად უარყოფითია. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქმეში *Popov and Vorobeyev v. Russia* დაადგინა, რომ ე.წ. კოლექტიური ბრძანებების პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს პატიმრობის შესახებ კოლექტიური ბრძანებების გაცემას თითოეული პატიმრის ინდივიდუალური გარემოებების განხილვის გარეშე, წინააღმდეგობაში მოდის ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილთან.¹⁸¹ უნდა აღინიშნოს, რომ ასევე კოლექტიურად ხდება ბრძანებების მიღება პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე.¹⁸²

მოსამართლე პატიმრობის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას ხშირად უთითებს, რომ ერთ-ერთ არგუმენტად გაითვალისწინა ბრალდებულის პიროვნება. მაგრამ აქ პარ-

180. იხ. დანართი 1 (ბრძანება 2).

181. *Case of Popov and Vorobeyev v. Russia* (no.1606/02) Judgment of 23 April 2009, para.83.

182. იხ. დანართი, 2008 წლის ბრძანება 2(9).

ადოქსული ის არის, რომ შედეგის თვალსაზრისით მოსა-მართლები არ განასხვავებენ მაგალითად, ნასამართლევს და ნასამართლეობის არ-მქონე პირებს შორის, იმ პირებს შორის, ვინც აღიარებს ან არ-აღიარებს დანაშაულს, სრულწლოვნებს და არა-სრულწლოვნებს შორის და ა.შ. ჩვენ გვხდება პრძანებები, სადაც გარემოება - “არაა ნასამართლევი და ნაწილობრივ აღიარა დანაშაული”¹⁸³ ისევე გახდა პატიმრობის შეფარდების ერთ-ერთი საფუძველი, როგორც “პრალდებული ნასამართლევია”¹⁸⁴.

აგრეთვე ხშირად გვხვდება არგუმენტი, განსაკუთრებით ნარკოტიკული დანაშაულის შემთხვევაში, რომ “ჩასატარებელია მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები იმის დასადგენად, თუ ვისგან იქნა შეძენილი პრალდებულ [...] მიერ ნარკოტიკული საშუალება, სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია ვარაუდი მტკიცებულებათა მოპოვებისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში პრალდებულის მიერ ხელის შეშლის შესახებ.”¹⁸⁵

საქართველოს საპანონდეპლო პაზის მიმოხილვა

თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება იმ უფლებათა შორის ერთია, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული. კერძოდ, კონსტიტუციის მე-18 მუხლი ადგენს, რომ “ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია” და რომ “თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.” აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების კონტექსტში აღსანიშნა-

183. იხ. დანართი, 2008 წლის პრძანება 2(1).

184. იხ. დანართი, 2008 წლის პრძანება 2(3).

185. იხ. დანართი, 2009 წლის პრძანება 2(5).

ვია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილები, რომელიც შესაბამისად ადგენენ, რომ

(3) ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშე ზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს;

(6) დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს.

ასევე მნიშვნელოვანია კონსტიტუციის მუხლი 40.1, რომელიც განამტკიცებს უდანაშაულობის პრეზუმაციას

“ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე, მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.”

წინასწარი და სასამართლო გამოძიების ეტაპზე თავისუფლების შეზღუდვის, ე.ნ. წინასწარი პატიმრობის გამოყენების საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსკ).¹⁸⁶ ქვემოთ ჩვენ სსკ-ის შესაბამისი დებულებების ანალიზს გთავაზობთ.

იქიდან გამომდინარე, რომ 2010 წლის ოქტომბრიდან საქართველოში სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი ამოქმედდება, ჩვენ ახალი კოდექსით შემოთავაზებულ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების სისტემასაც მიმოვიზილვათ.

186. სხვა მუხლებთან ერთად იხილეთ სსკ-ის მე-XX თავი – აღკვეთის ღონისძიები.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა

1.1 ზოგადი პრინციპები

საქართველოს სსკ აღკვეთის ღონისძიების შემდეგ სახეებს ითვალისწინებს:

- (I) ბრალდებულის¹⁸⁷ დაპატიმრება,
- (II) გირაო,
- (III) პირადი თავდებობა,
- (IV) არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა,
- (V) სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა (სსკ-ის 152-ე მუხლის პირველი პარაგრაფი).

აღკვეთის ღონისძიების მიზანი და საფუძველი

სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანსა და საფუძველს. აღკვეთის ღონისძიების, მათ შორის პატიმრობის გამოყენების მიზანი შეიძლება იყოს შემდეგი:

- ბრალდებულმა თავი არ აარიდოს წინასწარ გამოძიებას და სასამართლოს;

187. ამ თავში ტერმინი ბრალდებული გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელობით და აღნიშნავს პიროვნებას, რომლის მიმართაც პროკურორმა ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელმა გამოიტანა დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის შესახებ. როგორც სსკ-ის 44-ე მუხლის 24-ე ნაწილი ადგენს – “ბრალდებული – სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემული პირი.

- აღიკვეთოს ბრალდებულის შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა;
- ხელი არ შეეშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას;
- უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღიკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი შეიძლება გახდეს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ პირი

- მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოზე;
- გაანადგურებს მტკიცებულებებს;
- დაემუქრება პროცესის მონაწილეებს; ან
- ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

საქართველოს კანონმდებლობისათვის ჩამონათვალი ამომწურავია. შესაბამისად, არც-ერთი სხვა გარემოება არ შეიძლება გახდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი (სსსკ-ის 154-ე მუხლი).

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლემ სხვა გარემოებებთან ერთად მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი ფაქტორები:

- წარდგენილი ბრალდების სიმძიმე;
- ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა;
- ბრალდებულის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფაქტი;
- ბრალდებულის მიერ მისთვის შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი.

153-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად – “თუ ბრალდებული ფსიქიკურად დაავადდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ

ან მისი შერაცხადობის საკითხი დასადგენია, მოსამართლემ აღკვეთი ღონისძიების შერჩევისას, მხედველობაში უნდა მიიღოს პირის საშიშროება საკუთარი თავისთვის და სხვა პირთა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის.” ასეთ შემთხვევაში, პირი უნდა მოთავსდეს სპეციალურ განყოფილებაში ან პალატაში, რომელიც განკუთვნილია ფსიქიკურად დაავადებულ ავადმყოფთათვის და სადაც მისი შერაცხადობის საკითხი დადგინდება (სსსკ-ის 154-ე მუხლი)

სასამართლო ზედამხედველობა

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის და გაუქმების საკითხს წყვეტს მოსამართლე, როგორც წინასწარი გამოძიების ასევე სასამართლო გამოძიების სტადიაზე. პირველი ინსტანციით ამ საკითხს განიხილავს მაგისტრატი მოსამართლე ან რაიონული (საქალაქო) სასამართლო იმ ად-მინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე (46-ე მუხლი, ასევე 140-ე მუხლის პიველი ნაწილი). მეორე ინსტანციით კი საკითხის განხილვა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის კომპეტენციას გაკენუთვნება (243-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სასამართლო/მოსამართლე განიხილავს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობას არაუგვიანეს 24 საათისა შუამდგომლობის და საქმის მასალების წარდგენიდან (სსსკ-ის 140-ე მუხლი მე-7 ნაწილი). უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეს უფლება აქვს შესაბამისი შუამდგომლობის განხილვისას “გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს შუამდგომლობას, და შუამდგომლობის შემტან პირს მისცეს წინადადება წარადგინოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტ-

კიცებულებები, ამასთან, მოსამართლე არ განხილავს პირის ბრალეულობის საკითხს და არკვევს მხოლოდ იმას, დაცული იყო თუ არა ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო დამაგრების დროს” (სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-8 ნაწილი).

სასამართლო განხილვის სტადიაზე ასევე დაშვებულია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მხოლოდ სასამართლოს განჩინებით (მოსამართლის დადგენილებით). ამ ეტაპზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მხარის შუამდგომლობით შეუძლია შეარჩიოს, შეცვალოს ან გააუქმოს აღკვეთის ღონისძიება (140-ე მუხლის მე-12 ნაწილი). ნებისმიერ შემთხვევაში მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილება (განჩინება) აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის ან გაუქმების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული (სსსკ-ის 157-ე მუხლის პირველი ნაწილი). სასამართლო განხილვის სტადიაზე აღკვეთი ღონისძიების ერთი სახის შეცვლა მეორე უფრო მკაფრი აღკვეთი ღონისძიებით დაიშვება მხოლოდ პროკურორის ან დაზარალებულისმოთხოვნით (სსსკ-ის 157-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

მოსამართლის დადგენილებით ან სასამართლოს განაჩენით/ განჩინებით (დადგენილებით) უქმდება აღკვეთის ღონისძიება თუ აღარ არსებობს მისი გამოყენების საფუძველი (რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამომწურავად არის ჩამოთვილი საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლი). აღკვეთის ღონისძიება ასევე უქმდება წინასწარი გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში (სსსკ-ის 155-ე მუხლი)

დასაბუთება

კოდექსის 140-ე მუხლი განსაზღვრავს სისხლის საპროცესო იძულების ღონისძიებების, მათ შორის აღკვეთის

ღონისძიებების გამოყენების სასამართლო წესს. 140-ე მუხლის მე-3 ნაწილი ცალსახად ადგენს, რომ პროკურორის/ გამომძიებლის შუამდგომლობა საპროცესო იძულებითი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე უნდა იყოს დასაბუთებული.

ზემოთჩამოთვლილი ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, დასაბუთებულობაში გულისხმობს შემდეგს: პირველი, ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი და საფუძველი; და მეორე, დასაბუთებული უნდა იყოს კონკრეტულად მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახის მიზანშეწონილობა და უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების სახის გამოყენების შეუძლებლობა. მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია შეამონ-მოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დასაბუთებულობა (140-ე მუხლის მე-11 ნაწილი).

პროკურორის/გამომძიებლის შუამდგომლობის პარალელურად დასაბუთებული უნდა იყოს ასევე მოსამართლის (სასამართლოს) განჩინება (დადგენილება) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ (140-ე მუხლის მე-11 ნაწილი). მოსამართლემ უნდა იმსჯელოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალურ, საპროცესო (მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი და საფუძველი) ასევე ფაქტობრივ საფუძვლებზე (მტკიცებულებები კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის). მოსამართლე უფლებამოსილია უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულს/განსასჯელს¹⁸⁸ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახე შეურჩიოს.

188. ამ თავში ტერმინი განსასჯელი გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მინშვნელობით და აღნიშნავს პიროვნებას, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არბითად განსახილველად ან საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგ დასამტკიცებლად ჩაბარდა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით (44-ე მუხლის 25-ე ნაწილი).

140-ე მუხლი ასევე განსაზღვრავს იძულების ღონისძიების, მათ შორის აღკვეთი ღონისძიების გამოყენების შესახებ ბრძანების შინაარსს. კერძოდ, მუხლის მე-13 ნაწილი ადგენს, რომ ბრძანებაში უნდა აღინიშნოს – ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი, მოსამართლის გვარი, თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს, განკარგულება საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ, მისი არსი და ვისზე ვრცელდება, ბრძანების მოქმედების და იძულებითი ღონისძიების გამოყენების ვადები და სხვა.

ბრალდებული / განსასჯელი და დაცვის მხარე, უფლებები გასაჩივრების უფლება

ბრალდებულს/განსასჯელს ასევე მის დამცველს და კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სასამართლო სხდომაში, რომელზეც წყდება ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი (140-ე მუხლი, მე-6 ნაწილი). როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ისინი ასევე სარგებლობენ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების უფლებით.¹⁸⁹ გასაჩივრების კუთხით რამდენიმე ეტაპია გამოსაყოფა:

პირველი, წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდებულს და მის დაცვის მხარეს აქვს უფლება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის შესახებ მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) მისი გაცემიდან (გამოტანი-

189. დამცველს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი არის რულწლოვანია, ან აქვს ისეთი სფიქური ან ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას, სსსკ-ის 243-ე მუხლის 1¹ ნაწილი, ასევე 140-ე მუხლის მე-17 ნაწილი.

დან) 48 საათის ვადაში ერთჯერადად გასააჩივროს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში (სსსკ-ის 243-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მეორე, წინასწარი თუ სასამართლო გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე ბრალდებული და მისი დამცველი უფლებამოსილნი არიან გამოძიების ადგილის მიხედვით მიმართონ სასამართლოს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შუამდგომლობით (140-ე მუხლი, მე-17 ნაწილი).

ნებისმიერ შემთხვევაში, გასაჩივრების თუ შეცვლის/ გაუქმების შუამდგომლობასთან მიმართებაში მოქმედებს ორი მოთხოვნა:

(1) შუამდგომლობაში დაცვის მხარემ უნდა წარმოაჩინოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა და მიუთითოს ყველა ის ახალი გარემოება, რომელიც უცნობი იყო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას და რომელსაც ზეგავლენა შეიძლება მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივარს უნდა დაერთოს შუამდგომლობის შესაბამისი მტკიცებულებები (მასალები) (სსსკ-ის 243-ე მუხლის 1² ნაწილი, ასევე 140-ე მუხლი, მე-17 ნაწილი);

(2) გასაჩივრების თუ შეცვლის/გაუქმების შუამდგომლობამ უნდა გაიაროს დასაშვებობის სტადია. კერძოდ, მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე 24 საათის განმავლობაში უნდა განიხილოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან/და გაუქმების მოთხოვნით შუამდგომლობის დასაშვებობა, რამდენად შეესაბამება ის ზემოთმითითებულ მოთხოვნებს და მხოლოდ დასაშვებად ცნობის შემთხვევაში ატარებს ზეპირ მოსმენას (სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-10 ნაწილი, ასევე 140-ე მუხლი, მე-17 ნაწილი);

იმავე საფუძვლით შუამდგომლობის განმეორებით შეტანა არ დაიშვება (140-ე მუხლი მე-18 ნაწილი).

1.2. პატიმრობა

151-ე მუხლის თანახმად, პატიმრობა არის აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი ფორმა, რაც გულისხმობს შემდეგას: პატიმრობის შეფარდება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ნაკლებად შემზღვდავი აღკვეთის ღონისძიების ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მიღწევას (სსსკ-ის 151-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები). როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პატიმრობა წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთ სახეს, რომლის გამოყენებაც შეიძლება, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის სტადიაზე.

წინასწარი პატიმრობის განსაკუთრებით შემზღვდავი ხასიათიდან გამომდინარე, საპროცესო კანონმდებლობა ამ სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას დამატებით საპროცესო შეზღუდვებსა და გარამტიებს ითვალისწინებს. კერძოდ, 159-ე მუხლის თანახმად:

- დაუშვებელია, დაპატიმრების გამოყენება იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე ნაკლები ვადით;
- დაუშვებელია, როგორ წესი, დაპატიმრების გამოყენება მძიმე ავადმყოფის, არასრულწლოვანის, ხანდაზმულის (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან), 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული ქალის და იმ ქალის მიმართ, რომელსაც ჰყავს ჩვილი (ერთ წლამდე ასაკის) ბავშვი;
- დაუშვებელია, პატიმრობის გამოყენება იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლით ან მეტი ვადით.

თუმცა, ზემოთ მითითებული შეზღუდვებიდან დადგენილია შემდეგი ორი გამონაკლისი. დაპატიმრება გამოიყენება ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, თუ

- (1) ბრალდებულმა დაარღვია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება;
- (2) პირს ბრალად ედებოდა ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მის მიმართ წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა არ იყო გასული.

არასრულწლოვან ბრალდებულთან/განსაჯელთან მიმართებაში აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების საკითხს დამატებით არეგულირებს სსსკ-ის 652-ე მუხლი. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად – ”არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ ამ კოდექსის 151-ე მუხლში მითითებული საფუძვლის არსებობისას და იმ შემთხვევაში, როცა მას ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვ წელზე მეტი ვადით, სხვა აღკვეთის ღონისძიება კი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვანმა ბრალდებულმა დაარღვია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ან დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის მის მიართ სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა არ იყო გასული.” შესაბამისად, ეს მუხლი აკონკრეტებს 159-ე მუხლს და ადგენს, რომ არასრულწლოვანისთვის პატიმრობის შეფარდება შეიძლება, თუ მას ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამწელზე მეტი ვადით.

აღკვეთ ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევის დროს გათვალისწინებულია შემდეგი პროცედურული გარანტიები:

- ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასწრება და მონაწილეობა:** პატიმრობის შეფარდების/ვალის გაგრძელების შუამდგომლობის განხილვისას, სავალდებულო ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასწრება და მისი ან მისი დამცველის მონაწილეობა სასამართლო სხდომაში. კერძოდ, სსკ-ის 160(1)-ე მუხლი ადგენს რომ, მოსამართლის მიერ დაპატიმრების შუამდგომლობის განხილვისას ბრალდებული წარედგინება მოსამართლეს, რომელიც ისმენს მისი და მისი დამცველის არგუმენტებს, ასევე პროცურორის ან/და გამომმიებლის განმარტებებს.¹⁹⁰ 160-ე მუხლი მე-4 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამრთლოს დაპატიმრების შესახებ განჩინების (დადგენილების) გამოტანის უფლება აქვს მხოლოდ განსასჯელის დაკითხვის შემდეგ. გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა პირი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას ან იმყოფება მიმაღვაში (160(4)). პატიმრობის ვადის გაგრძელების შუამდგომლობაც ასევე ბრალდებულის/განსასჯელის ან მისი დამცველის მონაწილეობითგანიხილება (160(2)).

□ ლია სასამართლო სხდომა: აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის და გაუქმების საკითხი განიხილება ლია სასამართლო სხდომაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სასამართლო სხდომის დახურვის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები ან სხდომის დახურვა აუცილებელია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით (160(6)). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სტიქიური უბედურება ან ბრალდებულის/განსასჯელის ავადმყოფობა, დაშვებულია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლო-

190. იხ. ასევე სსკ-ის მუხლი 140(10) – “თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ დაკავებული, დაპატიმრებული, სხვა პირი, რომლის ინტერესებსაც ექვება შუამდგომლობა, აგრეთვე მათი დამცველები და წარმომადგენლები, პროკურორი, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მისცენ განმარტებები და ჩამოაყალიბონ თავინათი საწინააღმდეგო მოსაზრებანი.”

ბის განსახილველად სასამართლო სხდომის ჩატარება დაკავებულთა მოთავსების ან პატიმრობის ადგილას (140-ე მუხლის მე-7 ნაწილი).

- **სასამართლო ზედამხედველობა:** სასამართლო უფლებამოსილია შეუფარდოს პირს პატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნის მიღწევა შეუძლებელია სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით (მუხლი 151-ე, ნაწილი მე-4). ზემოხსენებული პრინციპიდან გამომდინარეობს სასამართლოს ვალდებულება იმსჯელოს სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების სახეების გამოყენების მიზანშეწონილობაზე.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს წინასწარი პატიმრობის საქმის განხილვის პროცესში სასამართლოს უფლებამოსილებებიც: სასამართლოში საქმის შესვლიდან 24 საათში მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს განსასჯელის აღკვეთის ღონისძიების საკითხს (162-ე მუხლის მე-8 ნაწილი). ამ შემთხვევაში იგულისხმება სასამართლოს უფლებამოსილება ავტომატურ რეჟიმში, ბრალდების ან/და დაცვის მხარის მიერ შუამდგომლობების წარდგენის გარეშე, იმსჯელოს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების კანონიერებასა ან/და მიზანშეწონილობაზე. თუმცა, პროკურორისა და განსასჯელის (დაცვის მხარის) მონაწილეობის გარეშე რამდენად ეფექტურია ეს მექანიზმი და რამდენად რეალურად ეძლევა საშუალება სასამართლოს შემოწმოს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა, ერთგვარ ეჭვს ბადებს და კანონმდებლებს ასეთი პროცედურის სამართლიანობისა და პროპორციულობის სერიოზული დასაბუთება ჭირდებათ. ამავდროულად, გაურკვეველია ამ უფლებამოსილების სამართლებრივი შედეგები, ანუ ის თუ რამდენად აქვს უფლება სასამართლოს ამ ტიპის განხილვის საფუძველზე შეცვალოს ან/და გააუქმოს წინასწარი გამოძიების ეტაპზე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ხსენებული მუხლი წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტებთან და დადგენილ სტანდარტთან. როგორც ზემოთ იყო ნახსენები მართალია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით არ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ სახელმწიფოებმა, რომლებშიც ასეთი სისტემა მოქმედებს, უნდა უზრუნველყონ შესაბამისი პირებისათვის (პატიმრებისათვის) იგივე გარანტიები აპელაციისას, როგორც პირველი ინსტანციის წინაშე პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დროს¹⁹¹. საბრალდებო დასკვნის სასამართლოში წარდგენის შემდგომ წინასწარი პატიმრობის გაგრძელების ავტომატური განხილვა, რომლის დროსაც წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს ან მის დამცველს არ გააჩნია შესაძლებლობა შესაბამისი არგუმენტაცია წარადგინოს ეროვნული სასამართლოს წინაშე, არ შეიძლება ჩაითვალოს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დაკისრებული პროცედურული გარანტიების შესაბამისად, რადგანაც ეს უკანასკენელნი მოითხოვენ მოსმენის გამართვას, რომლის დროსაც პატიმრობაში მყოფ პირს შესაძლებლობა ექნება ეფექტუანად წარუდგინოს სასამართლოს თავისი არგუმენტაცია, დაარწმუნოს ეს უკანასკენელი საპატიმრო ლონისძიების შეცვლის/გაუქმების საჭიროებაში. მაშინ როდესაც დაცვის მხარე მოკლებულია ხსენებულს, მაშინ როდესაც ეროვნულ სასამართლოს არ წარედგინება რაიმე არგუმენტაცია. იგი მხოლოდ ფორმალურ როლს ასრულებს და არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებად განგრძობადი პატიმრობის კანონიერების/მართლზომიერების შეფასების კუთხით. საქმის სასამართლოში წარდგენის შემდგომ მოსამართლების მიერ პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით მიღებული ბრძანებები ძალინ წააგავს ერთმანეთს და თითქმის იდენტურია დასაბუთების კუთხით,

191. *Case of TOTH v. AUSTRIA*, 12 December 1991, § 84, Series A no. 224; see also *Case of RUTTEN v. the NETHERLANDS*, no. 32605/96, § 53, 24 July 2001, and *Case of LANZ v. AUSTRIA*, no. 24430/94, § 42, 31 January 2002

რომლის თანახმადაც „არ არსებობს რაიმე სახის ახალი გარე-მოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენდა წინასწარი პატიმ-რობის, როგორც შერჩეული იძულების ღონისძიების, შეცვ-ლის აუცილებლობაზე“.

- **გასაჩივრება:** ბრალდებულს და მის დამცველს აქვთ უფლება გაასაჩივრონ მათი აზრით დაუსაბუთებელი ან/და უკანონოდ დანიშნული აღკვეთის ღონისძიება ზემდგომ სასამართლოში ან მოითხოვონ დაპატიმრების უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლა. თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მსგავსი ტიპის შუამდგომლობამ პირველ რიგში მყაცრი ფორმალური მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს და ამასთან დაკავ-შირებით ზეპირი მოსმენის გარეშე დასაშვებობის სტა-დია გაიაროს. ამასთანავე, მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდებულს/განსასჯელს და მის დაცვის მხარეს, რათა ნათლად აჩვენონ ახალი გარემოება, რომელიც სასამართლოს მისცემს აღკვეთის ღონისძიების შეცვ-ლაზე/გაუქმებაზე მსჯელობის უფლებას;

გამომდინარე იქიდან, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტიარ მოითხოვს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების (აპელაციის) საშუალების უზრუნველყოფას, თუკი სახელმწიფო თავისი კანონმდე-ბლობით ავტომატურად უზრუნველყოფს ასეთ გარანტიას, მაშინ სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პირებისათვის (პატიმრებისათვის) იგივე გარანტიები აპელ-აციისას, როგორც პირველი ინსტანციის წინაშე პატიმრო-ბის შეფარდებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დროს. წინამდებარე შემთხვევაში სახელმწიფო ასეთ გარან-ტიას ავტომატურ რეჟიმში არ უზრუნველყოფს. აპელაციის უფლების გათანაბრება პირველი ინსტანციის სასამართლო წარმოების პროცედურებთან მხოლოდ იმ შემთხვევში ხდება, თუკი მხარე გარკვეულ კრიტერიუმებს დაკმაყოფილებს. შეს-

აბამისად, სახეზეა ვითარება, როდესაც ხელისუფლების ორგანოები რეალურად ზღუდავენ სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობისუფლებას, მკაცრი და მთელ რიგ შემთხვევებში არადექვატური პროცედურული შეზღუდვებითა და მოთხოვნებით (კრიტერიუმების დაწესებით, სასამართლო ბაჟით).

ამ თვალსაზრისით, რეალურად დღეისათვის ორი სისტემა მოქმედებს ორი სისტემა მოქმედებს, და ორივე თანაბრად მისაღებია ევროპის სასამართლოსათვის, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნების დაცვის თვალსაზრისით. პირველ შემთხვევაში სასამართლოში საქმის წარმართვის შემდგომ 24 საათის განმავლობაში სახელმწიფო კანონმდებლობა უზრუნველყოფა ავტომატურად მოსამართლის მიერ წინასწარი პატიმრობის გაგრძელების გადასინჯვას და ამ დროს სახელმწიფო ვალდებულია ყველა შესაბამისი პროცედურული გარანტიაც უზრუნველყოს მათ შორის ზეპირი მოსმენა და არგუმენტაციის წარდგენის შესაძლებლობა. მეორე შემთხვევაში კი როდესაც პირველადი საპატიმრო ღონისძიების შესახებ მოსამართლის ბრძანების გასაჩივრება არ ხდება ავტომატურად და შესაბამისად, სახელმწიფოც ავტომატურად არ უზრუნველყოფს გადასინჯვის შესაძლებლობას. ასეთ დროს, სახელმწიფოს არც შეიძლება მოეთხოვოს რაიმე კონკრეტული პროცესუალური გარანტიის დაცვა.

- **ბრძანების დაუყოვნებლივ აღსრულება:** სასამართლო ბრძანება პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას (163-ე მუხლის მე-4 ნაწილი). თუ ბრალდებული/განსასჯელი მონაწილეობს შესაბამის სასამართლო სხდომაში, იგი პატიმრობიდან თავისუფლდება დაუყოვნებლივ – სასამართლო დარბაზიდან. ხოლო, თუ იგი სასამართლო სხდომაშიარ მონაწილეობს, მაშინ არა უგვიანეს იმ დღისა, როცა საპატიმრო ადგი-

ლის ადმინისტრაცია მიიღებს ოფიციალურ ცნობას პატიმრობიდან პირის განთავისუფლების შესახებ (164-ე მუხლი);

- **უკანონო ან დაუსაბუთებელი პატიმრობა:** საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლი ითვალისწინებს უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

პატიმრობის ვადა

წინასწარი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ეს ვადა აითვლება დაკავების მომენტიდან ან თუ დაკავება არ მომხდარა, პატიმრობის შერჩევის შესახებ სასამართლო ბრძანების აღსრულების მომენტიდან, ხოლო წყდება – პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისთანავე. ამასთანავე დადგენილია, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე პატიმრობის ვადამ შეიძლება მასქიმუმ 4 თვე შეადგინოს.

ამ ეტაპზე შემდეგი პერიოდების გამოყოფა შეიძლება:

1. პატიმრობის პირველი ვადა, რომელიც 2 თვეს უდრის;
2. პატიმრობის პირველი ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს 1 თვით, მაგრამ არა უმეტეს ორჯერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები ან/და:
 - ა. თუ პატიმრობის ვადის ამონურვის შემდეგ ბრალდებულმა დაარღვია მისთვის შერჩეული ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება;
 - ბ. თუ ბრალდებულს უფრო მძიმე ბრალდება წარედგინა;

გ. საქმის სირთულის გამო.

აქვედამატებით უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნებისას ბრალ-დებულის პატიმრობის ვადა კიდევ 60 დღით გაგრძელდეს (სსსკ-ის 162-ე მუხლის მე-3 ნაწილი);

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ თითოეული შუამდგომლობა უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული (162-ე მუხლის მე-6 ნაწილი, 163-ე მუხლის 1 ნაწილი). პროცესურორი ვალდებულია პატიმრობის ვადის გაგრძელების შუამდგომლობისას დაას-აბუთოს მოთხოვნილი ვადის აუცილებლობა (151-ე მუხლის მე-3 ნაწილი). შუამდგომლობის განხილვის შემდეგ მოსამარ-თლეს უფლება აქვს გააგრძელოს პატიმრობის ვადა, შეუცვა-ლოს პატიმრობა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიე-ბით ან გააუქმოს აღკვეთის ღონისძიება (163-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

1.3. აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეები

როგორც ამ თავის დასაწყისში აღინიშნა, პატიმ-რობასთან ერთად საქართველოს სისხლის სამართლის საპ-როცესო კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების სხვა სახ-ებს ითვალისწინებს, როგორიცაა გირაო, პირადი თავდე-ბობა, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა. პატიმრობასთან დაკავშირე-ბული საკანონმდებლო ხარვეზების სრულყოფილი ანალიზის მიზნით, აუცილებელია მოკლედ მიმოვიზილოთ ამ აღკვეთის ღონისძიებების სახეებიც, მათი არსი და გამოყენების საფუძ-ვლები.

გირაო

სსსკ-ის 168-ე მუხლის თანახმად, გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება, რომელიც სააღსრულებო ბიუროს¹⁹² სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს ბრალდებულს/განსასჯელს ან მათი სახელით სხვა პირს. გირაოს მიზანია, სასამართლოსთვის მიცემული წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულის/ განსასჯელის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში დროული გამოცხადების უზრუნველყოფა. უძრავი ქონების შემთხვევაში, ქონებას ედება ყადაღა.

შუამდგომლობაში გირაოს შეფარდების შესახებ, პროკურორმა უნდა განსაზღვროს გირაოს თანხის ოდენობა და ასევე მისი შეტანის ვადა. ამასთანავე, „გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 2000 ლარზე ნაკლები” (168-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

თუ ბრალდებულმა/განსასჯელმა ვერ უზრუნველყო დადგენილ ვადაში გირაოს სახით შეფარდებული თანხის (ან ექვივალენტური უძრავი/მოძრავი ქონების) სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანა, პროკურორი შუამდგომლობს უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი: 168-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ასეთ შემთხვევაში არ გამოიყენება 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაბუთების ვალდებულება, რაც გულისხმობს შემდეგს: პროკურორს არ ევალება მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობის და უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შეუძლებლობის დასაბუთება.

192. სააღსრულებო ბიურო გახლავთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსარულების ეროვნული ბიუროს მესაბამისი ტერიტორიული ორგანო.

ეს კი, ფაქტიურად ავტომატურ რეჟიმში გულისხმობს გირაოს გადაუხდელობის შემთხვევაში პატიმრობის შეფარდებას.

გირაოსთან მიმართებაში დამატებით ხაზგასასმელია შემდეგი გარემოებები:

- დაკავებული ბრალდებულის შემთხვევაში, სასამართლო თავისი ინიციატივით ან პროკურორის შუამდგომლობით უფარდებს მას პატიმრობას გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (არა-ნალებ 50%-ისა) შეტანამდე (168-ე მუხლის მე-6 ნაწილი);
- გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის ბრძანებით გირაო შეიცვლება უფრო მკაფრი აღკვეთის ღონისძიებით, ხოლო გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში (168-ე მუხლის მე-7 ნაწილი);
- გირაოს პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების ზუსტად და კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში გირაოს სახით შეტანილი თანხა დაუბრუნდება ბრალდებულს, განსაჯელს ან მათი სახელით გირაოს შემტანს (168-ე მუხლის მე-8 ნაწილი);

პირადი თავდებობა

სსსკ-ის 170-ე მუხლის თანახმად, “პირადი თავდებობისას სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომდიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით მათთან გამოცხადებას” (170-ე მუხლის პირველი ნაწილი).

პირადი თავდებობის შემთხვევაში აუცილებელია, როგორც თავდებთა, ასევე ბრალდებულის თანხმობა. პირადი თავდებობის გამოყენების პირობების დარღვევის შემთხვევაში, თავდებს სასამართლომ შეიძლება დააკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების ას მინიმალურ ოდენობამდე.

არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა

ორივე ზემოთ მითითებული აღკვეთის ღონისძიება წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების ე.წ. სპეციალურ სახეს, რომლის გამოყენების სფეროც შეზღუდულია სუბიექტების მიხედვით, პირველ შემთხვევაში არასრულწლოვანთა, ხოლო მეორე შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეთა წრით. არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა გულისხმობს მშობლების, მეურვეების, მზრუნველების ან დახურული საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში არასრულწლოვან ბრალდებულთა გადაცემას, იმ მიზნით, რომ მათ უზრუნველყონ მათი გამოკხადება გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში, ასევე მათი სათანადო ქცევა (171-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამ სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას აუცილებელია, როგორც მშობლის/მეურვის/მზრუნველის თუ სხვა შესაბამისი პირის, ასევე არასრულწლოვანი ბრალდებულის თანხმობა.

რაც შეეხება სარდლობის მეთვალყურეობას, ეს აღკვეთის ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვადიანი სამხედრო ან სარეზერვო მოსამსახურის მიმართ და გულისხმობს “შეიარაღებული ძალების წესდებით გათვალისწინებული ზომების მიღებას ბრალდებულის

სათანადო ქცევის და გამომძიებლის, პროეურორის, სასამართლოსგამოძახებითმათთანგამოძახებისუზრუნველ-საყოფად” (172-ე მუხლის, პირველი და მე-2 ნაწილი).

სიახლეები, 2009 წლის რედაქციის სისტემის სამართლის საპროცესო კოდექსში

2009 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტ-მა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიიღო. კოდექსი ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბერსშევა, თუმცა მისი ცალკეული მუხლები უფრო გვიან ეტაპზე ამოქმედდება. აღკვეთის ღონისძიებების თვალსაზრისით ახალი საპროცესო კოდექსი განსაკუთრებულ ინოვაციებს არ გვთავაზობს, თუმცა რამდენიმე სიახლეს დოკუმენტი მაინც ითვალისწინებს.

კოდექსის მე-8(3) მუხლის თანახმად – “სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სა-მართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვე-თის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.”

38-ე მუხლი, რომელიც ბრალდებულის უფლება-მოვ-ალეობებს განსაზღვრავს, ამომწურავად ჩამოთვლის იმ გა-რემობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდოს. კერძოდ, 38-ე მუხლის მე-12 ნაწილში ჩამოთვ-ლილია შემდეგი გარემობები:

1. თუ არსებობს ბრალდებულის მიმალვის საფრთხე;
2. თუ არსებობს ბრალდებულის შემდგომი დანაშაუ-ლებრივი საქმიანობის საფრთხე;
3. თუ არსებობს ბრალდებულის მხრიდან მოწმეზე ზემოქ-მედების საფრთხე;

4. თუ არსებობს მტკიცებულის განადგურების საფრთხე;
ან
5. თუ არსებობს განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე.

კოდექსის მე-XX თავი ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენას და აღკვეთი ღონისძიებების შეფარდების საკითხებს დეტალურად არეგულირებს. 199-ე მუხლი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების შემდეგ სახეებს:

- (1) გირაო,
- (2) არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა,
- (3) შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ,
- (4) პირადი თავდებობა,
- (5) სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა,
- (6) პატიმრობა.

შესაბამისად, ახალი კოდექსი აღკვეთის ღონისძიებების უფრო ფართო წრეს ითვალისწინებს, რაც თავისათავად პოზიტიური ტენდენცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოსამართლეს/სასამართლოს შეუძლია აღკვეთის ღონისძიების პარალელურად ბრალდებულის მიმართ შემდეგი დამატებითი ღონისძიებები გამოყენოს:

- დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება;
- გარკვეული საქმიანობისა თუ პროფესიის განხორციელების აკრძალვა;
- სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა, წინასწარ განსაზღვრული მოვლენის გადაწყვეტილების მიმართ შემდეგი დამატებითი ღონისძიებები გამოყენოს:

ღვრული პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშ-გების ვალდებულება;

- სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა;
- ელექტრო მონიტორინგი;
- გარკვეულ ადგილას, გარკვეულ საათებში ან უამისოდ ყოფნის ვალდებულება;
- გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა;
- სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა;
- პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება;
- ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად (*199 მუხლის მე-2 პუნქტი*).

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებისა და საფუძვლების თვალსაზრისით ახალი საპროცესო კოდექსი არსებით ცვლილებებს არ ითვალისწინებს. ამჟამად მოქმედი სსსკ-ის მსგავსად, ახალი საპროცესო კოდექსიც პატიმრობის გამოყენებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ითვალისწინებს. როგორც კოდექსის 205-ე მუხლშია მითითებული, პატიმრობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეუძლებელია თავიდან იქნეს აცილებული

(1) ბრალდებულის მიმაღვისა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

(2) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა,

(3) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა კვლავაც 9 თვეა, თუმცა ახალი საპროცესო კოდექსი ერთ გამონაკლისს ითვალისწინებს: ადვოკატის სავალდებულო თანხმობით ბრალდებულის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს პატიმრობის ვადა, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ განსახორციელებლად (205-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მცირდება წინასასამართლო სხდომამდე (ანუ სასამართლოსთვის საქმის გადაცემამდე) ბრალდებულის პატიმრობის ვადა, რომელიც ახალი კოდექსის თანახმად არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს (განსხვავებით დღევანდელი სისტემისგან, რომელიც 4 თვეს ითვალისწინებს) (205-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

დასკვნები

ყოველვე ზემო თქმულის შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემდეგ ძირითად სტანდარტებს ეყრდნობა:

- პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების უკიდურეს ფორმასწარმოადგენს. წინასწარი პატიმრობის შეფარდება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად-შემზღვდავი აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნის შესრულებას (სსსკ-ის 151-ე მუხლის 1 დამე-4 პარაგრაფები);
- პატიმრობის შეფარდების შესახებ შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთებაში იგულისხმება არამხოლოდ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთება პროცედურულ და ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, არამედ უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობის დასაბუთებაც (სსსკ-ის მუხლი 151(3));
- პატიმრობის ვადის გაგრძელების შუამდგომლობა უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული. მოთხოვნილი ვადის აუცილებლობა უნდა დასაბუთდეს გამოძიების კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე (სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი);
- წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ მოსამართლის/სასამართლოს განჩინება (დადგენილება) უნდა იყო დასაბუთებული (სსსკ-ის 157-ე მუხლის მე-4 ნაწილი). მოსამართლემ/სასამართლომ უნდა შეაფასონ პატიმრობის შეფარდების შესახებ შუამდგომლობის დასაბუთებულობა.

- ნინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული თითოეული სასამართლო მოსმენა უნდა იყოს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძვნებული და უზრუნველყოფეს მხარეთა თანასწორობას¹⁹³.

193. კვლავაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ მხრივ ადამიანის უფლებათა ეერობული სასამართლოს მიერ გამოტანილ ვადაწყვეტილებას საქმეზე *SAGHINADZE AND OTHERS v. GEORGIA* განაცხადი 18768/05